საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№31 (407)
16 აგვისტო - 5 სექტემბერი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 6 სექტემბერს**

## «სახელმწიფოები, რომელთათვის ერთი კრიმინალი სააკაშვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სრულიად საქართველო და მისი ინტერესები, ჩვენი პარტნიორი, მით უფრო, მეგობარი, არ არის» 3






## ესენი მიშას არ დაიჭერენ! 2

## ფრთხილად!



## ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა «დისნეის» მულტფილმებში 14

## «რა ქნას ბერძენიშვილმა, არსებობა ხომ უნდა?! ამ სიტყვების შემდეგ 30 ვერცხლს მაინც მისცემენ» 6



## «იმედი» «რუსთავი 2»-ის იმედად, ანუ ბიძინური უზნეობის გაკვეთილები გრძელდება 9

## სპირტისა და იარაღის კონტრაბანდით ნაშოვნი მილიონები



## რატომ არ აპატიმრებენ თავდაცვის ექსმინისტრ დავით კეზერაშვილს 4

## «აშშ-ის ლაქია თუ სამკაული რუსეთის იმპერიისა?» 10

## რით ჰგავს საქართველო ვენესუელას? 11

## «ნიუ იორკ თაიმსი»: უკრაინის დახმარებით ჩრდილოეთ კორეამ შექმნა რაკეტები, რომლებითაც აშშ-ს ემუქრება 7

## ვის სურს მესამე მსოფლიო ომი 16



## გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი: მსოფლიო შოკირებულია აშშ-ის არაპროგნოზირებული პოლიტიკით 15

## მომაკვდინებელი აგვისტოს გახსენება 12

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავაკოვ-ცრუ ეუბნება მღებრიშვილს, — პოროშენკომ და კვირიკაშვილმა ხომ მოილაპარაკეს მიშას ექსტრადიციაზე და, მე რომ დავიჭერ, რა ვუყო მაგ კაცს, მოქალაქეობა არ აქვს ჩვენი და უნდა გამოვგზავნო ყველა ვარიანტშიო, რაზეც მღებრიშვილს ისტერიკული შეტევა ეწყება და ეაჯება, ეგებ სხვა ქვეყანაში გააგდოთ, კვირიკაშვილსა და პოროშენკოს ეგ შეთანხმება არ ჰქონიათ, ახლა შევამოწმეო. ანუ რა გამოდის: პოროშენკომაც უთხრა კვირიკაშვილს, შემიძლია სააკაშვილი აქ ჩამოგიყვანოთო და მანაც კატეგორიული უარი მიიღო.**

**რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ერთმანეთს ესაუბრებიან უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი და მისი ქართველი კოლეგა გიორგი მღებრიშვილი. მალე გაირკვა, რომ, ავაკოვის ნაცვლად, პრანკერი, მეტსახელად „ლექსუსი“, საუბრობს, რომელიც ავაკოვს კარგად ბაძავს, ქართული მხრიდან კი... არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ, ძალიან დიდი ალბათობით, ეს მართლა გიორგი მღებრიშვილია. სხვათა შორის, ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს შს მინისტრს ახლოს იცნობენ, ამბობენ, რომ ეს მისი ხმა და ტერმინებია, მაგრამ მთავარი, ხმა და ტერმინები კი არა, საუბრის შინაარსია. სამწუხაროდ, ისე ჩანს, რომ ვილაც „ლექსუსმაც“ კი იცის, რომ უკრაინელი მინისტრი ქართველ კოლეგას ტოლ-სწორად არ უყურებს და ეს ამ საუბრიდანაც ჩანს.**






# ესენი სააკაშვილს არ დაიჭერენ!

**ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა ფაქტის წინაშე დადექით, როცა გაირკვა, რომ «ბუა სააკაშვილი», შესაძლოა, შეფუთული გამოგზავნონ საქართველოში, უკან დაიხიეთ, საკუთარი კეთილდღეობის გამო, საკუთარი სკამების დაკარგვის შიშით, საერთაშორისო დამნაშავედ გამოცხადებული ექსპრეზიდენტის მიღებაზე უარს ამბობთ, მის ციხეში ჩასმას ვერ ბედავთ და ეს მაშინ, როცა სააკაშვილი, ხელისუფლებაში რომ დაბრუნდეს, ცალ-ცალკე საკნებსაც კი არ მოგცემთ, ერთად შეგყრით ნახირივით და, საჭმლის ნაცვლად, სალაფავს მოგიტანთ და სულ არ შეეშინდება იმის, რომ ვინმე რამეს გააპროტესტებს**

**კაცს, რომელიც სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში, ადამიანების წამებასა და ყველა იმ უბედურებაშია ეჭვმიტანილი, რომელთა გამოც ამომრჩეველმა თქვენ აგირჩიათ, ვერ ასამართლებთ; გეშინიათ მისი აქ ჩამოყვანის, გეშინიათ იმიტომ, რომ თქვენ მიერ წაყენებულ ბრალდებებს ვერ გაამყარებთ, როგორც ვერ გაამყარეთ დათა ახალაიას შემთხვევაში, კეზერაშვილის, ადეიშვილის, უგულავასა და რა ვიცი, კიდევ რამდენის შემთხვევაში... ამიტომ გირჩევნიათ, სააკაშვილი საზღვარგარეთ იყოს და მისგან მტრის ხატი შექმნათ, ბუა დახატოთ**

სანამ უშუალოდ საუბარზე გადავალთ, იმ განცხადებას გავიხსენებთ, რომელიც პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** ზემოხსენებული ჩანაწერის გავრცელებამდე ერთი დღით ადრე დიდგორობას დიდგორის ველზე გააკეთა: „დღეს არის ქართველთა უდიდესი გამარჯვების დღე, სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების. დავით აღმაშენებელმა ამ გამარჯვებას მიაღწია მიზანმიმართული და თანმიმდევრული შრომით და ჩვენ, ქართველებს, უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ ვიქნებით ერთიანი, საქართველო იქნება ძლიერი. მინდა, საქართველოს ვუსურვო გაძლიერება, გამთლიანება და ჩვენ აუცილებლად გავმთლიანდებით. საქართველო იქნება ძლიერი, ჩვენ აღარ ვიმღერებთ „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველოს“, ვიმღერებთ, რომ საქართველო არის დიდი, ძლიერი და ერთიანი“.

მაგას რა სჯობს, ბატონო გიორგი, საქართველო ერთიანი და ძლიერი თუ იქნება, მაგრამ საამისო წინაპირობა ხომ უნდა არსებობდეს?! და რა არის ამის წინაპირობა? — ის, რომ, როცა უკრაინის შს მინისტრის სახელით ვილაც რეკავს და ჩვენი მინისტრი მაშინვე ფეხქვეშ ეგება? ეს არის სიძლიერის ნიშანი? თუ ის, რომ მეორე ზარზე, როცა უკრაინელი კოლეგა „ეკაიფება“ და ეუბნება, „მილოსტინიუ პროსიტე?“, მღებრიშვილი პასუხსაც ვერ უბრუნებს?! **თუ ის არის სიძლიერის ნიშანი, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, რასაც ერი ითხოვს, გამწარებული ერი, ძალადობის მსხვერპლი ერი, იმის ასრულების შანსი ახლა გაქვთ და უარს ამბობთ დესტაბილიზაციის შიშით? და რას ეძახის თქვენი მინისტრი სტაბილურობას, ხომ ვერ მეტყვით? იმას ეძახის სტაბილურობას, რომ ქვეყანაში კრიმინალად გამოცხადებული კაცის ჩამოყვანა სიტუაციას არევს? თუ იმას, რომ ვილაც „ბომჟი“ სააკაშვილის გამო აქ რევოლუცია დაიწყება?! შინაგან საქმეთა მინისტრს ვილაც „ბომჟის“ ეშინია, ბატონო პრემიერო, თუ რა ხდება?! არ გრცხვენიათ-მეთქი, არ გკითხავთ, რადგან ეს სირცხვილზე მეტია.**

ჯერ ის გავიხსენოთ, **პეტრე პოროშენკომ** ქართულ მხარეს თბილისში ვიზიტისას რომ მიახალა, — სააკაშვილი რატომ უნდა გადმომეცა, ჩვენთვის მისი ექსტრადაციის მოთხოვნა ერთხელაც არ გამოგიგზავნიათო... მერე იყო, ჩვენებმა რომ თქვეს, გავგზავნეთ და ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ **ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა ფაქტის წინაშე დადექით, როცა გაირკვა, რომ „ბუა სააკაშვილი“, შესაძლოა, შეფუთული გამოგზავნონ საქართველოში, უკან დაიხიეთ, საკუთარი კეთილდღეობის გამო, საკუთარი სკამების დაკარგვის შიშით, საერთაშორისო დამნაშავედ გამოცხადებული ექსპრეზიდენტის მიღებაზე უარს ამბობთ, მის ციხეში ჩასმას ვერ ბედავთ და ეს მაშინ, როცა სააკაშვილი, ხელისუფლებაში რომ დაბრუნდეს, ცალ-ცალკე საკნებსაც კი არ მოგცემთ, ერთად შეგყრით ნახირივით და, საჭმლის ნაცვლად, სალაფავს მოგიტანთ და სულ არ შეეშინდება იმის, რომ ვინმე რამეს გააპროტესტებს.** ხვდებით განსხვავებას?! ისე კი არ გაიგოთ, რომ სააკაშვილის მხარეს ვართ, მაგრამ რა გაგიხდათ ეს ერთი კაცი, ვერაფერს რომ ვერ უხერხებთ? რომ მისი ჩრდილიც კი გაშინებთ, ადამიანის, რომელსაც ერი ვერ იტანს, რომელიც ერს ეზიზღება, მაგრამ მაინც ვერაფერს უბედავთ.

ცალკე საუბრის თემაა ის, რომ ჩვენი სახელოვანი მინისტრი უკრაინელ კოლეგას ოკუპანტების ენაზე ესაუბრება. ხომ თქვენ დაარქვით რუსულს ოკუპანტების ენა და კატეგორიულად აკრძალეთ მისი გამოყენება?! **ახლა რა მოხდა, ახლა რატომ შეიქნა საჭირო, ინგლისური არ იცის მღებრიშვილმა თუ ავაკოვს სომხურად რომ დაეწყო საუბარი, სომხურადვე უპასუხებდა მღებრიშვილი,** „ცავატანემ!“, რადგან სომხურზე მიდგა საქმე, დაურეკეთ ავაკოვს და გეტყვით, რას ნიშნავს **„ძერ იმანერე, ჰაიტარაკუმენ რესპუბლიკა!“**

რაღა თქმა უნდა, ვიდეოს გავრცელების შემდეგ, კომენტარი მინისტრმაც გააკეთა და ისედაც ჩახლართული სიტუაცია, უფრო დახლართა.

„მსგავსი სატელეფონო საუბარი საერთოდ არ შემდგარა არც უკრაინის შს მინისტრთან და არც სხვა პირთან. საერთოდ, იმის დაშვებაც კი, რომ ორი ქვეყნის შს მინისტრები სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებს განიხილავენ დაუცველი სატელეფონო კავშირის მეშვეობით, არასერიოზულია“, — განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

რა გამოდის? — შსს-ს პირველ პირს ეჭვი აქვს, რომ მისი სატელეფონო საუბრები ისმინება?! კი მაგრამ, ვისგან? არ თქვათ ახლა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ აქტიურადო... რისთვის სჭირდებათ? რომელი უცხო ქვეყანა?! ამერიკელები, რასაც უნდა, იმას გვაკეთებინებენ, რუსებს საქართველოსთან რეალურად პრობლემა აღარ აქვთ: რაც სურდათ, გააკეთეს; აზერბაიჯანსა და სომხეთს კიდევ სადავო საზღვრები უმტკივნეულოდ ვაჩუქეთ, თურქეთსაც... რომელი ქვეყანა დარჩა?! არც ერთი, ანუ აბსურდია, რომ მღებრიშვილს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა მოუსმინონ და რჩება ჩვენი სპეცსამსახურები, რომლებისაც თურმე ეშინია შს მინისტრს. ეს კიდევ ერთი აღიარება გამოუვიდა, აღიარება იმისა, რომ მოსმენებისგან დაცული თვითონაც არ არის და, რიგითი მოქალაქეები როგორ იქნებიან, ნამდვილად ვერ გეტყვით.

ისევ ჩანაწერს დავუბრუნდეთ. **ავაკოვ-ცრუ ეუბნება მღებრიშვილს, — პოროშენკომ და კვირიკაშვილმა ხომ მოილაპარაკეს მიშას ექსტრადიციაზე და, მე რომ დავიჭერ, რა ვუყო მაგ კაცს, მოქალაქეობა არ აქვს ჩვენი და უნდა გამოვგზავნო ყველა ვარიანტშიო, რაზეც მღებრიშვილს ისტერიკული შეტევა ეწყება და ეაჯება, ეგებ სხვა ქვეყანაში გააგდოთ, კვირიკაშვილსა და პოროშენკოს ეგ შეთანხმება არ ჰქონიათ, ახლა შევამოწმეო. ანუ რა გამოდის: პოროშენკომაც უთხრა კვირიკაშვილს, შემიძლია სააკაშვილი აქ ჩამოგიყვანოთო და მანაც კატეგორიული უარი მიიღო.** როგორ არ გავიხსენოთ, ახლანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში ყოფნისას მიშას კურდღელს რომ ეძახდა... ისიც გვახსოვს, მშიშარააო, რომ ამბობდნენ და ვინ გამოდის ახლა მშიშარა და კურდღელი? **კაცს, რომელიც სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში, ადამიანების წამებასა და ყველა იმ უბედურებაშია ეჭვმიტანილი, რომელთა გამოც ამომრჩეველმა თქვენ აგირჩიათ, ვერ ასამართლებთ, გეშინიათ მისი აქ ჩამოყვანა, გეშინიათ იმიტომ, რომ თქვენ მიერ წაყენებულ ბრალდებებს ვერ გაამყარებთ, როგორც ვერ გაამყარეთ დათა ახალაიას შემთხვევაში, კეზერაშვილის, ადეიშვილის, უგულავასა და რა ვიცი, კიდევ რამდენის შემთხვევაში... ამიტომ გირჩევნიათ, სააკაშვილი საზღვარგარეთ იყოს და მისგან მტრის ხატი შექმნათ, ბუა დახატოთ და... იმას მაინც თუ ხვდებით, რომ წინასაარჩევნოდ „სუნის დაყენება“ თქვენს ისედაც შერყეულ ავტორიტეტს კიდევ უფრო შელახავს და ზუსტად ისე აფორთხებს, როგორც სააკაშვილმა იფორთხა აგვისტოს ომის დროს გორში?**

ისიც ვთქვათ, მღებრიშვილმა კატეგორიულად რომ უარყო სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნება, აქაოდა, მაგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქვეყანაში დაბრუნდესო... ანუ სააკაშვილი თავისი ფეხით მართლა რომ მოადგეს საზღვარს, დამიჭირეთ, გბარდებითო, ესენი არ შემოუშვებენ...

და ამ ყველაფრის ფონზე, ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის, უბრალოდ, ეშინია.

რა, არა?!

**ბესო ბარბაქაძე**

**„როგორ შეიძლება, ჩვენ ამერიკას ან იმავე ევროპას ვუწოდებდეთ მეგობარს, როცა კბილებით იცავენ პირებს, რომლებმაც საქართველოში უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინეს?! როგორ ჰყოფნის თავხედობა ამ ხელისუფლებას და როგორ ეუბნება ხალხს, რომ სააკაშვილის შემფარებელი დასავლეთი ჩვენი ნომერი პირველი პარტნიორია?! მაშინ დააკმაყოფილონ ქართული მართლმსაჯულების მოთხოვნა და გადმოსცენ ჩვენს სასამართლოს სააკაშვილი“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმის თავკაცსა და მთავარ შემოქმედს, აწ უკვე უკრაინიდანაც გაძევებულ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს მართლმსაჯულება დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას ედავება. კერძოდ, საუბარია 2009-2013 წლებში გაწეულ არამიზნობრივ ხარჯებზე, რომელთა ჯამური ოდენობა, გავრცელებული ინფორმაციით, 9 მილიონ ლარს აღემატება. როგორც საქართველოს პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, ექსპრეზიდენტი ზემოაღნიშნულ თანხებს პირადი კეთილდღეობისთვის, ბოტოქსებისთვის, მასაჟისთვის, ეპილაციისა და მეგობრების საჩუქრებისთვის ხარჯავდა.**

# ლადო სადღობელაშვილი: არ დაიჯეროს ვინმემ, რომ ხელისუფლებას დამნაშავე სააკაშვილის გასამართლება სურს

პროკურორ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, გამოძიება ასევე დაინტერესებულია ცნობილი მასაჟისტის, დოქტორ დოტის საქართველოში ჩამოყვანის დეტალებით, რაც თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იყო: „დოქტორი დოტი 2009 წლის თებერვალში ჩამოვიდა და, როდესაც ცნობილი შეიქნა ამ ვიზიტისთვის გაწეული ხარჯების თაობაზე, ამან საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ აღშფოთების გამო გადაწყდა, რომ მსგავსი ხარჯები, როგორიც იყო დოქტორი დოტის ვიზიტი, კერძოდ, ბოტოქსის, ეპილაციის, მიხეილ სააკაშვილის მეგობრებისთვის საჩუქრების ხარჯები, გასაიდუმლოებული იყო. ვინაიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ნახევრად გასამხედროებული ორგანოა და მისი ბიუჯეტი, ასევე ხარჯები, არის საიდუმლო, გადაწყდა, რომ ეს ფარული ხარჯები გაწეულიყო ამ ორგანოს მიერ“, — განაცხადა ნათია სონღულაშვილმა. მისივე თქმით, არამიზნობრივად გამოყენებული 9 მილიონი ლარიდან 600 ათასი გახარჯულია პრეზიდენტის კოსმეტიკურ პროცედურებზე, მილიონზე მეტი — „აიფონებზე“, ოქროს ნაკეთობებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაოფიციალურ ვიზიტებზე, რომლებსაც სააკაშვილი, თავისი გუნდის წარმომადგენლებთან ერთად, ხშირად ახორციელებდა...

თანმიმდევრული და დამაჯერებელია პროკურატურა ექსპრეზიდენტისთვის წაყენებულ ბრალდებებში, შეძლებს კიკ იგი დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების მფარველობის ქვეშ მყოფი სააკაშვილისთვის ბრალის დამტკიცებას და შესაბამისი განაჩენის გამოტანას? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი **ლადო სადღობელაშვილი.**

**— ბატონო ლადო, რას ფიქრობთ საქართველოს პროკურატურის მიერ სააკაშვილისთვის წაყენებულ ახალ ბრალდებაზე — 9 მილიონი ლარის გაფლანგვაზე? უკრაინიდან გაძევებულ ექსპრეზიდენტს ახლა ესეც დაემატა.**

— უკრაინიდან მის გაძევებაზე უამრავ განცხადებას ვისმენ და ცოტა არასწორი შეფასებები კეთდება. ჩემმა უკრაინელმა მეგობრება სულ სხვა ინფორმაცია მომაწოდეს, ანუ მთლად ასეც არ არის საქმე — მიმდინარეობს სასამართლო და, როგორი განაჩენი იქნება საბოლოოდ გამოტანილი, არავინ იცის.

რაც შეეხება მისთვის წაყენებულ ბრალდებას, სიმართლე გითხრათ, გამკვირვებია საქართველოს ხელისუფლების: **ნუთუ დღეს ასეთი მიუღებლები ვართ ყველასთვის, რომ კაცს, რომელზეც, წლებია, სახელმწიფოს ძებნა აქვს გამოცხადებული (საუბარია უმძიმეს დანაშაულებზე), კბილებით იცავენ?! ყურებს არ იბარტყავს არავინ საქართველოს პროკურატურის მოთხოვნაზე.** ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: ნუთუ არც ერთმა სახელმწიფომ: ან მეგობარმა ამერიკამ, ან ევროპამ, უკრაინამ, პოლონეთმა, ახლახან ბალტიისპირეთშიც იყო ჩასული, არ უნდა გაუწიოს ქართულ მართლმსაჯულებას ანგარიში და გადმოგვცეს დამნაშავე, რომელმაც ცხრა წლისგანმავლობაში, ფაქტობრივად, დააქცია ქვეყანა?! რა მნიშვნელობა აქვს, ახალი საქმე აღიძრება სააკაშვილის წინააღმდეგ თუ ძველი განახლდება, დამნაშავეს მაინც არავინ გადმოგვცემს. იმიტომ, რომ მისი დასავლელი მფარველები ამას არასოდეს დაუშვებენ. მორჩა! ახლა რამდენიც უნდა, იმდენი იძახოს პროკურატურამ, რომ საკაშვილმა საბიუჯეტო სახსრები გაიფლანგა, რა მტკიცებულებებიც უნდა არსებობდეს, მას, უბრალოდ, არ გადმოსცემენ საქართველოს. სააკაშვილის გასამართლების უფლებას არ მისცემენ ქართულ მართლმსაჯულებას. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის...

**— 9 მილიონის გაფლანგვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. ჩვენს „მეგობარ“ დასავლეთში მსგავს დანაშაულზე მრავალი წლით ჩასვამდნენ ციხეში ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, ყოფილს თუ მოქმედს.**

— აქ მხოლოდ 9 მილიონზე რომ იყოს საუბარი, რა უჭირდა; ბოლოს და ბოლოს, **უგულავას** 50 მილიონი აპატია **ბიძინამ**, მაგრამ გაცილებით მძიმე ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები აქვს სააკაშვილს ჩადენილი, თუმცა მხოლოდ სააკაშვილს არა, **კეზერაშვილსაც** კოლოსალური თანხები აქვს მოპარული. ან **მერაბიშვილი** ავიღოთ — წლების განმავლობაში ჯიბეში უფათურებდა ხელს ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. დღეს, უბრალოდ, მიჩნდება კითხვები: ნუთუ ეს დანაშაულები საკმარისი არ იყო, რომ მერაბიშვილისთვის მხოლოდ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ? ნუთუ მის მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ სასჯელის შესაბამისია?! — ცხადია, არა, მაგრამ ამით დღევანდელმა ხელისუფლებამ საკუთარ თავს შეუქმნა წინაპირობა იმისა, რომ, ანალოგიური ქმედების შემთხვევაში, თუ პასუხს მოსთხოვენ, რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს შეაფარებს თავს. აი, ეს არის ჩვენი უბედურება, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის ეფექტიანობა განულებულია. სააკაშვილს 9 მილიონს ედავებიან თუ ოცდაათს, რა მნიშვნელობა აქვს, ესენი მისი დამჭერები მაინც არ არიან.



«სახელმწიფო ან სახელმწიფოები, რომელთათვის ერთი კრიმინალი სააკაშვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სრულიად საქართველო და მისი ინტერესები, ჩვენი პარტნიორი, მით უფრო, მეგობარი, არ არის»

**— დავაკონკრეტოთ: რატომ არ არიან სააკაშვილის დამჭერები, თუ ის დასაჭერია?**

— დასაჭერი რომ არის, ორი აზრი არ არსებობს. რატომ არ იჭერენ? — იმიტომ, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს. ნება რომ იყოს, „ნაცმოძრაობასა“ და მის განაყოფ პარტიებს არ გააჭაჭანებდნენ ქვეყანაში, მაგრამ, როგორც ვატყობ, ამ ხელისუფლებას ხელს აძლევს, ჰყავდეს „ბუა“ სააკაშვილის სახით. ის ყოველთვის ქმნის რევანშის საფრთხეს, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება კარგად იყენებს. მათ დღეს ასევე სჭირდებათ ისეთი დამნაშავე პარტიები, როგორიცაა **გიგა ბოკერიას** პარტია „ევროპული საქართველო“, და მუდმივად მანიპულირებენ: ჩვენ თუ არ ვიქნებით, მოვა სააკაშვილიო.

ამაზეა ეს ყველაფერი გათვლილი და არ დაიჯეროს ვინმემ, რომ ხელისუფლებას დამნაშავე სააკაშვილის გასამართლება სურს. პირიქით — ესენი უხანგრძლივებენ სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს პოლიტიკურ არსებობას, ამ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავს „ნაცმოძრაობა“...

**— ფიქრობთ, რომ სააკაშვილი ჩამოვა, თუ ძებნას შეწყვეტენ?**

— ჩამოვა-არჩამოვა, სხვა საკითხია. ის ამბობს: ვერ ჩამოვდივარ იმიტომ, რომ პოლიტიკურად მდევნიან. ძებნა რომ გაუუქმდებოდა, თითს ვერავისკენ გაიშვერდა. დარწმუნებული იყავით, მას ღირსეულ პასუხს გასცემდა საზოგადოება. საქართველოს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას რომ ცდილობდეს, **ბოკერიასა** და **უგულავასნაირი** კრიმინალები თავისუფლად არ უნდა დასეირნობდნენ; მით უმეტეს, რაღაც ერთობებს არ უნდა ქმნიდნენ და იმის შემდეგ, რაც ჩაიდინეს, კიდევ პოლიტიკურ მომავალზე არ უნდა ფიქრობდნენ. აი, ეს არის მთავარი, მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას კუდი აქვს გადანასკვული სააკაშვილთან და ამჟამინდელ ხელისუფლებაში ნაციონალებზე ნაკლები მფლანგველები თუ მომპარავები არ არიან...

**— გამოდის, ეს ხელისუფლებაც უკვე გასასამართლებელია.**

— დასჯა და გასამართლება არავისი თვითმიზანი არ არის, აქ, უბრალოდ, საუბარია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება ამის გამკეთებელი არ არის. მას არც უნარი აქვს ამისი, არც სურვილი, ამიტომ ვამბობთ ხოლმე ჩვენ, „ქართული მარშის“ ორგანიზატორები, რომ ეს სისტემა დალპა. არაფერი ეშველება. მოხსნიან ერთ მინისტრს, დანიშნავენ მეორეს, მერე იმასაც მოხსნიან, მოდის ახალი, მაგრამ არაფერი იცვლება. ვერც შეიცვლება, იმიტომ, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება. საჭიროა ეროვნული ძალების მოყვანა ხელისუფლებაში, ქვეყანა უნდა მართონ ჭეშმარიტად ეროვნულმა ძალებმა. სხვა შემთხვევაში რამე მნიშვნელოვან გარდაქმნებს ნუ დაველოდებით.

**— სააკაშვილისთვის ახალი ბრალდების წაყენება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილიც არის?**

— ცხადია, ეს ყველაფერი გათვლილია პოლიტიკურ პიარსა და ქულებზე, მაგრამ მაგაზე ერთი ლოგიკური პასუხი არსებობს: **თუკი მართლმსაჯულებას გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები ადარდებს და სამართლიანობის აღდგენას ცდილობს, რატომ გამოუშვეს ბოკერია, რომელსაც 50 მილიონ ლარს ედავებოდნენ?!** ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ხალხი ვერ იტანს „ნაცმოძრაობას“ და სააკაშვილის წინააღმდეგ ახალი ბრალდებების წამოწევით ქმნიან ილუზიას, თითქოს ებრძვიან ამ დანაშაულებრივ პარტიას. თვითონაც „ნაციონალები“ არიან თავიდან ბოლომდე და როგორ შეიძლება, სისხლსა და ხორცს დაუპირისპირდნენ?! ან რა აქვთ გასაყოფი?! ერთნი არიან იდეოლოგიურადაც, პოლიტიკურადაც, მიზნებითაც და გეგმებითაც.

სააკაშვილს რაც შეეხება, **ახლა ატეხენ ხმაურს, იქნება გამოძიება და „სკანდალური“ განცხადებები, მაგრამ ეს ყველაფერი გაგრძელდება არჩევნებამდე. როგორც კი დამთავრდება არჩევნები, სააკაშვილის გაფლანგული მილიონები არც კი გაახსენდებათ.**

**— თქვით, რომ სააკაშვილს ვერ დააპატიმრებენ, რადგან დასავლეთში მას მფარველები ჰყავს. ამერიკაში მნიშვნელოვნად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. ვინ არის დღეს რეალურად სააკაშვილის პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტი?**

— კი, პრეზიდენტი შეიცვალა ამერიკაში, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, **მაკეინი** თავის ადგილზეა, **სოროსიც.** „ლიბერასტული ელიტა“, რომელიც იყო ამერიკის მთავრობაში, უცვლელია... აი, ეს არის რეალობა და იცით, რა მიკვირს? **როგორ შეიძლება, ჩვენ ამერიკას ან იმავე ევროპას ვუწოდებდეთ მეგობარს, როცა კბილებით იცავენ პირებს, რომლებმაც საქართველოში უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინეს?!** მართლა მაინტერესებს, როგორ ჰყოფნის თავხედობა ამ ხელისუფლებას და როგორ ეუბნება ხალხს, რომ სააკაშვილის შემფარებელი დასავლეთი ჩვენი ნომერი პირველი პარტნიორია?! მაშინ დააკმაყოფილონ ქართული მართლმსაჯულების მოთხოვნა და გადმოსცენ ჩვენს სასამართლოს სააკაშვილი. **კეზერაშვილის, ახალაიას, მეგის ქარდავასა და კოხტა კოდუასნაირ** პაიკებზე, საერთოდ, ზედმეტია საუბარი. ჩვენ ყველაფერს უნდა დავარქვათ თავისი სახელი: **სახელმწიფო ან სახელმწიფოები, რომელთათვის ერთი კრიმინალი სააკაშვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სრულიად საქართველო და მისი ინტერესები, ჩვენი პარტნიორი, მით უფრო, მეგობარი, არ არის.** აი ეს პირდაპირ უნდა ითქვას, თუ ილუზიებში ცხოვრება არ გვინდა. თუ არადა, ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება, მოგვიყვეს ზღაპრები, რომ თურმე ახლა, ქვეყნის სათავეში მოსვლიდან ხუთი წლის შემდეგ, გაარკვია, როგორი კრიმინალი იყო სააკაშვილი; თურმე ახლა აღმოაჩინეს, რომ 9 მილიონი გაუფლანგავს... რატომ ცხრაჯერ ცხრა მილიონი არ ექნებათ მოპარული სააკაშვილსა და მის პირსისხლიან გარემოცვას, მაგრამ ვინ არის განმკითხავი, ვის ადარდებს და ვინ ფიქრობს დამნაშავეების რეალურად დასჯაზე?!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

როგორ მოვიპაროთ მილიონები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბაზაზე M-4 ტიპის 3500 ავტომატი გვქონდა, 500 ერთეულამდე იყო დანარჩენი იარაღი. გასვლის წინ ყველა ბატალიონებს გამოუცხადეს: — ბიჭებო, რა გინდათ, საბრძოლველად აირჩიოთ: — ამერიკული M-4 თუ რუსული AKC-ო?! ყველამ აირჩია AKC-ი და რატომM აირჩია? M-4-ისთვის შექმნილი ტყვიები უვარგისი იყო. გასროლისას ავტომატში იჭედებოდა და რომელი ჯარისკაცი აიღებდა ისეთ ავტომატს, რომელსაც ტყვია ეჭედება, თანაც, როცა ომში მიდის?!“**

# სპირტისა და იარაღის კონტრაბანდით ნაშოვნი მილიონები

# რატომ არ აპატიმრებენ თავდაცვის ექსმინისტრ დავით კეზერაშვილს

**„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტს ისე ექცეოდნენ, როგორც საკუთარი ჯიბეს, და ფულს ისე ხარჯავდნენ, როგორც მოესურვებოდათ, შედეგად „ნაცმოძრაობის“ უქონელი წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ჯერ კიდევ 2007 წელს განაცხადა, ხელისუფლების სათავეში ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ, რამდენიმე წელიწადში კი მილიონერებად იქცნენ სახელმწიფო ბიუჯეტისა და წართმეული ბიზნესების ხარჯზე. სწორედ ამიტომ აღძრა სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, მისი მმართველობის პერიოდში თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილის, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის, თბილისის მერ გიგი უგულავასა და სხვების წინააღმდეგ.**

საქართველოს პროკურატურამ **მიხეილ სააკაშვილს** 2007 წლის 7 ნოემბერს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და სახელმწიფო ბიუჯეტის რამდენიმე მილიონი ლარის (ბოლო ინფორმაციით, 9 მლნ) გაფლანგვაში 2013 წელს დასდო ბრალი, როცა გასაჯაროვდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების შესახებ დოკუმენტები: გადახდის ქვითრები და ანგარიშფაქტურები. ეს დანაშაული 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, მაგრამ სააკაშვილმა დატოვა საქართველო და თავი უკრაინას შეაფარა. ამჟამად კი უკრაინის მოქალაქეობაც ჩამორთმეული აქვს და ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის. მის საქართველოში ექსტრადიციას კი დასავლელი პატრონები ეწინააღმდეგებიან.

გაქცევით უშველა თავს სააკაშვილის „რუხმა კარდინალმა“, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა **ზურაბ ადეიშვილმაც**, რომელსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, პატიმართა მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და დანაშაულის პროვოკაციის ორგანიზებაში ადანაშაულებენ, ამ ყველაფრისთვის, სულ ცოტა, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ადეიშვილმა 2012 წლის 1 ოქტომბერს დატოვა საქართველო და, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იყო ძებნა გამოცხადებული, ამჟამად უცხოეთშია (ჯერ უნგრეთში იყო, შემდეგ — უკრაინაში) და თავს მშვენივრად გრძნობს.

გაქცევა ვერ მოასწრეს თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** და შს მინისტრმა **ვანო მერაბიშვილმა.** პროკურატურამ გიგი უგულავა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა (ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 13,8 მლნ ლარი) და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება) დაადანაშაულა, რაც 8-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, მაგრამ 14-თვიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.

შს მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** პროკურატურამ 2013 წლის 13 მაისს დააპატიმრა და ბრალი დასდო მოსყიდვაში, გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. მერაბიშვილს ბრალდება წარედგინა დასაქმების პროგრამის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობისა და 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის საქმეებზე. ის 2014 წლის თებერვალში სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **დავით კეზერაშვილმა** კი დასავლელი მფარველებისა და მათი ორმაგი სტანდარტის წყალობით დაიძვრინა თავი ქართული მართლმსაჯულებისგან.

დავით კეზერაშვილი — შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირი — 2013 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. მას პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავებოდა: სპირტის კონტრაბანდასა და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისებაზე (ბრალდების მხარის მტკიცებით, მან 2008 წელს ტელეკომპანია „იმედში“ **ჯოზეფ ქეის** წილის დათმობა აიძულა). საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების, აგრეთვე, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დავით კეზერაშვილი ბრალდებულად ცნო 2013 წლის იანვარში. ეს დანაშაულები ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით.

გამოძიების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დავით კეზერაშვილმა, სარგებლის მიღების მიზნით, თანხმობა განუცხადა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს: **ნიკოლოზ დავითაშვილსა** და იოსებ **იმნაძეს**, გამოეყენებინათ სამსახურებრივი მდგომარეობა და მფარველობა გაეწიათ აღნიშნული პირების უკანონო საქმიანობისთვის. კერძოდ, გამოძიების მასალების მიხედვით, დავითაშვილმა და იმნაძემ განიზრახეს, ყურძნის მასალასთან ეთილის ან სხვა სპირტის შერევითა და ტექნოლოგიური მანიპულაციებით ეწარმოებინათ ფალსიფიცირებული საკონიაკე სპირტი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დავითაშვილმა და არჩვაძემ დაარეგისტრირეს შპს „განთიადი“ და შპს „ნაფარეული“. სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით შეადგინეს დანაშაულებრივი სქემა, როგორ უნდა შემოსულიყო ეთილის სპირტი საქართველოში ისე, რომ არ დაებეგრათ. აღნიშნულ პირებს თავიანთ საქმიანობაში სჭირდებოდათ მხარდაჭერა ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მფარველობას გაუწევდნენ. ისინი დაუკავშირდნენ ფინანსური პოლიციის იმჟამინდელ უფროს დავით კეზერაშვილს და სთხოვეს, ხელი შეეწყო უკანონო საქმიანობისთვის. კეზერაშვილი, იმის ნაცვლად, რომ მიეღო ზომები დანაშაულებრივი სქემის აღსაკვეთად, რაც მისი უშუალო მოვალეობა იყო, დათანხმდა უკანონო ბიზნესის მფარველობაზე. მან დაიკისრა ვალდებულება, გავლენა მოეხდინა საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე.






**2009 -დან 2012 წლამდე დავით კეზერაშვილმა კონტრაბანდული საქმიანობის შედეგად მიიღო 7 570 032 აშშ დოლარი.**

**დავით კეზერაშვილს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, ქრთამად აღებული აქვს 4 669 978 აშშ დოლარი, ხოლო, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, — 7 664 705 აშშ დოლარი. წლების განმავლობაში დანაშაულებრივი მანიპულაციებით საქართველოში სულ შემოტანილ იქნა 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, გადასახადების დამალვის გამო სახელმწიფომ იზარალა 49 392 341 ლარი; კეზერაშვილმა კი, საერთო ჯამში, უკანონოდ მიიღო 12 334 683 აშშ დოლარი.**

ამის მიუხედავად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ კეზერაშვილი გაამართლა და მან საქართველო დატოვა...

მაგრამ ეს არ ყოფილა კეზერაშვილისთვის წაყენებული ერთადერთი ბრალდება.

აი რას წერდა „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი **ზაზა წულაძე** 2014 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილში „რატომ ვერ ვისროლეთ M4 ტიპის ავტომატებით?!“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის — **დავით კეზერაშვილისა** და მისი პარტნიორების კორუფციულ გარიგებაზე, რომლის გამოც საქართველოს მთავრობამ **10 მილიონზე მეტი დოლარის** უვარგისი ვაზნები შეიძინა და შედეგად 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველი ჯარისკაცები ამერიკული იარაღისთვის საჭირო ვაზნების გარეშე დარჩნენ.

„საქმე ეხება 2008 წლის თებერვალში ისრაელიდან 14 მილიონი ერთეული საბრძოლო მასალის (ვაზნების — ნ.კ.) M855-ის შესყიდვას. ამ გარიგებაში ჩართული იყვნენ, როგორც გაყიდვების ინკოგნიტო აგენტი ისრაელიდან, ისე ამერიკული კომპანია ALS Technologies-ი. ამ კომპანიის პრეზიდენტი **დენიელ ალვირეზი**, 21 პირთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 2010 წელს დააპატიმრეს. ამერიკის ფედერალურმა ბიურომ მათ ბრალი „საგარეო კორუფციული პრაქტიკის აქტის“ კანონის დარღვევისთვის დასდო. ბრალდებაში ნათქვამი იყო, რომ, ერთ შემთხვევაში, 3,9 მილიონი დოლარის ღირებულების საბრძოლო მასალა საქართველოს მთავრო- ▶

**დავით კეზერაშვილს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, ქრთამად აღებული აქვს 4 669 978 აშშ დოლარი, ხოლო, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, — 7 664 705 აშშ დოლარი. წლების განმავლობაში დანაშაულებრივი მანიპულაციებით საქართველოში სულ შემოტანილ იქნა 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, გადასახადების დამალვის გამო სახელმწიფომ იზარალა 49 392 341 ლარი. კეზერაშვილმა კი, საერთო ჯამში, უკანონოდ მიიღო 12 334 683 აშშ დოლარი**

# 2016 წლის აპრილში შვეიცარიული გამოცემა TRIBUNE DE GENEVE იუწყებოდა, რომ 2006 წელს დავით კეზერაშვილი, როდესაც მან თავდაცვის მინისტრის თანამდებობა დაიკავა, მხოლოდ ერთ ბინას ფლობდა, ხოლო 2008 წლის დეკემბერში, „რუსეთთან კატასტროფული ომის შემდეგ“, კეზერაშვილი გადადგა და „მალე ოლიგარქი გახდა“.

როგორ მოვიპაროთ მილიონები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბამ 4,7 მილიონ დოლარად იყიდა, ალვირეზმა კი ქრთამად 112 ათასი დოლარი მიიღო. 2008 წლის ივლისში საქართველოს მთავრობასთან 7,2 მილიონი დოლარის გარიგებაში ალვირეზს დამატებით 57 600 დოლარი ერგო. საბრალდებო დასკვნიდან ასევე ნათელი იყო, რომ ქრთამს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირები იღებდნენ. ვიცეპოლკოვნიკმა **გაიოზ მოსეშვილმა**, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში სენაკის მეორე ბრიგადის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა, „ამერიკის ხმას“ განუცხადა, რომ ბრიგადის არც ერთმა ჯარისკაცმა ბრძოლაში ამერიკული M4 ტიპის ავტომატი არ წაიღო, ვინაიდან შეძენილი ტყვიები უხარისხო აღმოჩნდა: **„ბაზაზე M-4 ტიპის 3500 ავტომატი გვქონდა, 500 ერთეულამდე იყო დანარჩენი იარაღი. გასვლის წინ ყველა ბატალიონს გამოუცხადეს: — ბიჭებო, რა გინდათ, საბრძოლველად აირჩიოთ: ამერიკული M-4 თუ რუსული AKC-ო?! ყველამ აირჩია AKC-ი და რატომ M აირჩია? — M-4-ისთვის შეძენილი ტყვიები უვარგისი იყო, გასროლისას ავტომატში იჭედებოდა და რომელი ჯარისკაცი აიღებდა ისეთ ავტომატს, რომელსაც ტყვია ეჭედება, თანაც ომში როცა მიდის?!“** იმავეს ამბობს სერჟანტი **ამირან შავგულიძე**: „არ ემადლიერებოდნენ ჯარში M-4 ტიპის ავტომატს, არ იყო ისეთი, როგორც „კალაშნიკოვი“. ამერიკაში მიმდინარე გამოძიების თანახმად, M4 ტიპის ავტომატების ვაზნების კორუფციული სქემით შესყიდვაში ჩართული იყვნენ: ისრაელის კომპანია „პაზ ლოჯისტიკის“ პრეზიდენტი **ოფერ პაზი**, ამერიკის მოქალაქეები: **მარკ მორალესი** და **საულ მიშკინი**, რომელიც საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრ დავით კეზერაშვილს მისი ნათესავის, ქართველი ებრაელის, **შაბთაი ბატაშვილის**, საშუალებით დაუკავშირდა. ამ თემაზე წერილი სათაურით **„კორუფციის გამოძიება იარაღის ბიზნესის შესახებ საქართველოსკენ მიუთითებს“** ამერიკულმა გამოცემა **„მეინ ჯასთისმაც“** გამოაქვეყნა. 2010 წელს, როცა ამერიკაში ამ სკანდალის გამო გამოძიება დაიწყო, საქართველოში უხმაუროდ დააკავეს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი **გელა ბერძენიშვილი.** მას 2008-2009 წლებში შესყიდვების დეპარტამენტის უფროსისა და თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობები ეკავა, მაგრამ გამოძიება უფრო შორს აღარ წასულა. მოგვიანებით ბერძენიშვილი საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლდა და სკანდალი ჩაიფარცხა. ავღანეთში ქართული სამშვიდობო კონტიგენტის ყოფილი მეთაური, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო განათლების ყოფილი სარდალი, თადარიგის პოლკოვნიკი **ნიკა ჯანჯღავა** ამბობს: „რუსეთთან ომმა ყველაფერი ჩამოწერა: **მილიარდიანი ბიუჯეტი, რომელიც ომის დროს თავდაცვის სამინისტრის ჰქონდა, უცბად ისე გაქრა, რომ, ფაქტობრივად, არაფერი შეგვრჩა, გარდა იმ ყაზარმებისა, რომლებშიც ზოგან**

## აი ასეთია დასავლური მართლმსაჯულება — თურმე კეზერაშვილისთვის წაყენებული ბრალდებები კორუფციულ სქემებში მონაწილეობაზე; 12 მლნ დოლარის ქრთამის აღებაზე; ტელევიზიის მფლობელის იძულებაზე, დაეთმო წილი; 10 მლნ დოლარის ღირებულების უვარგისი ვაზნების შეძენაზე ქართველი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში ამერიკული იარაღისთვის საჭირო ვაზნების გარეშე დარჩნენ, პოლიტიკურად მოტივირებული ყოფილა, მაგრამ დასავლელი პატრონები, სააკაშვილისა არ იყოს, თავიანთ კიდევ ერთ «ძაღლიშვილს» საბრალდებო სკამზე დასაჯდომად ხომ არ გაწირავენ?!

**სანტექნიკაც არ მუშაობს და, საზოგადოდ, რთული პირობებია. ამას სჭირდება კომპეტენტური და კომპლექსური გამოძიება. თუ გვაინტერესებს, რა მოხდა, უნდა დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს კატასტროფის გამოძიება, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ე.წ ეკონომიკური ელემენტების. მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, სად წავიდა ეს ყველაფერი!“**

2008 წლის 11-22 აგვისტოს მონაკვეთში, უმაღლესი მთავარსადლობისგან უპატრონოდ მიტოვებულ სენაკის სამხედრო ბაზიდან რუსებმა ასეულობით მილიონი დოლარის ქართული სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალა უპრობლემოდ გაიტანეს. მათ შორის, ამერიკული M-4 ტიპის ავტომატები და მისი უვარგისი ტყვიებიც. აგრეთვე, ჯავშანტრანსპორტიორები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები. ახალი კვადროციკლები, სამხედრო „ლენდროვერები“, „დოჯები“, „ურალები“, „ზილები“, „კამაზები“, „კრაზები“, „მაზ“-ისა და „გაზ“-ის ტიპის მანქანები, T-72 ტიპის ტანკები. ერთი ასეთი ტანკის ღირებულება 540 000-დან 669 000 დოლარამდე მერყეობდა. რუსების შემოსვლამდე სენაკის მეორე ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცეპოლკოვნიკმა **გაიოზ მოსეშვილმა**, 14 ჯარისკაცთან ერთად, მეზობელ რაიონებში გადამალა ჯავშანტრანსპორტიორები, ტანკი T-72, „ლენდროვერები“ და სხვ. ოთხი „მი-8“ ტიპის ვერტმფრენი გადამალა მშობლიურ სოფელში მაიორმა **გოდერძი ლეკვეიშვილმა.** 2010 წელს ყველა სამხედრო პირი, რომლებიც სენაკის სამხედრო ბაზის ქონების გადარჩენაში მონაწილეობდნენ, სხვადასხვა მიზეზით შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს. თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი გაიოზ მოსეშვილი დარწმუნებულია, რომ **საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში გარკვეული ჯგუფი დაინტერესებული იყო, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ძალებს სენაკის სამხედრო ბაზა მთლიანად გაეძარცვათ, რათა კორუფციული გზით შეძენილი უხარისხო იარაღისა და სამხედრო მასალის კვალი სამუდამოდ გამქრალიყო“.**

აღსანიშნავია, რომ „2016 წლის მაისში ისრაელში დაჰკითხეს ყოფილი გენერალი **გალ ჰირში**, რომელსაც, სხვა ბრალდებებთან ერთად, საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრ **დავით კეზერაშვილისთვის** ქრთამის მიცემაში ადანაშაულებენ. ეს ინფორმაცია Democracy & Freedom Watch-მა ებრაულ გამოცემა Haaretz-ზე დაყრდნობით გაავრცელა.




როგორც გამოცემა წერდა, ჰირში ებრაული არმიის ბრიგადის გენერალი იყო, სანამ საკუთარ კომპანია Defensive Sheild-ს დაარსებდა. 2015 წლის სექტემბერში ჰირშმა ისრაელის პოლიციის უფროსის პოსტზე თავისი კანდიდატურა მოხსნა სკანდალის გამო, რომელშიც Defensive Shield-ი და დავით კეზერაშვილი ფიგურირებდნენ. ისრაელის პოლიცია ეჭვობს, რომ Defensive Sheild-მა თაღლითობისა და ქრთამის საშუალებით მოიპოვა ათობით მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტები. ხოლო პირი, რომელსაც, სავარაუდოდ, ქრთამი მისცეს, არის დავით კეზერაშვილი. პოლიციის ვერსიით, ქრთამის გადაცემა კეზერაშვილის მეგობრის საშუალებით ხორციელდებოდა, რომელიც ჰირშს იცნობს“ (NEWS.GE. 12 მაისი, 2016).

მანამდე კი კეზერაშვილის სახელი გახმაურდა ე.წ. პანამის დოკუმენტების საქმეშიც, 2016 წლის აპრილში შვეიცარიული გამოცემა Tribune de Geneve იუწყებოდა, რომ **2006 წელს დავით კეზერაშვილი, როდესაც მან თავდაცვის მინისტრის თანამდებობა დაიკავა, მხოლოდ ერთ ბინას ფლობდა; ხოლო 2008 წლის დეკემბერში, „რუსეთთან კატასტროფული ომის შემდეგ“, კეზერაშვილი გადადგა და „მალე ოლიგარქი გახდა“.**

გამოცემის ინფორმაციით, „კეზერაშვილის გადადგომიდან 10 დღეში ნდობით აღჭურვილმა პირმა მისთვის 3 ოფშორული კომპანია დააფუძნა, რომელთა ანგარიშებზეც ნავთობის გაყიდვიდან მიღებული მილიონები გადარიცხა.

პანამის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ კომპანიისთვის ერთ-ერთი ანგარიში გაიხსნა შვეიცარიულ ბანკ BCGE-ში, სადაც გადაირიცხა 20 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (21 მილიონამდე აშშ დოლარი). კიდევ 25 მილიონი გადაირიცხა იმავე გზითა და იმავე პერიოდში ბანკებში:– ABN AMRO-სა და BNP Paribas-ში.

2013 წლის დასაწყისში კეზერაშვილის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდებით საქართველოში გამოძიება დაიწყო. 2013 წლის მაის-ივნისში კი კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა პანამურ იურიდიულ კომპანია Mossack Fonseca-ს მოულოდნელად დოკუმენტების ძველი თარიღით რეგისტრაცია მოსთხოვა. სასამართლო საქმის წარმოების დაწყებამდე კეზერაშვილმა თავისი აქტივები ორ სხვა ოფშორულ კომპანიაში გადაიტანა“.

კეზერაშვილი თავის აქტივებს საქართველოში ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ 2011 წლის ანგარიშში „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“ აღნიშნულია, რომ საქართველოს სარეკლამო სექტორის დიდ ნაწილს დავით კეზერაშვილი აკონტროლებდა. მისი მეგობრები და ნათესავები ფლობდნენ, მართავდნენ ან დაკავშირებულნი იყვნენ ამ სექტორის რამდენიმე დიდ კომპანიასთან, რომელთა შორის იყო:

***„ჯენერალ მედია“** — სარეკლამო სახლი, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა რეკლამის განთავსება ყველა ნაციონალურ არხზე. კომპანიამ 2012 წლის არჩევნების შემდეგ შეწყვიტა ფუნქციობა;

***„აუთდორ.ჯი“** — გარე რეკლამის უმსხვილესი კომპანია თბილისში, რომელსაც თბილისის მერიამ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სარეკლამო განცხადებების განთავსების ექსკლუზიური უფლება მიანიჭა. მტკვრის მარცხენა სანაპიროს კი „სმოდ ედვერთაიზინგი“ აკონტროლებს, რომელიც, როგორც ირკვევა, „აუთდორ. ჯის“ შვილობილი კომპანიაა. „აუთდორ. ჯის“ მთავარი აქციონერია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია Adprojects Inc-ი (70%);

*კეზერაშვილის სახელთან დაკავშირებულ სარეკლამო სააგენტოებს შორისაა: **„მედია პორტი“, „ედ უინდფორსი“, „ედ კორპორეიშენ“-ი, „SM ჯორჯია“.**

**დიმიტრი ჩიქოვანი,** კეზერაშვილის სიძე, მისი ბიზნესების ერთ-ერთი მმართველი იყო საქართველოში. 2012 წლის იანვარში ჩიქოვანი გახლდათ დირექტორი „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგისა“, რომელიც ფოთის პორტში მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა. სწორედ აქ იკვეთება კეზერაშვილის ინტერესები ფოთის პორტის მიმართ. დიმიტრი ჩიქოვანი მინდობილობით წარმოადგენდა ასევე **Adprojects Inc.**-ს, **„აუთდორ. ჯის“** მესაკუთრეს, და **„ლექსორ კაპიტალს“**, რომელიც **„საქართველოს ლატარიის კომპანიის“** 30%-იანი წილის მფლობელია.

2011 წელს კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ **„გალფის“** მესაკუთრე იყო. 2012 წლის ნოემბერში „სან პეტროლეუმ ჯორჯიამ“ (რომელიც „გალფის“ დაახლოებით 140 ბენზინგასამართ სადგურს ამუშავებს საქართველოში) განაცხადა, რომ კეზერაშვილმა ამ კომპანიის ყველა აქცია დათმო. 2012 წლის ივლისამდე კეზერაშვილი შპს **„უნიგრუპსაც“** ფლობდა, რომელიც „ლუკოილის“ პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი იყო.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩეკილი ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი სატელევიზიო კომპანიებსაც ფლობდა. კეზერაშვილი „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ 40-40%-ის მფლობელი იყო. „რუსთავი 2“-ში თავდაცვის ყოფილი მინისტრი კომპანია „მედია ჯორჯიათი“ იყო წარმოდგენილი, „მზეში“ — „ჯორჯიან მედია კომპანით“. კეზერაშვილმა მერე ეს წილები ტელეკომპანიებში მიხეილ სააკაშვილის კურსელ **ლევან ყარამანიშვილისგან** შეიძინა. „რუსთავი 2“-ის წილში კეზერაშვილმა 500 000 დოლარი გადაიხადა, ხოლო „მზის“ ანალოგიური 40%-იანი წილი 250 000 დოლარი დაჯდა, თუმცა 2 თვეში კეზერაშვილმა ეს წილები ისევ ყარამანაშვილებს მიჰყიდა.

**აი ეს ქონება და ბიზნესები 4-5 წელიწადში ჩაიგდო ხელში დავით კეზერაშვილმა, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, დროშების ქნევის მეტი, არაფერი გაუკეთებია და მხოლოდ თავისი, მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ კეთილდღეობით იყო დაინტერესებული.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კეზერაშვილის ზემოთ ჩამოთვლილი აქტივების უმეტესობა თბილისში დაბადებულმა, მაგრამ რუსეთში მცხოვრებმა ბიზნესმენმა **დავით იაკობაშვილმა** შეიძინა.

**ძებნილი დავით კეზერაშვილი 2013 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში დააკავეს, როგორც შსს აღნიშნავდა: „პარიზისა და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად“, მაგრამ საფრანგეთის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ კეზერაშვილის წინააღმდეგ საქართველოში სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული, გაათავისუფლა და უარი თქვა მის ექსტრადიციაზე საქართველოში.**

ამჟამად კეზერაშვილი იმყოფება დიდ ბრიტანეთში. 2016 წელს ლონდონის სასამართლომ უარი განაცხადა საქართველოსთვის მის გადაცემაზე. მიზეზად კი დაასახელა ის, რომ კეზერაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურადაა მოტივირებული(?). **აი ასეთია დასავლური მართლმსაჯულება: თურმე კეზერაშვილისთვის წაყენებული ბრალდებები კორუფციულ სქემებში მონაწილეობაზე; 12 მლნ დოლარის ქრთამის აღებაზე; ტელევიზიის მფლობელის იძულებაზე, დაეთმო წილი; 10 მლნ დოლარის ღირებულების უვარგისი ვაზნების შეძენაზე ქართველი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში ამერიკული იარაღისთვის საჭირო ვაზნების გარეშე დარჩნენ, პოლიტიკურად მოტივირებული ყოფილა.**

მაგრამ დასავლელი პატრონები, სააკაშვილისა არ იყოს, თავიანთ კიდევ ერთ „ძაღლისშვილს“ საბრალდებო სკამზე დასაჯდომად ხომ არ გაწირავენ?!

**მომზადებულია საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებების, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით**

**ცნობისთვის: დავით კეზერაშვილი დაიბადა 1978 წელს თბილისში; 1992 წელს ბებიასთან ერთად ისრაელში, ჰოლონში, გადასახლდა; წელიწად-ნახევრის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა; 1999 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი; ფლობს ინგლისურ, რუსულ, იტალიურ ენებსა და ივრითს.**

**იუსტიციის სამინისტროში მუშაობის პერიოდში ის მიხეილ სააკაშვილის თანაშემწე გახდა; შემდეგ ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, სადაც ფინანსური პოლიციის განყოფილების უფროსი იყო.**

**2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი ოქრუაშვილი შეცვალა, ამ თანამდებობიდან 2008 წლის 5 დეკემბერს გადააყენეს.**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გარეთ ვერ გამოხვალ წესიერად და ალმაშენებლის გამზირი თბილისია, თურქეთი თუ ირანი, ვერ მიხვდები... აი ამაზე ისაუბრონ. ჩადრიანი ადამიანები დადიან ქუჩაში, — სხვათა შორის, ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში ჩადრით სიარული აკრძალულია, — და იმ ჩადრის მიღმა კაცია თუ ქალი, ვერ მიხვდები. ჩემი აზრით, ეს არის რეალური საფრთხე და ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება დღეს ევროპაში — კვირა არ გავა, ტერაქტი რომ არ მოხდეს. აქაც ვინ სად აიფეთქებს თავს, კაცმა არ იცის“



მამა დავითი (ქვლივიძე):

# რა ქნას ბერძენიშვილმა, არსებობა ხომ უნდა?! ამ სიტყვების შემდეგ 30 ვერცხლს მაინც მისცემენ

**მინიმალური რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში რუსული ძალების არსებობაზე საუბრობს და ამბობს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნულ საკითხს თანაგუნდელებთან ერთად აქტიურად წამოწევს. პარტია, რომლის პოლიტიკური ხედვა თუ იდეოლოგია საზოგადოების უმრავლესობის ეროვნულ ინტერესებს აცდენილია, სამღვდელოებისკენ იშვერს თითს და წინასაარჩევნოდ ეკლესიის „რუსული დესანტისგან“ გაწმენდის აუცილებლობაზე მიუთითებს.**

**„ჩვენ ღიად და მკაფიოდ გავილაშქრებთ იმ უსამართლო პრაქტიკის წინააღმდეგ, რომ არამხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც არის ყოველწლიურად 25 მილიონი ლარი, არამედ ლამის ყოველი თვითმმართველობიდან, ლამის ყოველ მეორე სხდომაზე ჰექტრობით მიწა, ქონება ეკლესიას გადაეცემა... ეკლესია შეზრდილია ხელისუფლებასთან და ხელისუფლებასთან ვაჭრობა-გარიგების გზით მიმდინარეობს ჩვენი მოქალაქეების გაკონტროლება. გარდა ამისა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სულ უფრო სახიფათო ხდება რუსეთის გავლენა საქართველოს საპატრიარქოზე.**

**საქართველოს ეპისკოპოსთა ნაწილი ღია ტექსტით მხარს უჭერს რუსეთს და აგინებს დასავლეთს. გნებავთ, ეპოსკოპოსი იობი, რომელიც განსაკუთრებული განათლებით ვერ დაიკვეხნის და გნებავთ, ეპისკოპოსი იოანე გამრეკელი, რომელიც, სწორედ რომ განათლებით დაიკვეხნის, მაგრამ ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, „ერეკლე მეორის საზოგადოებასთან“ ერთად, ანტიამერიკული ფილმისთვის ტაში დაეკრა კინოს სახლში. ჩვენ ამ თემებზე ღიად ვილაპარაკებთ“, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა. მისივე განმარტებით, წინასაარჩევნოდ რესპუბლიკური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვაზე.**

**ეკლესიაში რა „დესანტის“ არსებობაზე ლაპარაკობს ბერძენიშვილი, რა სახის პოლიტიკურ კამპანიას შეიძლება ველოდოთ ამ განცხადების კვალდაკვალ და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე).**

**— მამაო, რესპუბლიკელ დავით ბერძენიშვილს თუ დავუჯერებთ, დღეს ეკლესია სავსეა მძლავრი „რუსული დესანტით“, რომელიც სახელმწიფოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მისი თქმით, ეს „დესანტი“ წინასაარჩევნოდ უნდა ამხილონ და ეკლესია ასე გაწმინდონ. როგორც სასულიერო პირი, რას უპასუხებთ დავით ბერძენიშვილს?**

— **დავით ბერძენიშვილსგან** ეს სიახლე არ არის. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გარდმოდინდების“, ანუ, რაც აქვს ამ კაცს სულსა და გულში, ეს არის და ამის ფონზე, რაც უნდა ბევრი ილაპარაკოს ქართველობაზე, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს, რეალურად ვინ არის. ისე, რესპუბლიკელებს არასდროს დაუმალავთ თავიანთი დამოკიდებულება ეკლესიისა და სარწმუნოებისადმი, ისინი ყოველთვის აქილიკებდნენ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობას, პატრიარქს, წმინდა სინოდს, სამღვდელოებას. პარალელურად გვახსოვს მათ მიერ მამათმავლების დროშის ფრიალი, ჰომოსექსუალების მხარდამჭერი განცხადებები და ა.შ., ანუ ეს მათი შინაგანი სამყაროა და ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, პასუხი უნდა გავცეთ და, საერთოდ, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვის აძლევს ხმას.

რაც შეეხება რუსული ძალების არსებობას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ჩვენ ვხედავთ, რომ სტამბოლიდან ჩამოდიან გარკვეული ძალები, მიჰყავთ ახალგაზრდები თურქეთში და იქ სასულიერო განათლებას აძლევენ. თურქეთიდან დაბრუნებულებულები კი, რომელი ქვეყნის სამსახურში დგებიან და რას საქმიანობენ, ვფიქრობ, გასარკვევი და დასადგენია ქართული სპეცსამსახურების მიერ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ თურქული და ირანული ფულით შენდება სუნიტური და შიიტური მეჩეთები, გამუდმებით საუბრობენ მუსლიმანთა სალოცავების ნაკლებობაზე, ახალი მეჩეთების აშენების აუცილებლობასა და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევაზე. ახლა წარმოიდგინეთ, **რუსეთში რომ მიჰყავდეთ ქართველი ახალგაზრდები, იქ აძლევდნენ რელიგიურ განათლებას, ასწავლიდნენ, მღვდლებად აკურთხებდნენ და რუსული ფულით შენდებოდეს საქართველოში ეკლესიები, რა ამბავს ატეხდნენ ჩვენი ე.წ. ლიბერალები!** ამასთანავე, შეგახსენებთ, რომ ახლახან თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** ოფიციალურად მოუწოდა ევროპაში მცხოვრებ თურქებს გამრავლებისა და ევროპის დაპყრობისკენ. ერდოღანმა დაიქადნა, რომ მალე ევროპა თურქების გახდება. ამ განცხადების მოსმენის შემდგომ, ვფიქრობ, გონიერი პოლიტიკოსი უნდა ხვდებოდეს, სად და რომელი ქვეყნიდან არის გადმოსხმული „დესანტი“, ანუ საიდან მოდის საფრთხე.

**— რუსებიც ისე რომ მოქცეულიყვნენ, როგორც თურქები, რას იტყოდნენ ჩვენი ლიბერალები?**

— რას იტყოდნენ, არ იცით? ატეხდნენ განგაშსა და ვაივიშს, რუსეთი ბნელ წარსულში გვაბრუნებსო. თურქეთი მეჩეთს მეჩეთზე რომ ითხოვს და ბათუმი, ფაქტობრივად, საკუთარ ტერიტორიად აქვს გამოცხადებული, თურმე არაფერია, მთავარი ის ყოფილა, რომ ეკლესიაში „რუსული დესანტია“. ჯერ ერთი, სად დაინახეს ეს „დესანტი“, გაუგებარია, მაგრამ დავანებოთ ამას თავი, „მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო“, ასეა მათი საქმე... რა „დესანტზე“ და რუსულ ძალებზე ლაპარაკობენ, გარეთ ვერ გამოხვალ წესიერად და ალმაშენებლის გამზირი თბილისია, თურქეთი თუ ირანი, ვერ მიხვდები... აი ამაზე ისაუბრონ. ჩადრიანი ადამიანები დადიან ქუჩაში, — სხვათა შორის, ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში ჩადრით სიარული აკრძალულია, — და იმ ჩადრის მიღმა კაცია თუ ქალი, ვერ მიხვდები. ჩემი აზრით, ეს არის რეალური საფრთხე და ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება დღეს ევროპაში — კვირა არ გავა, ტერაქტი არ მოხდეს. აქაც **ვინ სად აიფეთქებს თავს, კაცმა არ იცის.**

რაც შეეხება ბერძენიშვილის განცხადებას, ვფიქრობ, ძალიან კარგია, რომ ის ამგვარ განცხადებებს აკეთებს და წინასაარჩევნოდ თვითონვე ახდენს საკუთარი თავისა და პარტიის ლუსტრაციას, ამიტომაც არიან ერთპროცენტიანები და დარწმუნებული იყავით, მათი რეიტინგი ვერასოდეს გასცდება ამ ერთ პროცენტს.

**— როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ამოცანას ემსახურება ამ შემთხვევაში ეკლესიის კრიტიკა?**

— წმინდა ილია მართალი წერს: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო“. აი ამას ებრძვიან. იგივე ილია მართალი ბრძანებს, რომ ქრისტიანობის გარეშე საქართევლო ერთი დიდი შავი ლაქაა, რომელსაც ვერაფრით შეავსებ. წარმოიდგინეთ, რა არის საქართველო სვეტიცხოვლის გარეშე, ოშკის, ბაგრატის, გელათის გარეშე. ამ ყველაფრის მტრები არიან რესპუბლიკელები, მაგრამ რა ქნას ბერძენიშვილმა, არსებობა ხომ უნდა?! ის ფიქრობს, რომ ამ სიტყვების შემდეგ 30 ვერცხლს მაინც მისცემენ.

**— იმავე განცხადებაში ბერძენიშვილმა ეკლესიის დაფინანსებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ საკითხს წინასაარჩევნოდ საჯარო განხილვის საგნად აქცევენ.**

— სჯობს, თვითონ საიდან ფინანსდებიან, ამაზე ილაპარაკოს... ეკლესია იმსახურებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, იმიტომ, რომ მან საქართველოს ისტორია შექმნა და ქვეყანა აქამდე მოიყვანა. აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ეკლესიას თავისი ქონება დაუბრუნეს და კომპენსაციაც გადაუხადეს სულიერი და მატერიალური ზიანისთვის.

საინტერესოა, თვითონ საიდან საზრდოობენ, ვის გრანტზე არიან?! სოროსის ხომ არა, რომელიც, როგორც დესტრუქციული ძალა, უკვე აკრძალულია ევროპის არაერთ ქვეყანაში?

**— ბერძენიშვილმა და მისმა პოლიტიკურმა თანამებრძოლებმა კარგად იციან, რომ ეკლესიის კრიტიკით მათი ისედაც დაბალი რეიტინგი კიდევ უფრო ეცემა და რისთვის სჭირდებათ შეტევა როგორც ეკლესიაზე, ისე სამღვდელოებაზე?**

— მათ იციან, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერასოდეს მოიპოვებენ, ეკლესიის ლანძღვითა და კრიტიკით კი ვიღაც რაღაცას გადმოუგდებთ. აი, ამისთვის აკეთებენ ასეთ განცხადებებს. ღმერთმა უშველოთ!..

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ სამღვდელოებაც უფრო აქტიური უნდა იყოს ანტიეკლესიური ძალების მხილებაში? მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის ან მსგავსი იდეოლოგიის მქონე სხვა სუბიექტების შეტევების მიმართ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.**

— ისინი საკუთარ თავს თვითონვე ამხელენ თავიანთი საუბრებით, ამას ჩარევა არ სჭირდება. ან ვინ უნდა ამხილოს ბერძენიშვილი იმაზე უკეთ, ვიდრე ეს თვითონ გააკეთა ერთი განცხადებით?! წარმოიდგინეთ მისი პოლიტიკური აზროვნების დონე, როცა ისიც ვერ გაურკვევია, რის თქმა სჯობს თავისი პარტიის რეიტინგის ასამაღლებლად. ხალხს არც ის დავიწყებია, მისი თანაპარტიელი **უსუფაშვილი** როგორ აცხადებდა საჯაროდ, ჩემს შვილებს ქვეყნის პატრიოტებად არ გავზრდი და სამშობლოსთვის თავგანწირვას არ ვასწავლიო. ეს იმ დროს, როდესაც მისი მეუღლე, თავდაცვის მინისტრი, ევროპას „აშანტაჟებდა“ და რუსეთთან ომისკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო მარტო „შეასკდებაო“ რუსეთს. საინტერესოა, ვისი შვილების ხარჯზე?! აი ასეთი ბრძენი და წინდახედული პოლიტიკოსები არიან უსუფაშვილ-ბერძენიშვილები და მათი თანაგუნდელები.

**— რუსულ კვალში, ალბათ, გულისხმობენ იმას, რომ ჩვენც მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ და ისინიც.**

— რა ვქნათ ახლა, მათ გამო სარწმუნოებას ვერ გამოვიცვლით. ჩვენი მამა-პაპაც ასე იყო: მიუხედავად იმისა, რომ ერთმორწმუნე ბიზანტია ებრძოდა საქართველოს, მაინც მართლმადიდებლები ვიყავით ჩვენც და ისინიც. საერთოდ, მე ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ ადამი- ▶



**«რესპუბლიკელებს არასდროს დაუმალავთ თავიანთი დამოკიდებულება ეკლესიისა და სარწმუნოებისადმი, ისინი ყოველთვის აქილიკებდნენ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობას, პატრიარქს, წმინდა სინოდს, სამღვდელოებას. პარალელურად გვახსოვს მათ მიერ მამათმავლების დროშის ფრიალი, ჰომოსექსუალების მხარდამჭერი განცხადებები და ა.შ., ანუ ეს მათი შინაგანი სამყაროა და ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, პასუხი უნდა გავცეთ და, საერთოდ, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვის აძლევს ხმას»**

**ეს რაკეტები და მისთვის საჭირო ძრავები დამზადებულია დნეპროპეტროვსკის ქარხანა „იუჟმაშში“. ექსპერტთა დასკვნით, სწორედ ამ უკრაინულმა საწარმომ, რომელსაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ შეკვეთები შეუწყვიტა რუსეთმა, გაგზავნა ძრავები კსდრ-ში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ანებს ვურჩევ, გულდასმით წაიკითხონ საქართველოს ისტორია, თუმცა რა აზრი აქვს: მთავარი წაკითხვა კი არ არის, არამედ წაკითხულიდან რა დასკვნას გამოიტან. ბერძენიშვილსა და მის თანამოაზრეებს უნდა ახსოვდეთ ერთი რამ: როგორც მაცხოვარი ბრძანებს, „ეკლესია არის ლოდი თავკიდული, ანუ კუთხის ლოდი და, ვინც ამ ლოდს დაეცემა, დაიმტვრევა, ხოლო ვისაც ეს ლოდი დაეცემა, გაისრისება“. ეკლესიასთან ბრძოლა დასაწყისშივე განწირულია მარცხისთვის, ამის მაგალითი იყო **ნერონი, იულიანე განდგომილი,** რომლის უკანასკნელი სიტყვები იყო: „შენ მე მაჯობე გალილეველო“; **მურვან ყრუ**, რომელიც საქართველოს აოხრებიდან მოკლე ხანში შეთქმულებმა მოკლეს, ენა მოაჭრეს და კატებს აჭამეს; **ჯალალ-ად-დინი,** რომელიც თბილისისა და საქართველოს აოხრების შემდეგ ქურთმა მწყემსა მოკლა ძვირფასი ქამრის გამო და უპატრონოდ დააგდო მინდორში; აღმოსავლეთის ლომად წოდებული **შაჰ-აბას I** — საქართველოს ამაოხრებელი, მან სიცოცხლე ფსიქიკური აშლილობით, სიგიჟით დაამთავრა და ყველამ იცოდა, რომ ეს წმინდა ქეთევან დედოფლის წამების გამო დაემართა; **ვლადიმერ ლენინი,** რომელსაც დღემდე მიწა არ ღირსებია, და ა.შ. თუ გონებას მოუხმობენ და ამ გრძელ ნუსხაში თვითონაც არ ჩაეწერებიან, მათთვის უკეთესი იქნება.

**— ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას ურჩევთ ქართველ ხალხს და თუ ხედავთ ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მისაღებია ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის?**

— მე ხალხს ვეტყოდი სახარების სიტყვებს: „იყავით ბრძენი, ვითარცა გველი, და უმანკონი, ვითარცა მტრედი“. როდესაც სოლომონ მეფემ, როდესაც მას ღმერთი გამოეცხადა და ჰკითხა, რა გინდა, ყველაფერს მოგცემ, რასაც მთხოვო, თქვა, სიბრძნე მომეცი, რათა კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი მქონდესო. მეც ერთ რამეს ვთხოვ უფალს: ჩვენს ხალხს მისცეს სიბრძნე, ანუ შავისა და თეთრის, კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი! ეს არის მთავარი და მართებული არჩევანი, სწორი ნაბიჯი ქვეყანას ყოველთვის გადაარჩენს, ყოველთვის გამოიყვანს რთული ვითარებიდან.

**— აქამდე მაინცდამაინც ვერ გამოვირჩეოდით ამ უნარით...**

— აქამდე რაც იყო, ყველამ ვიცით. ბერძენიშვილს პარლამენტში რომ აირჩევ, ოთხი წელი თავზე დაისვამ და ამართვინებ ქვეყანას, რა არჩევანზეა საუბარი?! კაცი გამოდის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს დასცინის, ეს ქართველისთვის დედის გინებაზე უარესია. აი ასეთი რამ რომ არ განმეორდეს, ხალხს ვურჩევ, გულდასმით გააკეთოს არჩევანი. ამ არჩევანზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი და უნდა გვესმოდეს, რომ, თუ ხელისუფლების სათავეში უსუფაშვილ-ბერძენიშვილებისნაირი ადამიანები იქნებიან, არანაირი მომავალი არ გვექნება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# «ნიუ იორკ თაიმსი»: უკრაინის დახმარებით ჩრდილოეთ კორეამ შექმნა რაკეტები, რომლებითაც აშშ-ს ემუქრება

**„ჩრდილოეთი კორეის სარაკეტო პროგრამის ბოლოდროინდელი წარმატებები, კერძოდ, ბირთვულქობინიანი საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნა, რომლებსაც შეუძლია აშშ-ის ძირითად ტერიტორიამდე მიაღწიოს, განპირობებულია უკრაინისგან მძლავრი სარაკეტო ძრავების საიდუმლო შესყიდვით“, — წერს ამერიკული გამოცემა The NewYork Times-ი, რომელიც სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) მოხსენებას და სპეცსამსახურების მონაცემებს ეყრდნობა.**

## ექსპერტებმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის (კსდრ) ბოლოდროინდელი წარმატებები რაკეტების შექმნის საქმეში უკრაინულ «იუჟმაშს» დაუკავშირეს



ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კსდრ-ის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა HWASONG-14-ის ძრავა, ეს არის რაკეტა „სატანის“ წინამორბედის — Р-36-ის ძრავა РД-250.

„ეს ნათელს ჰფენს იმას, როგორ უზრუნველყო კსდრ-მ სარაკეტო პროგრამის ასეთი პროგრესი მძიმე ავარიების სერიის შემდეგ, რომელთა ნაწილიც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო საკვანძო მასალების მიწოდების საბოტაჟითა და კიბერშეტევებით აშშ-ის მხრიდან. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეამ შეცვალა თავისი რაკეტების კონსტრუქცია და მიმწოდებლები“, — წერს „ნიუ იორკ თაიმსი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** და სახელმწიფო მდივანმა **რექს ტილერსონმა** კსდრ-ის საკონტინენტშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმატებით გაშვების „ეკონომიკურ ხელშემწყობად“ ჩინეთი და რუსეთი დაასახელეს, მაგრამ უკრაინა ერთხელაც არ უხსენებიათ.

ექსპერტებმა რაკეტა Hwasong-14-ის ფოტოს გაანალიზებით დაადგინეს, რომ რაკეტის ძრავა — ეს არის საბჭოთა მძიმე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა Р-36-ის (ნატოს კლასიფიკაციით — SS-9) ძრავა РД-250 (Р-250), რომელიც ისეთი მძლავრია, რომ ამ ძრავით აღჭურვილ ერთ რაკეტას შეუძლია 10 თერმობირთვული ქობინის გადატანა კონტინენტიდან კონტინენტზე. ასეთ ძრავებს მხოლოდ საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქარხანა ამზადებდა.

ფოტოზე აშკარად ჩანს РД-250-ისთვის დამახასიათებელი განივი კვეთის არხი, რომელიც საჭიროა თხევადი საწვავის გადასაქაჩავად, აგრეთვე, 4 მოწყობილობა, რომლებიც სრულად იმეორებს რაკეტა Р-36-ის სქემას.

**ეს რაკეტები და მისთვის საჭირო ძრავები დამზადებულია დნეპროპეტროვსკის ქარხანა „იუჟმაშში“. ექსპერტთა დასკვნით, სწორედ ამ უკრაინულმა საწარმომ, რომელსაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ შეკვეთები შეუწყვიტა რუსეთმა, გაგზავნა ძრავები კსდრ-ში.**

„ეს ძრავები, ალბათ, კონტრაბანდისტული გზით გადაიტანეს უკრაინიდან ჩრდილოეთ კორეაში, — განუცხადა სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტმა **მაიკლ ელემანმა** „ნიუ იორკ თაიმსს. — საკითხავია, რამდენი ძრავა გაუგზავნეს და ამჟამადაც თუ ეხმარებიან უკრაინელები ჩრდილოკორეელებს“.

ექსპერტების მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნულია: ფხენიანის ახალი რაკეტები შექმნილია ისეთი რთული ტექნოლოგიებით, რომ კსდრ, უბრალოდ, ვერ შეძლებდა რაკეტების შემადგენელი ნაწილების ასე სწრაფად შეცვლას. ჩრდილოკორეელებმა ძრავა პირველად 2016 წლის სექტემბერში გამოსცადეს და მხოლოდ 10 თვე დასჭირდათ ახალ ტექნოლოგიებზე გადასასვლელად.

ივლისში „იუჟმაშმა“ უარყო ცნობა, რომ უცხოეთში ყიდის სახიფათო ტექნოლოგიებს, მაგრამ ამერიკელ ექსპერტებს არ სჯერათ საწარმოს ხელმძღვანელების განცხადების, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ხელისუფლებაც უარყოფს კსდრ-ისთვის უკრაინული ძრავების გადაცემას.

აღსანიშნავია, რომ 6 წლის წინათ ჩრდილოკორეელი ჯაშუშები შეეცადნენ, „იუჟმაშასთვის“ მოეპარათ რაკეტის საიდუმლოებები, მაგრამ განზრახვას მიუხვდნენ და დააპატიმრეს. გამორიცხული არ არის, რომ მეორე მცდელობა უკვე „პოსტრევოლუციურ ქაოსში ჩაძირულ უკრაინაში“ წარმატებით დასრულდა.

**შეგახსენებთ:** რამდენიმე დღის წინათ კსდრ დაემუქრა აშშ-ს, რომ რაკეტებით დაბომბავდა წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ გუამს, რომელზეც განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზა. საპასუხოდ ტრამპმა განაცხადა, რომ მზად აქვს ჩრდილოეთ კორეაზე სამხედრო დარტყმის გეგმა, თუ ეს ქვეყანა თავისი მუქარის შესრულებას შეეცდება.



## ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი:

# მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, ვვარაუდობდით, სამ ეტაპად აგვემოქმედებინა რუსეთის დაშლის სტრატეგიული გეგმა

**ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა „გარდიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუსეთის დასაშლელად ბრიტანეთისა და აშშ-ის გეგმებზე ისაუბრა. ჯონ სკარლეტის განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა აშშ-ისა და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების სპეცოპერაცია იყო, რომლის მიზანსაც სინამდვილეში წარმოადგენდა არა „ტირანი შევარდნაძის“ დამხობა და ქართველი ერის „დემოკრატიის სიკეთეებთან“ ზიარება, არამედ რუსეთის დეფრაგმენტაციისკენ მიმართული სამეტაპიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელება.**

სკარლეტმა „გარდიანს“ განუცხადა, რომ „მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, ვვარაუდობდით, სამ ეტაპად აგვემოქმედებინა რუსეთის დაშლის სტრატეგიული გეგმა. **პირველი** ნაბიჯი ამ მიმართულებით, რომელიც გადავდგით, იყო **სამხრეთ ოსეთის გარშემო სამხედრო და სადაზვერვო ბაზების შექმნა, ასევე, სამხედრო და უშიშროების ოფიცრების ამოქმედება სამხრეთ ოსეთში.**

გეგმის **მეორე** ეტაპი ითვალისწინებდა **ჩეჩნეთში, დაღესტანში, ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩერქეზეთში ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტების მოსვლას.** გეგმის ამ ნაწილის უკან იდგა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, მი 6-ის, აგრეთვე, თურქეთისა და საუდის არბეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელ პირთა კონკრეტული შეხვედრები და, თუკი ისლამისტები მოახერხებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას რუსეთის რეგიონებში, ნატოს სამხედრო ძალები პრაქტიკულ წვდომას მიიღებდნენ კავკასიის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილზე.

გეგმის **მესამე** ეტაპის დაწყებას უკრაინაში კერძო სამხედრო კომპანიებისა და სხვა სამხედრო ბაზების დასტაბილურების შემდეგ ვვარაუდობდით. დაგეგმილი გვქონდა, **აშშ-ისა და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების საერთო ძალისხმევით რუსეთსა და უკრაინას შორის ფიქტიური კონფლიქტი გამოგვეწვია, რომელსაც მოჰყვებოდა აშშ-ისა და ბრიტანეთის ჩარევა და შავიზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიაზე ნატოს ძალების კონტროლის დამყარება.** მიგვაჩნდა, რომ ოპერაციის ეს ეტაპი საქართველოსა და უკრაინის ნატოში ოფიციალური მიღებით უნდა დასრულებულიყო, ეს კი რუსეთისთვის მორიგი კოლაფსი იქნებოდა... სააკაშვილმა, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, ნატოში შესვლის მისწრაფება გამოავლინა და ჩვენი ხელშეწყობით მისი ეს მოწოდება ნატოს დღის წესრიგშიც მოხვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 2008 წლის ომი კავკასიაში ჩვენი გეგმების წინააღმდეგ რუსეთის რკინის მუშტად გადაიქცა. მართალია, უკრაინაში კიევისა და მოსკოვის ურთიერთობების სისტემატური გამწვავება მოხერხდა, მაგრამ პუტინმა ყირიმის რუსეთთან მიერთებით დამანგრეველი დარტყმა მიაყენა ჩვენს სტრატეგიულ გეგმას და ოპერაცია პრაქტიკულად შეჩერდა“.

REN.tv

დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ ვატყუებთ საკუთარ თავს, როდესაც ვამბობთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაემხო იმიტომ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიისა და ღირსების დაცვის იდეების გარშემო გაერთიანდა. სინამდვილეში, ასე მოიქცა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ვერ მოიშორებდა იმ ჭირს, რადგან (თუნდაც გაყალბება არ ყოფილიყო) ამომრჩეველთა საკმარისი რაოდენობის მობილიზებას ვერ მოახერხებდა. ძირითადი მასა სააკაშვილის წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, როცა ბიძინა ივანიშვილში ახალი, უკეთესი პატრონი დაინახა.**

# რატომ დავეძებთ პატრონს?

**„ქვეყანას პატრონი არ ჰყავს“, — ეს საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აღწერაა. ქართული საზოგადოებრივი აზრის და, შესაბამისად, პოლიტიკის ცენტრალურ იდეას კარგი პატრონის ძებნა წარმოადგენს. ჩვენ ძალიან იშვიათად ვაღიარებთ იმას, რომ სწორედ ესაა პრობლემების პირველწყარო.**



ათწლეულების განმავლობაში საქმე გვქონდა სახელმწიფოსთან, რომელიც მოქალაქეთა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს არეგულირებდა. წარმოდგენა სახელმწიფოს როლზე საზოგადოების დიდ ნაწილში თითქმის ისეთივეა, როგორიც საბჭოთა პერიოდში იყო. მის ფარგლებში ხელისუფლება უნდა ეპყრობოდეს მოქალაქეს დაახლოებით ისე, როგორც მშობელი შვილს: კვებავდეს მას, იცავდეს, მკურნალობდეს, ართობდეს, „სწორი გზით“ მიჰყავდეს და ა.შ.

ეს დამოკიდებულება შენარჩუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალ სახელმწიფოს შეუდარებლად ნაკლები რესურსი აქვს. მთავარი როლი ამაში უმძიმესმა ტრავმამ შეასრულა, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ 90-იანი წლების დასაწყისში მიიღო. პირობითმა „ბავშვმა“ დამოუკიდებლად ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ძირს დაენარცხა. როდესაც გონს მოეგო, იგრძნო ტკივილი და შიმშილი, გარშემო მხოლოდ გაძარცვული ქვეყნის ნანგრევები დაინახა, ატირდა და დაკარგული უფროსის – პატრონის ძიება დაიწყო. ის ხედავდა მას მმართველებში თუ ოპოზიციონერ პრეტენდენტებში, უცხო ქვეყნების მთავრობებში, მაგრამ არა საკუთარ თავში. ელიტამ მიიღო მისთვის მომგებიანი როლური თამაში და იმ პერიოდიდან მოყოლებული ნებისმიერი წინასაარჩევნო ლოზუნგი თუ პროგრამა მთლიანობაში ერთ იდეამდე დადის: „მე კარგი პატრონი ვიქნები“. ბუნებრივია, რაც უფრო ფართოა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზონა, მით უფრო დიდია მმართველი ელიტის გავლენა.

**ჩვენ ვატყუებთ საკუთარ თავს, როდესაც ვამბობთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაემხო იმიტომ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიისა და ღირსების დაცვის იდეების გარშემო გაერთიანდა. სინამდვილეში, ასე მოიქცა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ვერ მოიშორებდა იმ ჭირს, რადგან (თუნდაც გაყალბება არ ყოფილიყო) ამომრჩეველთა საკმარისი რაოდენობის მობილიზებას ვერ მოახერხებდა. ძირითადი მასა სააკაშვილის წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, როცა ბიძინა ივანიშვილში ახალი, უკეთესი პატრონი დაინახა.**

თუ ჩვენ გავაანალიზებთ პრეტენზიებს ივანიშვილის მიმართ, ვნახავთ, რომ პოლიტიკური ხასიათი მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს, დანარჩენი კი, არსებითად, წარმოადგენს სხვაობის გამოხატვას იდეალური პატრონის წარმოსახვით სახესა და რეალურ ივანიშვილს შორის. სწორედ აქედან იწყება მმართველი რეჟიმების უარყოფა, ახალი პატრონის ძებნა, შემდეგ — იმედგაცრუება, ისევ უარყოფა და ა.შ.

ხელისუფლება თვითმმართველობას ზღუდავს — წინააღმდეგ თითქმის არავინ გამოდის (რაც თავისთავად ნონსენსია) ოპოზიციონერებისა და არასამთავრობოების მცირე ნაწილის გარდა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას, თავის მხრივ, ამოძრავებს საკუთარი ინტერესები და არა თვითმმართველობის დაცვის სურვილი. პრობლემა ისაა, რომ თვითმმართველობა საქართველოში, როგორც წესი, არ ასოცირდება დამოუკიდებელ ცხოვრებასთან და საკუთარი პრობლემების გადაწყვეტასთან, არამედ გაუმაძღარი, ყველა მთავრობაზე მორგებული, პარაზიტი ჩინოვნიკების კიდევ ერთ, დამატებით რგოლთან. ზოგადად კი, თვითმმართველობის იდეა შეიძლება გაიაზროს მხოლოდ ზრდასრულმა ადამიანმა, ინფანტილურ მოზარდს ის არ სჭირდება, მეტიც — ეშინია მისი, რადგან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას აკისრებს.

სააკაშვილის რეჟიმი ცდილობდა, ცხოვრების ყველა სფერო გაეკონტროლებინა, ფასადების ფერით დაწყებული ფილმის „აგვისტოს ხუთი დღე“ სცენარით დამთავრებული — მისი ბუნება გამორიცხავდა მისგან დამოუკიდებელი პროცესების არსებობას, მაშინაც კი, როდესაც ისინი არანაირ საფრთხეს არ შეიცავდა. **მიხეილ სააკაშვილს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა, ხოცავდა და აწამებდა ადამიანებს, მაგრამ თითქმის არასოდეს იმისთვის, რომ მიძვრებოდა იქ, სადაც ხელისუფლებას არაფერი ესაქმება**. ბიძინა ივანიშვილი გაცილებით ფრთხილად მოქმედებს, მაგრამ არც დღევანდელ საქართველოში არსებობს სფერო, რომელსაც ხელისუფლება არ აკონტროლებს, არ ცდილობს, გაატაროს არა იდეებზე, არამედ მაღალჩინოსნების ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკა. შეუძლებელია, საქართველოში გააკეთო რაიმე მასშტაბური ისე, რომ ეს ინტერესები სათვალავში არ მიიღო, ამაში არაერთი ბიზნესმენი თუ სხვა სფეროში მოღვაწე მოქალაქე დარწმუნდა.

**იმისათვის, რომ საქართველოში ოდესმე ნამდვილი რევოლუცია მოხდეს და დაიწყოს ახალი, ღირსეული ცხოვრება, საზოგადოება „დიდი პატრონის“ იდეის წინააღმდეგ უნდა წავიდეს. ეს ისეთივე მასშტაბის ფსიქოლოგიურ გადატრიალებასა და ღირებულებების გადაფასებას მოითხოვს, როგორც მოზარდის გადაწყვეტილება, დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყოს.**

**იმისათვის, რომ საქართველოში ოდესმე ნამდვილი რევოლუცია მოხდეს და დაიწყოს ახალი, ღირსეული ცხოვრება, საზოგადოება «დიდი პატრონის» იდეის წინააღმდეგ უნდა წავიდეს**

ხელისუფლება უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებას, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვას და რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების რეალიზებას — სულ ეს არის. ხელისუფლება, რომელიც ამ ჩარჩოდან გადის, უნდა განიხილებოდეს, როგორც საშიში ბოროტმოქმედი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას საუკეთესო სურვილები ამოძრავებს.

როდესაც ვწუხვართ იმის გამო, რომ მდიდარი წარსულისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმალური არსებობის მიუხედავად, უცხოელები სათანადო პატივისცემით არ გვეპყრობიან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი გრძნობენ ჩვენს ინფანტილურობას და შინაგან სისუსტეს, რომელიც, მათ შორის, ე.წ. გარე რეფერენციაში ვლინდება. **ჩვენ მუდამ ვფიქრობთ იმაზე, მოეწონება თუ არა ის, რასაც ვაკეთებთ, უცხოელებს, პირობით „უფროსებს“ და საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის მთავარ კრიტერიუმად მათ რეაქციას განვიხილავთ.**

ინფანტილური საზოგადოება ვერასოდეს მოიგებს ომს და ვერ დაამარცხებს სიღარიბეს, სამართლიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ქართული პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს არენას, რომელზეც სხვადასხვა რანგისა და კალიბრის პატრონები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ალიანსებს ქმნიან, გავლენის სფეროებს ინაწილებენ. „ჩვეულებრივ მოქალაქესაც“ შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში, თუ ერთ-ერთი მათგანის ამალაში „ჩაეწერება“ და მოიქცევა ისე, როგორც ვასალი ფეოდალურ ხანაში; სხვა პოლიტიკა საქართველოში არ არსებობს.

თანამედროვე საქართველოს მთავარი ტრაგედია, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ მან მიიღო ფორმალური დამოუკიდებლობა უფრო ადრე, ვიდრე საზოგადოების წევრთა უმრავლესობამ შინაგანი დამოუკიდებლობა მოიპოვა და გადაწყვიტა, რომ ამიერიდან საკუთარ თავზე პასუხს თვითონ აგებს. სწორედ ამ მომენტში დაიბადა ფენომენი, რომელსაც პირობითად შეიძლება „ილუზორული დამოუკიდებლობა“ ვუწოდოთ. როდესაც ახალი სიმბოლოების სიუხვემ (დროშა იქნებოდა თუ სხვა) მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის წარმატებით დაგვირგვინდა მაშინ, როდესაც ის რეალურად არ დაწყებულა.

იმის მტკიცება, რომ ამ პრობლემების დაძლევა იოლად შეიძლება, ძალიან დიდი უსინდისობაა. პოლიტიკოსები ამას რეგულარულად აკეთებენ, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს არა ცუდი ლიდერის ან პოლიტიკის პრობლემასთან (ეს შედეგია და არა მიზეზი), არამედ არასაკმარისი განვითარების პრობლემასთან, რომლის გამოსწორებას, მონდომების გარდა (რომელიც ან არსებობს ან არა), დრო სჭირდება. საქართველოს ჩამორჩენა დაიწყო საუკუნეების წინათ, მონღოლებისა და თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ და მან „ექსტერნად“ უნდა გაიაროს, გაიაზროს და განიცადოს ყველაფერი კაცობრიობის გამოცდილებიდან, რაც თავის დროზე „გამოტოვა“. არჩევანი დემოკრატიისა და დამოუკიდებელი ცხოვრების სასარგებლოდ შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ გამოცდილებაზე და არა აბსტრაქტულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ამას კი დრო სჭირდება. ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ არ მივსულვართ იმ მდგომარეობამდე, რომელსაც იმანუელ კანტი კაცობრიობის მიმართ „ზრდასრულს“ უწოდებდა, და ამას შეიძლება რამდენიმე თაობის გამოცვლა დასჭირდეს. თუმცა იმედისმომცემია ის, რომ ახალგაზრდების ნაწილი ზიზღით უყურებს თანამედროვე ქართულ პოლიტიკას და აცნობიერებს, რომ XXI საუკუნეში მზრუნველი პატრონის თუ ფეოდალური სიუზერენის მუდმივ ძიებაში არის რაღაც უკიდურესად პათოლოგიური.

ზვიადი, ედუარდი, მიშა, ბიძინა... კიდევ რას შეიცავს ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში შეძენილი გამოცდილება, ამ ჩამონათვალის გარდა? რას ვხედავთ ამის იქით? რა გვაქვს აქტივში? ასი წლის შემდეგ იმ მოვლენებისგან, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, საუკეთესო შემთხვევაში, ისტორიის სახელმძღვანელოში რამდენიმე სტრიქონი დარჩება. მნიშვნელობა ექნება არა იმას, რა დაგვემართა, არამედ მხოლოდ იმას, რა გავიაზრეთ და როგორ შევიცვალეთ, რადგან ეს მომავალ თაობებს შესაძლებლობას მისცემს, განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდნენ. რით განვსხვავდებით 90-იანების მოქალაქეებისგან, რომლებიც კითხულობდნენ: „ვის გავყვეთ?“ (და მიიღეს ჯაბა იოსელიანის პასუხი „ტრამვაის გაყევით“). განა დღეს ნაკლებად დაბნეულები ვართ? კაცმა რომ თქვას, ამ წლების განმავლობაში საქართველოში ძალიან ბევრი რამ მოხდა, მაგრამ თითქმის არაფერი შეცვლილა.

საქართველოს პრობლემებს ვერ გადაწყვეტს ვერც ფული, ვერც შეიარაღება ან ძლიერი მოკავშირეები და მითუმეტეს უბადრუკი პოლიტიკური ელიტა, არამედ – მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე, რომელსაც საკუთარი ძალების იმედი აქვს. ქვეყნის დახსნას დაუსრულებელი კოშმარისგან მხოლოდ ასეთი მოქალაქეებისგან შემდგარი საზოგადოება თუ მოახერხებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მის მოახლოებულ დაბადებაზე არაფერი მიანიშნებს.

**საქართველოს პრობლემებს ვერ გადაწყვეტს ვერც ფული, ვერც შეიარაღება ან ძლიერი მოკავშირეები და მითუმეტეს უბადრუკი პოლიტიკური ელიტა, არამედ – მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე, რომელსაც საკუთარი ძალების იმედი აქვს. ქვეყნის დახსნას დაუსრულებელი კოშმარისგან მხოლოდ ასეთი მოქალაქეებისგან შემდგარი საზოგადოება თუ მოახერხებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მის მოახლოებულ დაბადებაზე არაფერი მიანიშნებს**

**მილიარდერის გავლენის ქვეშ აშკარად მოქცეული „იმედი“, საკუთარი თავის კი არა, „რუსთავი 2“-ის იმედადაა და იქიდან მილიარდერის უზნეო და, პირდაპირ ვთქვათ, გოიმური სტრატეგიის მიხედვით, უკვე ძალიან დიდი ხნის ნაცვეთ და მოძველებულ პერსონებსა და გადაცემებს „იბირებს“.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «იმედი» «რუსთავი 2»-ის იმედად

## ანუ ბიძინური უზნეობის გაკვეთილები გრძელდება

**ჩვენი მხსნელი მილიარდერის ჯიუტი ხასიათის შესახებ ადრეც ბევრი მსმენია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ხასიათის ამ შტრიხმა ტელევიზიების მიმართ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ კიდევ 2012 წელს, როდესაც პირველად შევიტყვე ახალი, ყველაზე რეიტინგული და „ამინდის შემქმნელი“, პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი ტელევიზიის ჩამოყალიბების ივანიშვილისეული გეგმის შესახებ, მაშინვე ვუთხარი „ოცნების“ იმ ბოსებს, რომლებამდეც ხმა მიმიწვდებოდა, რომ ეს სრულიად სულელური, ძალიან გოიმური გეგმა იყო და ჩავარდნისთვის, მეტიც, სრული გაფარჩაკებისთვის იყო განწირული.**

იმხანად ზოგმა ბოღმიანი მიწოდა, ზოგმა — შურიანი, ზოგმაც კი, საერთოდ, გიჟად მომნათლა. „კაცს იმდენი ტვინი აქვს, მილიარდები იშოვა და შენ ასწავლი, რა როგორ გააკეთოსო?! ეს პირადად ბიძინას გეგმაა და ასი პროცენტით გაამართლებსო“, — მარწმუნებდა მავანი.

არადა, ამ სრულიად სულელური გეგმის არსი იყო ის, რომ „რუსთავი 2“ „შიგნიდან“ უნდა დაეშალათ, თანაც იქ მომუშავე ადამიანების „ჯი-დი-ეს“-ზე გადაბირების (დიდძალი ფულის მეშვეობით) გზით.

ახლა ამბობენ, ეს პირადად **ბიძინა ივანიშვილის** გეგმა არ იყო, მისი გარემოცვა მოქმედებდა დაუკითხავადო, მაგრამ თვით ბიძინა **ივანიშვილს არაერთ პრესკონფერენციაზე უთქვამს ფრაზა, რომელიც პირდაპირ მიანიშნებდა, რომ ამ ადამიანს „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები რაღაც განსაკუთრებულ ჟურნალისტებად მიაჩნდა და ისიც არაერთხელ წამოსცდენია, რომ „ბედნიერი იქნებოდა, თუკი „რუსთავი 2“-ელები გონს მოეგებოდნენ და დადგებოდნენ სიმართლის მხარეს“, ანუ წამოვიდოდნენ „რუსთავი 2“-დან და მივიდოდნენ ივანიშვილის გავლენის ქვეშ მყოფ ამა თუ იმ ტელევიზიაში.**

აკი, პოლიტიკაში ჩართვის შესახებ პირველივე განცხადებაში, ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბერში, ანუ არჩევნებში გამარჯვებამდე 1 წლით ადრე, ბიძინა ივანიშვილმა „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს მიმართა, რომ წამოსულიყვნენ ამ „სიცრუის მანქანიდან“. სანაცვლოდ მილიარდელი მათ „გაცილებით უკეთეს პირობებს“ სთავაზობდა.

ჟურნალისტების ასეთი საჯარო მოსყიდვის მცდელობა, მგონი, მსოფლიოს არ ახსოვს.

ყოველივე ეს ორმაგად და ათმაგად დიდი უზნეობაა იმ ფონზე, როდესაც საუბარია ნაციონალების მანიაკურ რეჟიმსა და მის „გამპრავებელ“ ჟურნალისტებზე.

ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, პირდაპირ ამბობდა, რომ სასათბურე პირობებს შეუქმნიდა მათ, ვინც მანამდე, მთელი 9 წლის განმავლობაში, ფეხქვეშ ეგებოდა მიშა სააკაშვილს, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებმაც არ იკადრეს რეჟიმთან თანამშრომლობა და პროტესტის ნიშნად „სიცრუის მანქანიდან“ გაცილებით ადრე წამოვიდნენ, პროფესიონალებადაც კი არ მოიხსენიებდა.

მოკლედ, **პირდაპირი მტკიცებულებები თუ არა, „გონივრული ეჭვი“ მაინც არსებობს იმის შესახებ, რომ ყოველივე, რაც დღეს ქართულ მედიაბაზარზე ხდება, სწორედ ყოფილი პრემიერმინისტრისა და ყველაზე პოპულარული ქართველი მილიარდელის „ბრძნული ჩანაფიქრის“ შედეგია.**

ორიოდე კვირის წინათ ამ „ბრძნული ჩანაფიქრის“ კიდევ ერთი ეტაპის მომსწრე გავხდით და ჟურნალისტ **ნატა მახვილაძისა** და სპორტულ კომენტატორ **დიმიტრი ოზოლაძის** კვალდაკვალ „რუსთავი 2“-დან „იმედისკენ“ აიღეს გეზი უცხოური პროექტების ქართულად ადაპტირების პროდიუსერმა **გიორგი ხაბურზანიამ** და კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტმა **დემნა ჯაფარიძემ.**

ეგ კი არა, ამჯერად, **„რუსთავი 2“, თავისი გადაცემებიანად, „იმედისკენ“ დაიძრა და მაყურებელს უკვე დაუანონსეს, რომ მომდევნო სეზონიდან ცნობილი ტელეშოუ „ნიჭიერი“, „რუსთავი 2“-ის ნაცვლად, „იმედის“ ეთერში გავა.**

აი ეს კი, მართლაც, მსოფლიოში არნახული და უპრეცედენტო შტერობაა!

**ერთმა ტელევიზიამ მეორე ტელევიზიიდან რომ გადაიბიროს და მოისყიდოს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ პროექტები და გადაცემები, მსოფლიო ტელევიზიის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. არ მომხდარა არა იმიტომ, რომ, ჩვენი „ბრძენი“ ბიძინას გარდა, არავის შეუძლია ამის გაკეთება, არამედ იმიტომ, რომ ეს სრულიად მიუღებელ, უღირს, არაპრესტიჟულ და უთავმოყვარეო საქციელად ითვლება ნებისმიერი, მეტნაკლებად სერიოზული ტელევიზიისთვის.**

თუკი ტელევიზიას პრეტენზია აქვს ტელევიზიობაზე, მან ახალი, საკუთარი, გინდაც ნაყიდი და გინდაც უახლესი ორიგინალური ფორმატის პროექტები უნდა აწარმოოს და არა ათი წლის განმავლობაში ადაპტირებული და გაცვეთილი გადაცემები გადაიტანოს არხიდან არხზე.

ეს სატელევიზო აქსიომაა და, ვინც ოდნავ მაინც არის ამ სფეროში ჩახედული, უსიტყვოდ დამეთანხმება. თუმცა თავი თავანებოთ გლობალურ და დაუწერელ ტელეკანონებს და, ჩვენი მილიარდერის წარმოუდგენლად ჯიუტი ხასიათი რომ ვახსენეთ ამ სტატიის და-

**ერთმა ტელევიზიამ მეორე ტელევიზიისგან რომ გადაიბიროს და მოისყიდოს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ პროექტები და გადაცემები, მსგავსი რამ მსოფლიო ტელევიზიის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. არ მომხდარა არა იმიტომ, რომ, ჩვენი «ბრძენი» ბიძინას გარდა, არავის შეუძლია ამის გაკეთება, არამედ იმიტომ, რომ ეს სრულიად მიუღებელ, უღირს, არაპრესტიჟულ და უთავმოყვარეო საქციელად ითვლება ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად სერიოზული ტელევიზიისთვის**

საწყისში, ისევ იმას მივუბრუნდეთ.

საინტერესოა, **იმის მიუხედავად, იცის თუ არა ბიძინამ გლობალური დაუწერელი ტელეკანონები, როდემდე უნდა „მიაწვეს პირველ ჩვენებას“ და ახალი, კონკურენტუნარიანი ტელევიზიის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად როდემდე უნდა მიაჩნდეს „რუსთავი 2“-დან „პროფესიონალი კადრების“ გადაბირება?**

2012 წელს **ლევან გოგორელიანის** (იგივე „ფაქო“), **ამიკო ჩოხარაძის, დავით გოგიშვილისა** („ციყვი“) და **თემო მჟავიას** „გადაბირება“ **ბერა ივანიშვილის** ტელევიზია „ჯი-დი-ეს“-ში შეფასდა, როგორც „ბიძინას ორმაგი გათვლა“. ეს პირადად მითხრეს ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრებმა, როდესაც ვიკითხე, რატომ იყო საჭირო „რუსთავი 2“-სთვის არც ისე დაფასებული ადამიანების ასეთი ზარ-ზეიმით გადაბირება და მათთვის „ჯი-დი-ესზე“ ათიათასობით ლარის ოდენობის ხელფასის დანიშვნა, მაშინ, როდესაც ამავე არხიდან 2007-2008 წლებში წამოსული ადამიანები, ფაქტობრივად, უანგაროდ ედგნენ გვერდით „ქართულ ოცნებას“. მიპასუხეს: „ეს ორმაგი გათვლაა, თან ჩვენს ტელევიზიას გავაძლიერებთ და თან მტრის ტელევიზიას შიგნიდან დავშლით!“

ასეთი, ყოვლად უგუნური პასუხის მიღების შემდეგ, რა თქმა უნდა, მოურიდებლად განვაცხადე, — ამ პერსონების წამოყვანა რამეს დაუშავებს „მიშას ტელევიზიას“ თუ არა, ეს მაინც უზნეო ნაბიჯია; და მეორეც — გათვლა ძალიან სულელურია და, „ფაქოს“ ხელმძღვანელობით წამოყვანილი „იუმორისტების“ გამო, „რუსთავი 2“ ოდნავაც კი არ დაზარალდება და ვერც „ჯი-დი-ეს“-ს შეემატება რამე-მეთქი.

კეთილი, მე იმხანად ბოღმიანი და შურიანი ვიყავი, ჯანდაბას, მაგრამ, როდესაც მართლა ასე მოხდა და „ფაქოების“ წასვლით „რუსთავი 2“ არათუ „დაიშალა“, არც კი შენჯღრეულა და შეტოკებულა, ნეტავ, რატომ არ დაფიქრდა ბატონი მილიარდერი, — მგონი, ვცდები და ასეთი მეთოდი არ ამართლებსო?!

იმიტომ, რომ ის, უბრალოდ, წარმოუდგენლად ჯიუტია და არასოდეს აღიარებს, რომ სულელური „სტრატეგია“ აირჩია.

ასეთ არაღიარებებს კი, მსგავსი უჯიუტესი პერსონებისგან მოჰყვება სულელური სტრატეგიის გაგრძელება და მისი გამართლება სხვადასხვა სულელურივე არგუმენტით.

მაგალითად, ასეთით: „ჰო, მართალია, ფაქოსა და მისი ჯგუფის გადმობირებამ არ გაამართლა, რადგან არც ისე სერიოზული პერსონები იყვნენ, მაგრამ საინფორმაციოს უფროსისა და გენერალური დირექტორის მოადგილის, **ნინო შუბლაძის,** გადმობირება ნამდვილად დაანგრევს რუსთავი 2“-ს!“

და ვერავითარი ძალა ვერ გადაათქმევნებს ასეთ სისულელეს ჯიუტ მილიარდერს: ვერც ის არგუმენტი, რომ თავის დროზე „რუსთავი 2“ დატოვა გენერალურმა დირექტორმა ნიკა ტაბატაძემ და მას მიჰყვა „კურიერის“ მთელი გუნდი მთავარი პროდიუსერის, **თამარ რუხაძის**, ჩათვლით, ხოლო საინფორმაციო სამსახურის უფროსი **ეკა ხოფერია** პირდაპირ ეთერში გადადგა თანამდებობიდან, მაგრამ „რუსთავი 2“ მაინც არ დაშლილა და ჩვეულებრივ განაგრძო არსებობა...

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე, სისულელესთან ერთად, უდიდესი უზნეობაა, ჯიუტი მილიარდერი მაინც ჯიუტად განაგრძობს „სტრატეგიას“. მოუხედავად იმისა, თვალნათლივ ხედავს, რომ არც ნინო შუბლაძის წასვლა შეიმჩნია დიდად „რუსთავი 2“-მა და სარეიტინგო სიაში მაინც პირველია.

და, მიუხედავად ამისა და იმისაც, რომ მანამდეც იყო მცდელობა „20/30“-ის შექმნით და იქ **არჩილ გამზარდია-ბიძინა ივანიშვილის** დუეტის დასმით „ინგა გრიგოლიას ჩაძირვისა, რომელიც ასევე სამარცხვინო კრახით დასრულდა, მიუხედავად იმისაც, რომ მთელი ეს სამარცხვინოობები „რეიტინგების მთვლელ კომპანიას“ დაბრალდა და ბაზარზე ჯიუტმა მილიარდერმა თავისი „მთვლელი“ შემოიყვანა, რომელმაც მაინც ვერაფრით „დათვალა“ ის, რაც ბიძინას სურდა... მოკლედ, მიუხედავად ბევრი სამარცხვინო მცდელობისა, მედიაბაზარზე ხელოვნურად გამოეყვანათ „პირველი ვიოლინო“, ჯიუტი მილიარდერი მაინც ჯიუტად ადგას იმავე სტრატეგიას და, დიმა ობოლაძისა და ნატა მახვილაძის შემდეგ, ახლა უკვე **დემნა ჯაფარიძისა** და გიორგი ხაბურზანიას „იმედზე“ გადაბირებით აპირებს „რუსთავი 2“-ის დანგრევას...

ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **მილიარდერის გავლენის ქვეშ აშკარად მოქცეული „იმედი“, საკუთარი თავის კი არა, „რუსთავი 2“-ის იმედადაა და იქიდან მილიარდერის უზნეო და, პირდაპირ ვთქვათ, გოიმური სტრატეგიის მიხედვით, უკვე ძალიან დიდი ხნის წინათ „გაცვეთილ“ და მოძველებულ პერსონებსა და გადაცემებს „იბირებს“.**

მე, შურიანი და ბოღმიანი ბაკურ სვანიძე, ვაცხადებ, რომ ეს უზნეო და ყოვლად სულელური „სტრატეგიაა“ და ჯაფარიძე-ხაბურზანიას დუეტის გადმობირება „იმედზე“ კიდევ უფრო გააძლიერებს „რუსთავი 2“-ს!

ეს რომ ასე იქნება, ეჭვი ისევე არ მეპარება, როგორც აქამდე „რუსთავი 2“-დან სხვა პერსონების უზნეო „ფულისტური“ მეთოდებით გადმობირებისას ან გადმობირების მცდელობებისას არ მეპარებოდა და მართალი აღმოვჩნდი კიდეც.

საკითხავი მხოლოდ ესაა: გასაგებია, რომ ზნეობა ბიძინა ივანიშვილისგან ძალიან შორს დგას; ჯანდაბას, ისიც გასაგებია, რომ, მიუხედავად მილიარდერობისა, ეს კაცი მეტისმეტად გოიმია და სნობურად აზროვნებს, ანუ მისთვის „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები ზეკაცები არიან, მაგრამ ფაქტებს რა ვუყოთ? იმას მაინც როდის უნდა მიხვდეს ეს ძალიან ჯიუტი მილიარდერი, რომ მისი „სტრატეგიები“, შესაძლოა, ბიზნესკომპანიების შემთხვევაში ამართლებს, მაგრამ მედიაორგანიზაციებში მსგავსი „სტრატეგიების“ იმედად ყოფნა სრული სისულელეა?!

იმედი ჯერ კიდევ გვაქვს. აი, **„იმედი“ კი უკვე აშკარად გაწუდგა „ინფო 9“-ის, „მეცხრე არხის“, „მაესტროსა“ და „ჯი-დი-ეს“-ის გზას მედიამოუსავლეთისკენ...**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვისაც ჰგონია, რომ პუტინის ვიზიტი აფხაზეთში მაინცდამაინც 8 აგვისტოს უბრალო დამთხვევაა, ის თვითონ არის დამთხვეული. აგვისტოს ომის დაწყების მე-9 წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტის სოხუმში ვიზიტი იყო ჟესტი, რომელიც, ჩემი აზრით, ბოლო გაფრთხილებას ნიშნავდა ან უფრო უარესს — რუსების მოთმინების ფიალის ავსებას და, აქედან გამომდინარე, ისინი, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, საკუთარი ინტერესების შესაბამისად,იმოქმედებენ საქართველოში.**

# აშშ-ის ლაქია თუ სამკაული რუსეთის იმპერიისა?

**„ღმერთო, ნუ მიიყვან რუსებს ისეთ სასოწარკვეთილებამდე, რომ იძულებული შეიქნას, დატოვოს საქართველო, რომელიც უმალ არეულობის, ურთიერთშუღლისა და დაუძინებელი მტრების თავდასხმის მსხვერპლი გახდება“, — ეს სიტყვები, რომლის ჭეშმარიტებაში ბოლო 25 წლის განმავლობაში დავრწმუნდით, დაახლოებით 150 წლის წინათ ბრძანა მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილმა, დიდმა ქართველმა პოეტმა და მამულიშვილმა გრიგოლ ორბელიანმა.**

და მართლაც, ვინც რეალობას ადეკვატურად აღიქვამს, კარგად ხედავს, რა შავ დღეშია საქართველო რუსების წასვლის შემდეგ, როგორ პატარავდება ჩვენი სამშობლო შაგრენის ტყავივით. ახლა მავანი იტყვის, თვით რუსეთმა „დაგვაცოტავაო“ და ნაწილობრივ მართალიც იქნება. დიახ, ნაწილობრივ, რადგან საქართველოს არც ერთ მოსაზღვრე ქვეყანასთან (გარდა თურქეთისა, რაც, ჩვენი კი არა, სსრკ-ს დამსახურებაა) არ აქვს საზღვრები დადგენილი. ბევრს ვლაპარაკობთ ცხინვალის რეგიონში რუსების ე.წ. მცოცავ ანექსიაზე, რომელიც, როგორც ირკვევა, ანექსია კი არა, ყოფილი საბჭოთა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების აღდგენაა. სამხრეთ ოსეთისა, რომელსაც, შეურაცხადი **სააკაშვილისა** და მისი ხელისუფლების წყალობით, ახალგორის რაიონიც დაემატა, რომ აღარაფერი ვთქვათ ანალოგიურ ქმედებაზე აფხაზეთში, რომლის შედეგადაც კოდორის ხეობა დავკარგეთ. თითქმის ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს აზერბაიჯანსა და სომხეთთან საზღვრებზე — ხან დავითგარეჯას დაპატრონებას ცდილობენ, ხან ჯავახეთზე აცხადებენ პრეტენზიას. ამას სულაც არ ვამბობ სომხებისა და აზერბაიჯანელების გასაღიზიანებლად.

სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს ხომ, პრაქტიკულად, ხელისუფლება, პატრონი არ ჰყავს და ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას მიესადაგება ანდაზა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. 2008 წლის ომის შედეგად რუსეთს, პრაქტიკულად, ოკუპირებული აქვს მის მიერვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული სოხუმისა და ცხინვალის რეგიონი, მაგრამ რა გავაკეთეთ ჩვენ ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლიდან დღემდე რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად? — არაფერი, გარდა ნატო, ნატოსა და ოკუპანტი, ოკუპანტის ძახილისა, რითაც რუსეთს მხოლოდ ვაღიზიანებდით, სანაცვლოდ კი აშშ-დან და ევროპა-ნატოსგან დასტა-დასტა ვიღებდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ განცხადებებსა თუ რეზოლუციებს... თუმცა ამ წერილის მთავარი თემა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაა, დღეიდან არც ერთ ანტირუსულ გამოხდომას უპასუხოდ აღარ დავტოვებთო.

დიახ, აღარ, რადგან **ვლადიმერ პუტინს**, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტრატეგიული პაუზა ჰქონდა აღებული, რადგან აქამდე ითვალისწინებდა აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, **დონალდ ტრამპის,** პრობლემებს. ტრამპს კი დაუპირისპირდა ამერიკის ლიბერეალური ისტებლიშმენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად მართავს აშშ-ს და, შესაბამისად, დასავლეთს. ამიტომ ელოდა ვლადიმერ პუტინი ამერიკელ კოლეგას 6 თვის განმავლობაში — იქნებ მოხდეს სასწაული და დონალდ ტრამპმა ნამდვილი პრეზიდენტობა შეძლოსო, მაგრამ, როდესაც მისტერ ტრამპმა ე.წ. უსქესო ტუალეტების გაუქმებაც კი ვერ შეძლო, დარწმუნდა, რომ მისგან ხეირიანი არაფერი გამოვიდოდა, რადგან, თუ გაჯიქდებოდა, უკეთეს შემთხვევაში, იმპიჩმენტი ხელში ეჭირა და უარესში კი არლინგტონის სასაფლაოზე პომპეზური დაკრძალვაც არ იყო გამორიცხული. რა, ერთი და ორი პრეზიდენტი მოუკლავთ მსოფლიოს დემოკრატიის ფუძემდებლებს?

დონალდ ტრამპმა გაჯიქება დემოკრატი ვირებისა და რესპუბლიკელი სპილოების (ეს უწყინარი ცხოველები ამ მაწყინარ პარტიათა სიმბოლოებია) მარიონეტობა არჩია — ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს და ხვალ რა იქნება, ვნახოთ... მაგრამ პუტინი ხვალეს დალოდებას აღარ აპირებს და ამიტომ განაცხადა, — არც ერთ ანტირუსულ გამოხდომას უპასუხოდ არ დავტოვებთო.

და რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება?

ნათქვამია, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო და, თუ ეს მართალია, მაშინ ასეც შეიძლება თქმა: ჩემი მტრის მეგობარი ჩემი მტერია! ამის ნათელი დადასტურებაა უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. **პეტრე პოროშენკოს,** ვლადიმერ პუტინის მტერს, მეგობრულად დახვდა **გიორგი მარგველაშვილი,** ანუ მარგველამ პუტინი მტრად მოიკიდა. პოროშენკოს ჩამოსვლას მოჰყვა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ **მაიკ პენსის** ვიზიტი, რომელსაც ვაზელინით უხვად შეზავებული შეხვედრა მოუწყო ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც. სანაცვლოდ კი მაღალი რანგის ამერიკელი სტუმრისგან ვერბალური მხარდაჭერა მიიღეს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში,




**ან გარყვნილი ნეოლიბერალური დასავლეთი (წაიკითხე, აშშ), თავისი ულმერთობით, ერთნაირსქესიანთა ქორწინებებით, იელოველი ხლისტების სექტებით, ინცესტითა და ა.შ., მოკლედ: ან აშშ-ის «შნირობა», ან ერთმორწმუნე რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა და ფიზიკურ განადგურებას გადარჩენა, ქართველობის, მართლმადიდებლობის შენარჩუნება და რუსეთის იმპერიის სამკაულობა!**

ვაზიანის ბაზაზე ორიოდე ამერიკული ტანკიც აახრიგინ-ჩაახრიგინეს და „ბაი, ბაი!“ — საქართველო კვლავ მარტო დარჩა მცოცავ ანექსიასთან. იყო თუ არა ეს ყოველივე ანტირუსული გამოხდომები?

რუსებმა ჩათვალეს, რომ იყო და საპასუხო ნაბიჯმაც არ დააყოვნა — აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის თვითმფრინავი, ალბათ, ატლანტის ოკეანის თავზე იმყოფებოდა, როცა 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომიდან ზუსტად 9 წლისთავზე, რუსეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში დაეშვა.

პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება და, **ვისაც ჰგონია, რომ პუტინის ვიზიტი აფხაზეთში მაინცდამაინც 8 აგვისტოს უბრალო დამთხვევაა, ის თვითონ არის დამთხვეული. აგვისტოს ომის დაწყების მე-9 წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტის სოხუმში ვიზიტი იყო ჟესტი, რომელიც, ჩემი აზრით, ბოლო გაფრთხილებას ნიშნავდა ან უფრო უარესს — რუსების მოთმინების ფიალის ავსებას და, აქედან გამომდინარე, ისინი საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაუფრთხილებლად იმოქმედებენ საქართველოში.**

მაგალითად, შესაძლოა, აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალი აამუშავონ სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზასთან სახმელეთო და, შესაბამისად, იაფი გზით დასაკავშირებლად; სარკინიგზო მაგისტრალის დასაცავად კი, თუ საჭირო იქნება, ჯარსაც შემოიყვანენ და მერწმუნეთ, აშშ, მორიგი აღშფოთება-შეშფოთების გარდა, ვერაფრით დაგვეხმარება.

იქნებ ახლა მაინც მოეგოს გონს ჩვენი ხელისუფლება — ნატოს ღრუბლებიდან დედამიწაზე დაეშვას და სასწრაფოდ დაიწყოს დიალოგი მოსკოვთან თუ, რა თქმა უნდა, უკვე გვიანი არ არის...

ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა **სერგეი დორენკომ** არანაკლებ ცნობილ **ვლადიმერ პოზნერთან** პირდაპირ ეთერში საუბრისას, ზუსტ ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, შინაარსობრივად ეს განაცხადა:

„საქართველო 200 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ძვირფასი სამკაული იყო. ქართველები კარგი ექიმები, კარგი მომღერლები, მსახიობები, კარგი თამადები არიან, ხოლო იქ, სადაც ვაჭრობა იწყება, სომხები ჯაბნიან ქართველებს; ჩვენ (რუსებს — დ.მ.) გვიყვარს ქართველები და საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს სოხუმსა და ცხინვალს, თუ რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდება. თუ არა, ტანკებით უნდა გავათავისუფლოთ კახეთი და დასავლეთ საქართველო და დავიბრუნოთ საქართველო“.

თითქმის ყველაფეში შეიძლება დაეთანხმო დორენკოს, გარდა ბოლო პასაჟისა — რუსეთი არათუ ტანკებით დაგვიბრუნებს, არამედ, ძალიანაც რომ ვეხვეწოთ, არ მიგვიღებს თავის შემადგენლობაში, რადგან რუსეთი ძველი რუსეთი აღარ არის. **რუსებმაც ისწავლეს ჭკუა და აღარ აპირებენ, კიდევ 200 წელიწადს მათ კმაყოფაზე იყოს ვინმე. რუსეთთან ორი საუკუნის განმავლობაში ერთ ოჯახად ცხოვრებისას, რა თქმა უნდა, ავიც ყოფილა და კარგიც, მაგრამ, თერგდალეულთაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა „თავისუფალი საქართველოს“ ნეოლიბერალებს, მხოლოდ ავი ახსოვთ და კარგი ავიწყდებათ.**

არადა, თერგდალეულთა აღიარებულმა ლიდერმა **ილია ჭავჭავაძემ** XIX საუკუნის ბოლოს ისტორიის სასწორზე აწონა რუსეთთან ერთად ყოფნის ავი და კარგი და, რადგან კარგმა გადასძლია, დაწერა 1899 წელს ბრწყინვალე წერილი „ასის წლის წინათ“...

რუსეთთან ურთიეთობის სიკეთეებზე წერდნენ **აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი** და სხვა თერგდალეულებიც...

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას დადებითი კუთხითაც შეიძლება შევხედოთ: **ქვეშაფსია ლიბერალ მენშევიკებს ლამის ნახევარი საქართველო მიყიდული ჰქონდათ უცხოტომელებისთვის. გაყიდულის დაბრუნება უფრო ძნელია, ვიდრე წართმეულისა.**

გაყიდულის დაბრუნება მხოლოდ რევოლუციით შეიძლება და საბჭოთა საქართველომ გაყიდული ქონების ნაციონალიზაცია გამოაცხადა, ანუ მყიდველს ნაყიდი ქონება ჩამოართვა და საბჭოთა საქართველოს გადასცა, ხოლო **თბილისი დღეს ქართული ქალაქი რომ არის და ქვემო ქართლში ქართული სული ასე თუ ისე ფეთქავს, ლავრენტი ბერიასა და სტალინის დამსახურებაა. ამის უარყოფა შეუძლებელია. აღარაფერს ვიტყვი დღეს დაკარგულ აფხაზეთსა და ცხინვალზე — როგორც იტყვიან, კაი დედის შვილი იყო და ვინმე სეპარატისტს თავი წამოეყო!**

მოკლედ, იმის სანაცვლოდ, რაც 2 საუკუნის განმავლობაში რუსეთმა, ნებსით თუ უნებლიეთ, კარგი გაგვიკეთა, XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკელთა მიერ წაქეზებული საქართველოსგან უმადურობის მეტი არაფერი მიუღია. ამიტომაც წარვუმძღვარე წინამდებარე სტატიას ეპიგრაფად **გრიგოლ ორბელიანის** სიტყვები, ეგებ ახლა მაინც მივხვდეთ ქართველები, რომ ჩვენი ხსნა ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი გადაგვარებისგან ისევ ერთმორწმუნე რუსეთთან მოკავშირეობაშია. 700 ათასზე მეტი ქართველი რუსეთის მოქალაქეა, აღარაფერს ვამბობ არალეგალ ქართველებზე, რომლებიც, ამ ქვეყნის მოქალაქე ქართველებთან ერთად, ქართველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორაა, და სწორედ მათ მიერ გამოგზავნილი თანხებით უდგას ნახევარ საქართველოს სული.

საქართველო თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თითქმის ყოველთვის იდგა არჩევანის წინაშე ცუდსა და უარესს შორის, დღეს კი დიდი ხნის შემდეგ პირველად აქვს არჩევანი ცუდსა და კარგს შორის:

**ან გარყვნილი ნეოლიბერალური დასავლეთი (წაიკითხე, აშშ), თავისი ულმერთობით, ერთნაირსქესიანთა ქორწინებებით, იელოველი ხლისტების სექტებით, ინცესტითა და ა.შ., მოკლედ: ან აშშ-ის „შნირობა“, ან ერთმორწმუნე რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა და ფიზიკურ განადგურებას გადარჩენა, ქართველობის, მართლმადიდებლობის შენარჩუნება და რუსეთის იმპერიის სამკაულობა!**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: რუსებს მართლა უყვართ ქართველები, მაგრამ რუსეთი ეჭვიანი ცოლივითაა: ვერაფრით გაუგია, რატომ უჩევნია საქართველოს გარყვნილი დასავლეთი ერთმორწმუნე რუსეთს?! თუმცა არა, საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი სხვადასხვა რამ არის. ქართველი ხალხის უმრავლესობა, მიუხედავად ყველაფრისა, კეთილგანწყობილია რუსეთის მიმართ.

**დავით მხეიძე**

**მიხეილ სააკაშვილი მშიშარა ადამიანია და ფიქრმა მოსალოდნელ საფრთხეზე, კადაფის ბედზე და ა.შ, სავარაუდოდ, მისი ნებისყოფის პარალიზება მოახდინა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ამ გარემოებამ საქართველოს სასარგებლოდ იმუშავა. ამასთანავე, ამერიკელებმა, დიდი ალბათობით, ურჩიეს ნაციონალებს, პროცესების რადიკალიზაცია არ მოეხდინათ, რადგან საქართველოს გარდაუვალი დესტაბილიზაცია მათ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რით ჰგავს საქართველო ვენესუელას?

**ვენესუელა სამოქალაქო ომის ზღვარზეა. ხანგრძლივმა დაპირისპირებამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელსაც ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სხვა ყველაფერთან ერთად, ცხადყო, რომ კონსტიტუციის დაქვემდებარება პოლიტიკური ინტერესების მიმართ ყოველთვის ცუდად მთავრდება და ეს, ალბათ, მნიშვნელოვანი გაკვეთილია საქართველოსთვის.**



**დღეს ვენესუელა ორხელისუფლებიანობისკენ და ქაოსისკენ მიექანება. «პარალელური პარლამენტის» ამოქმედების შემდეგ მშვიდობიანი დარეგულირების ალბათობა მკვეთრად შემცირდა. ახლო მომავალში ოპოზიციამ შეიძლება სცადოს ხელისუფლებაზე გადამწყვეტი იერიშის მიტანა, ხოლო მადურომ — პარლამენტის საბოლოო დაშლა და ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებაც კი**

1998 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უგო ჩავესი საკონსტიტუციო რეფორმას შეუდგა. პარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მან მოახერხა რეფერენდუმზე საკონსტიტუციო ასამბლეის დაფუძნების იდეის გატანა (ინიციატივას ამომრჩეველთა 88%-მა დაუჭირა მხარი). ჩავესის მომხრეებმა ამ ორგანოში თითქმის ყველა მანდატი მიიღეს. ასამბლეის შედარება ჩვეულებრივ საკონსტიტუციო კომისიასთან არასწორია — მან საკუთარ თავს, ფაქტობრივად, უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს უფლებები მიანიჭა — მათ შორის სახელმწიფო ორგანოების გაუქმების, სასამართლო სისტემის გარდაქმნის და ა.შ. საკონსტიტუციო ასამბლეამ გააუქმა პარლამენტის ზედა პალატა და რეგიონების თვითმმართველობა შეზღუდა. კონსტიტუციაში, რომელიც მან შეიმუშავა (ისიც რეფერენდუმზე გაიტანეს და ამომრჩეველთა 72%-მა მისცა ხმა) პრეზიდენტის უფლებები მკვეთრად გაფართოვდა, ბალანსი სახელისუფლო შტოებს შორის დაირღვა და მთელი ძალაუფლება ჩავესის ხელში გადავიდა.

უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ მისი თანაგუნდელების მდგომარეობა გაუარესდა. ქვეყანა მწვავე ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რომლის მთავარი მიზეზი ნავთობის ფასის კლება გახდა. აშშ-ის მიერ მხადაჭერილი ოპოზიცია გააქტიურდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში. მთავარი მოვლენები სწორედ ამ, ახალი მოწვევის პარლამენტის გარშემო განვითარდა.

2016 წლის შემოდგომაზე პარლამენტმა პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო, ხოლო ამა წლის 9 იანვარს ის პოსტიდან გადააყენა, თუმცა მომდევნო დღეს უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. მარტში უზენაესმა სასამართლომ პარლამენტის ფუნქციები საკუთარ საკონსტიტუციო პალატას დააკისრა, რაც მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა. ამის შემდეგ ვენესუელაში დაიწყო მასობრივი საპროტესტო აქციები, მოხდა სისხლიანი შეტაკებები; კომუნიკაციამ, ერთი მხრივ, აღმასრულებელ და სასამართლო და, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის უმეტესწილად ულტიმატუმების გაცვლის სახე მიიღო.

მაისში მადურომ გადაწყვიტა ჩავესის წარმატებული მანევრის გამეორება და ხელი მოაწერა ბრძანებულებას საკონსტიტუციო ასამბლეის მოწვევის შესახებ, რომელსაც ერთგვარი „ალტერნატიული პარლამენტის“ როლი უნდა შეესრულებინა. ჩატარდა საყოველთაო არჩევნები (ტერიტორიული პრინციპით), ხოლო დეპუტატების ნაწილი აირჩიეს სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა: გლეხებმა, მუშებმა, ინდიელთა ტომებმა, სტუდენტებმა, ინვალიდებმა და ა.შ. ოპოზიციამ საკონსტიტუციო ასამბლეის მოწვევა უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ პრეზიდენტმა მადურომ თავისი მაინც გაიტანა და 8 აგვისტოს ასამბლეამ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა თავი.

**მომხდარს ვაშინგტონის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. აშშ-მა შემოიღო პერსონალური სანქციები ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ (ადრე მსგავსი სანქციები სხვა მაღალჩინოსნებს შეეხო) და შეუდგა ვენესუელის სანავთობო სექტორის საწინააღმდეგო სანქციების განხილვას, რაც კრიზისში მყოფ ქვეყნას, ფაქტობრივად, ჟანგბადის გადაკეტვის საფრთხეს უქმნის.** არგენტინამ, ბრაზილიამ, კოლუმბიამ, მექსიკამ, პერუმ, პანამამ, კოსტარიკამ და ჩილემ განაცხადეს, რომ არ აღიარებენ საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნების შედეგებს. **რუსეთმა და ჩინეთმა კი გადაწყვიტეს, ხელისუფლებისთვის დაეჭირათ მხარი. ჩინეთმა მიიღო გადაწყვეტილება, 2,8 მილიარდი დოლარით გაზარდოს ინვესტიციები ნავთობის ერთობლივ მოპოვებაში (მთლიანობაში ჩინური ინვესტიციები ვენესუელის სანავთობო სექტორში 60 მილიარდ დოლარს აღემატება), ხოლო „როსნეფტმა“ ვენესუელის სახელმწიფო სანავთობო კომპანიას ავანსად 6 მილიარდი დოლარი გადაუხადა, მაშინ, როდესაც არ იყო ვალდებული, ეს გაეკეთებინა.**

დღეს ვენესუელა ორხელისუფლებიანობისკენ და ქაოსისკენ მიექანება. „პარალელური პარლამენტის“ ამოქმედების შემდეგ მშვიდობიანი დარეგულირების ალბათობა მკვეთრად შემცირდა. ახლო მომავალში ოპოზიციამ შეიძლება სცადოს ხელისუფლებაზე გადამწყვეტი იერიშის მიტანა, ხოლო მადურომ — პარლამენტის საბოლოო დაშლა და ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებაც კი. ეს შეიძლება სამოქალაქო ომის დაწყების დეტონატორი გახდეს. ხელისუფლებას ღარიბ ფენებში საკმარისად ჰყავს მხარდამჭერი და ის საიმედოდ აკონტროლებს ოფიცერთა კორპუსის დიდ ნაწილს, მაგრამ ოპოზიციის აქტივშია აშშ-ისა და მისი რეგიონული მოკავშირეების, მდიდრებისა და საშუალო ფენის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა. გასათვალისწინებელია, რომ ვენესუელა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, დედაქალაქში ხშირად იქმნება სურსათისა და პირველადი საჭიროების ნივთების მწვავე დეფიციტი. **იმ შემთხვევაში, თუ აშშ გამოიყენებს სანქციებსა და სხვადასხვა ეკონომიკურ ბერკეტებს, რათა არსებული პრობლემები გააღრმავოს, კარაკასსა და სხვა ქალაქებში შეიძლება მასშტაბური არეულობა დაიწყოს. მხარეთა დღევანდელი პოტენციალის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია, პროცესებმა არა მყისიერი გადატრიალების ან „ფერადი რევოლუციის“, არამედ დროში გაწელილი სამოქალაქო ომის სახე მიიღოს, როგორც ეს ლიბიაში მოხდა, სადაც გამანადგურებელი არეულობა დღესაც არ დასრულებულა.**

როდის გახდა ესკალაცია გარდაუვალი? სავარაუდოდ, ეს მაშინ მოხდა, როდესაც კონსტიტუციაში პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი ცვლილებები შევიდა, ხოლო შემდეგ ნიკოლას მადურომ მათი გამოყენება და საკონსტიტუციო ასამბლეის, ერთგვარი „სუპერპარლამენტის“ მოწვევა გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო უგო ჩავესივით პოპულარული და ატ ჰქონდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა, რომელმაც 1998-99 წლებში ჩავესს შესაძლებლობა მისცა, შედარებით იოლად დაეძლია ოპოზიციის წინააღმდეგობა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მან კონსტიტუციაში ნამდვილი (შენელებული მოქმედების) ნაღმი ჩადო.

ხუთი წლის წინათ საქართველოში შეიძლებოდა მსგავსი რამ მომხდარიყო. მიხეილ სააკაშვილის მიერ ორგზის გაუპატიურებული კონსტიტუცია ნამდვილად შეიცავდა ისეთ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჯერ „კანონების ომის“, შემდგომ კი სამოქალაქო დაპირისპირების დაწყების საფრთხეს უკავშირდებოდა. ეს წინააღმდეგობები არ იყო იმდენად აშკარა, როგორც ვენესუელაში, მაგრამ პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებებების „ურთიერთგადაფარვა“, პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა, რომელსაც ემატებოდა ნაციონალების ჭარბი წარმომადგენლობა სასამართლო ხელისუფლებაში და მათი მხარდამჭერების რევანშის წყურვილი, საშიშ სიტუაციას ნამდვილად ქმნიდა. 2013 წლის პირველ ნახევარში რამდენჯერმე გამოიხატა აშკარა ნიშნები იმისა, რომ სააკაშვილის მომაკვდავი რეჟიმი რევანშისტული სცენარისკენ დაიძრა, თუმცა ის მალევე შეჩერდა ისე, რომ საბედისწერო ნაბიჯი არ გადაუდგამს. ეს რამდენიმე მიზეზმა განაპირობა და მათ შორის მთავარი, ალბათ, ორია: ჯერ ერთი, **მიხეილ სააკაშვილი მშიშარა ადამიანია და ფიქრმა მოსალოდნელ საფრთხეზე, კადაფის ბედზე და ა.შ, სავარაუდოდ, მისი ნებისყოფის პარალიზება მოახდინა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ამ გარემოებამ საქართველოს სასარგებლოდ იმუშავა. ამასთანავე, ამერიკელებმა, დიდი ალბათობით, ურჩიეს ნაციონალებს, პროცესების რადიკალიზაცია არ მოეხდინათ, რადგან საქართველოს გარდაუვალი დესტაბილიზაცია მათ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა.** ვენესუელასა და, ზოგადად, ლათინურ ამერიკაში, ძია სემი, წარსულის მწარე შეცდომების მიუხედავად, თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს და რეგიონს თავის „უკანა ეზოდ“ განიხილავს. იქ თეთრი სახლი უფრო თამამად მოქმედებს და არ ჰგონია, რომ რუსეთი და ჩინეთი ვენესუელაში ხელს შეუშლიან.

ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებული კრიზისი საქართველომ მძიმე დანაკარგების გარეშე დაძლია, რაც უდავოდ კარგი იყო, მაგრამ ამის გამო საზოგადოებამ ვერ აღიქვა ეს პერიოდი გაკვეთილად და არ აღიარა სავარაუდო ესკალაციისა და საკონსტიტუციო ხარვეზების კავშირი. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ისეთივე ცინიზმით დაიწყო კონსტიტუციის მორგება საკუთარ ინტერესებზე, როგორც ამას, თავის დროზე, „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა. საკონსტიტუციო ცვლილებების ავტორები, სავარაუდოდ, ვერ აცნობიერებენ, რომ სწორედ ამ საეჭვო მუხლებმა მომავალში შეიძლება შენელებული მოქმედების ნაღმის როლი შეასრულოს. როგორც ეს ხდება დღეს ვენესუელაში, როგორც არაერთგზის მომხდარა და მოხდება სხვა ქვეყნებში, სადაც ვერ გაიაზრეს კონსტიტუციის მნიშვნელობა. მსგავსი ექსპერიმენტები რაღაცით ჰგავს უკვე აშენებულ შენობაში საყრდენი კედლების გადაადგილების მცდელობას, თანაც ხანძრის დროს.



12 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა: „რაც შეეხება ვენესუელას, ბევრი ვარიანტი გვაქვს, მათ შორის სამხედრო, თუ ეს საჭირო გახდება... ჩვენ ამას პრესასთან არ განვიხილავთ, მაგრამ სამხედრო ოპერაცია ერთ-ერთი შესაძლო ნაბიჯია“. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ **ტრამპმა უარი თქვა სატელეფონო საუბარზე მადუროსთან. იმავე დღეს პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერიკ პაჰონმა თქვა: „ვენესუელასთან დაკავშირებით ბრძანება არ მიგვიღიაო“, თუმცა დასძინა, რომ „აშშ მუდამ ამუშავებს სამოქმედო გეგმებს მთელი რიგი საგანგებო სიტუაციებისთვის“. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა არის ამ განცხადებებში უფრო მეტი: ბლეფი თუ მინიშნება ინტერვენციის რეალურ შესაძლებლობაზე, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ვაშინგტონი განაგრძობს აქტიურ მოქმედებას ვენესუელაში და გამორიცხული არაა, ეს „ლიბიური სცენარის“ გამეორებით დასრულდეს.**

**ლუკა ნემსაძე**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფალთ მხედველობიდან „გამორჩათ“, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამშვიდობო კონტიგენტზე იერიშის მიტანა, მით უმეტეს, დახოცვა, იმ ქვეყანაზე თავდასხმას ნიშნავს. ასე რომ, მეზობელ რუსეთს, შეიარაღებითა და სამხედრო ძლიერებით ცნობილს, ბირთვულიარაღიანსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, სრული საფუძველი ჰქონდა, პასუხი გაეცა ქართული აგრესიისთვის.**

# მომაკვდინებელი აგვისტოს გახსენება

**„9 წელი აგვისტოს ომიდან. რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი, დაკარგულად მიიჩნევა 8 ჯარისკაცი. სახლები დატოვა თითქმის 150000 ადამიანმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30000-მდე“, — წერს ერთ-ერთი გაზეთი პირველ გვერდზე, იხსენებს რა 2008 წლის აგვისტოს პირველი დეკადის მოვლენებს — საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან უდავოდ მოღალატურ, ქარაფშუტულ, სიბეცითა და დეგენერატიზმით აღსავსე გადაწყვეტილებას, რომელმაც დააქცია მცირემიწიანი ქვეყანა, ეკონომიკურად და სულიერად მისი მოსახლეობა. „კონსტიტუციური წესრიგის“ აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ცოტა თუ იფიქრებდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ უჭკუო, პროვოკაციულ ნაბიჯს.**

**ჭირს წაუღია კორეის ნახევარკუნძული, ამიერკავკასია, უკრაინა, სირია, ბალტიისპირეთი — მთავარია, ამერიკა იყოს პირველი. ამას ამბობს აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, ამერიკელი კონგრესმენები, ქართველი პოლიტიკოსები კი დაუფიქრებლად მიჰყვებიან ამ გზას — აგრესიის, სიძულვილის, გაუტანლობის, სიცრუის გზას. ნაცვლად მოლაპარაკებისა, ყველა ერთად გაიძახის: „რუსეთთან მოსალაპარაკებელი არაფერი გვაქვს“. დამღუპველია ეს გზა, ისევე, როგორც 2008 წლის 8 აგვისტო იყო დამღუპველი. მან ხომ დასამშვიდებლად მხოლოდ ცრუ მოსაზრება დაგვიტოვა, — რუსებმა თბილისი აშშ-ის შიშით ვერ აიღესო**

საქართველოს ხელისუფლებამ, საზოგადოებამ — ეგზალტირებულმა, რევანშის ტალღაზე აწყობილმა, დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის მოიმედემ, წამოიწყო ომი — მძინარე ცხინვალზე „გრადების“ მასირებული ცეცხლით, შემდეგ ცხინვალის ქუჩებში ტანკების ჯირითით. იმჟამინდელ მთავარსარდალს არ დასცალდა თბილისიდან ცხინვალში ჩატანილ „კათედრასთან“ მისვლა და მსოფლიოსთვის შეტყობინება, რომ ოფიციალურმა თბილისმა აღადგინა „კონსტიტუციური წესრიგი“ თავის ერთ-ერთ რეგიონში.

არ დასცალდა, ვინაიდან რუსეთის არმიამ გვირაბის გავლით და ცხინვალში გამოჩენით მალე მოახერხა ქართული არმიის უკუგდება და ქართველთა შეტევამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნება.

გაზეთის მიერ ზემომოყვანილი სტატისტიკა რუსეთის არმიის ბრძოლაში ჩართვის ამსახველია, მაგრამ მანამდეც იყო მსხვერპლი — რუსეთის სამშვიდობოებზე ქართველი სამხედროების თავდასხმის შედეგად, რომელმაც გამოიწვია რუსეთის პოლიტიკური თუ სამხედრო წრეების გაშმაგება. არადა, მშვიდობისმყოფელები ხომ გაეროს, ეუთოს ეგიდით იდგნენ ქართულ-ოსური დაპირისპირების საზღვარზე?!

**საქართველოს ხელისუფალთ მხედველობიდან „გამორჩათ“, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამშვიდობო კონტიგენტზე იერიშის მიტანა, მით უმეტეს, დახოცვა, იმ ქვეყანაზე თავდასხმას ნიშნავს. ასე რომ, მეზობელ რუსეთს, შეიარაღებითა და სამხედრო ძლიერებით ცნობილს, ბირთვულიარაღიანსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, სრული საფუძველი ჰქონდა, პასუხი გაეცა ქართული აგრესიისთვის.**

მაშ, რატომ წერს გაზეთი, თანაც პირველ გვერდზე, რომ რუსულმა „ინტერვენციამ“, ყოველგვარი საბაბის გარეშე, 8 აგვისტოს, ღამით, გადაწყვიტა ცხინვალში შევარდნა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დაკავება, ანუ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ოკუპაცია, დღესაც გამუდმებით რომ გავიძახით?

რა ჰქონდა რუსეთს შესავარდნი, ფაქტობრივად, იქ არ იყო?! სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, ისევე, როგორც დღეს, ჩახუტებული არ იყო კრემლთან?

უდავოდ, იყო! და ამ პროცესს დამოუკიდებლობის მიღებამდე (1991 წლის დეკემბერი) ჩაეყარა საფუძველი, რაშიც ლომის წილი იმჟამინდელ ხელისუფლებაზე მოდის, ცხადია, საქართველოს ხელისუფლება მყავს მხედველობაში. საქართველოს ხელისუფლების 2008 წლის გადაწყვეტილება, წინამორბედი ხელისუფლების საბედისწერო გადაწყვეტილების გაგრძელება იყო, მაგრამ **მანამდე იმავე რუსეთის ძალისხმევით ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება გაფორმდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის და გამყოფ ზონაში სამშვიდობოები ჩააყენეს, რაც ქართულმა მხარემ 2008 წლის 8 აგვისტოს დაარღვია.**

მაშ, რატომ აძლევს თავს უფლებას გაზეთი, სიცრუე მიაწოდოს მკითხველს?

იქნებ მართლა სჯერა, რომ პირველმა რუსეთმა გახსნა ცეცხლი?

ვინ-ვინ და გაზეთმა ასეთი შეცდომა არ უნდა დაუშვას, ვინაიდან მკითხველს, რომელსაც ტვინი აქვს გამოლაყებული ელექტრონული მედიის სიცრუით რუსეთის აგრესიაზე, თავისიც არ მიამატოს, ცეცხლზე ნავთი არ დაასხას ე.წ. სიმართლით.

მაგრამ გაზეთი, ბეჭდვითი ორგანოა, რომელიც ცდილობს, სხვა „ორგანოებს“ არ ჩამორჩეს „ჭეშმარიტ“ საქმეში და ისევე დაწიხლოს რუსეთი, როგორც ამას აკეთებენ სხვა ორგანოები — ბეჭდვითი თუ ელექტრონული. სიმართლე რომ დაწეროს, ხომ შეიძლება ვინმემ „ზემოდან“ უსაყვედუროს?

ასე და ამრიგად, ვრცელდება „ჭეშმარიტება“. გაივლის წლები, ვიღაც აიღებს ამ გაზეთს ხელში, „მოწინავეს“ შეავლებს თვალს და შუღლით აევსება გული. ეს არის ხალხის სამსახურში ყოფნა? ნუთუ ეს „ჭეშმარიტება“ ახლოსაა გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილ ილიას ფრაზასთან: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“?!

9 წელიწადი გავიდა ცხინვალის ომის დაწყებიდან და ამ ხნის განმავლობაში ვერ დავძლიეთ საკუთარ თავში ჩაბუდებული ტყუილი რუსულ ინტერვენციაზე. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: **რომ არ ყოფილიყო ქართული ჯარის იერიში ცხინვალზე, არ იქნებოდა რუსეთის პასუხი.**

დიახ, პასუხი და არა ინტერვენცია!

აი, ამ სიმართლით გვაცხოვრებენ დღემდე სხვადასხვა ხელისუფლება და მედია, მაგრამ მხოლოდ ეს რომ იყოს, რა გვიჭირს. **არის აგრესია, ჯერჯეროვბით სიტყვიერი, რომელიც როგორ ან როდის გადაიზრდება სამხედრო რევანშში, არავინ იცის. ძალა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მართავდა საქართველოს, ოპოზიციაშია და ისე, როგორც იმხანად, დღესაც აქტიურობს ანტირუსული გამოსვლებით, განცხადებებით, დაუსაბუთებელი, ცილისმწამებლური რიტორიკით.** ამ ძალის წარმომადგენელთა აზრით, რუსეთი (და არა საკუთარი თავი) არის საქართველოს დამაქცევარი. რუსეთთან არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს ურთიერთობა არ უნდა გქონდეს. მთავარი საქმე რუსეთის ლანძღვა-გინება და ინტერვენციაში მხილებაა შინ და გარეთ: გარეთ — განსაკუთრებით, მეტი ყურადღების მისაპყრობად.

ოპოზიციას არც ხელისუფლება ჩამორჩება, ცხადია, რუსეთის ლანძღვაში. ამ ლანძღვა-გინებამ ახლახან გადაუარა საქართველოს — ბიჭვინთაში პუტინის ჩასვლის წინ და შემდეგაც. **საქართველოს პრეზიდენტით დაწყებული, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელით დამთავრებული — ყველა უაზროდ გაჰკიოდა და გაჰკივის რუსეთის მზაკვრობაზე, რასაც უდავოდ დაუსვამს წე**რტილს კოლექტიური დასავლეთი. **საინტერესოა, ხელისუფლებიდან სჯერა ვინმეს ამის? და თუ არა, რატომ თვლიან ისინი, რომ ხალხს ჭკუა არ აქვს?**



ვინმეს სჯერა, რომ დასავლეთი დაგვიბრუნებს დაკარგულს? — ეჭვი მეპარება. რაც უფრო მეტი წელი გაივლის, დასაეჭვებელიც აღარაფერი იქნება. დამაიმედებელმა განცხადებებმა განსაკუთრებით იჩინა თავი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** თბილისში ვიზიტის შემდეგ.

ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტები საქართველოს ცუდად აქვს დაცდილი, ვინაიდან დაიმედებული მასპინძლები ისეთ ნაბიჯებს დგამენ, მტრისას. ასე იყო **კონდოლიზა რაისის,** აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივნის, ვიზიტის შემდეგ, როცა სააკაშვილმა „გაახარა“ საქართველო. მართალია, კონდოლიზა რაისი მოგვიანებით თავს იმართლებდა, — სააკაშვილს ვუთხარი, არ გაბედო სამხედრო გზით კონფლიქტის მოგვარება-თქო, მაგრამ მან მაინც თავისი გააკეთაო.

ეს დაუჯერებელია, ვინაიდან რაისი აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელი იყო, ანუ სააკაშვილის მბრძანებელი, რომელსაც ის სრულიად ემორჩილებოდა. არ დაემორჩილა? მაშინ სააკაშვილი ყოფილა აშშ-ის ადმინისტრაცია. საქართველოს ხელისუფლებას ან არ ესმის, რას ეუბნებიან მამა-მარჩენალნი, ან ისე იქცევა, როგორც სურს, რაც ძალიან საეჭვოა.

დაიმედება პოლიტიკაში დიდი რამ არის. **დაიმედებულმა, თუკი საღი აზრის დეფიციტი აქვს, ისეთი ნაბიჯი შეიძლება გადადგას, რომ ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს.** ფაქტია, რომ პენსის დაპირება საქართველოს მხარეში ამოდგომაზე დიდად გასახარი გამოდგა ქართველი პოლიტიკოსებისთვის. ისიც ფაქტია, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ახალი შემართებით დაიწყეს რუსეთის ლანძღვა. ნეტა, რით შეაგულიანა პენსმა ბრიყვი მასპინძლები?

ასე შეაგულიანეს ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, თუმცა შეგულიანება ძალისმიერია, ანუ სამხედრო: ბალტიისპირეთში — ნატოს ჯარები, უკრაინაში — ახალი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მოლოდინი და შავ ზღვაზე ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა. ამერიკელი კონგრესმენები ხშირად იხსენებენ უკრაინას და რუსული „აგრესიის“ შესაჩერებლად იარაღის მიწოდებასაც ჰპირდებიან მას.

აშშ-ის მიერ უკრაინის მმართველად დასმული **პოროშენკოს** ხელისუფლება, საკუთარ ქვეყანაში არაუმეტეს 5%-იანი რეიტინგის მქონე, თავს არ ზოგავს ვაშინგტონის ანტირუსული პოლიტიკის განსახორციელებლად. ახალი ამერიკული მომაკვდინებელი იარაღის მიღება მისთვის სწორედ ის სტიმული იქნება, რომელსაც უდავოდ მოჰყვება დონბასში საომარი მოქმედების ესკალაცია. უკრაინის ხელისუფლებიდან არც პოროშენკო და არც არავინ ფიქრობს, გადაიზრდება თუ არა საომარი მოქმედების გააქტიურება ფართომასშტაბიან ომში რუსეთის ჩართვით. იქნებ, სწორედ ამას ნატრობს ვაშინგტონი? იქნებ ამერიკის აგრესიული სენატორები, **მაკეინისა** და **გრემის** მსგავსნი, ოცნებობენ რუსეთის სამხედრო პასუხზე უკრაინაში?

ეს ის ლინდსი გრემია, რომელმაც ახლახან განაცხადა ჩრდილოეთ კორეაზე ბირთვული თავდასხმის შესახებ. მისი აზრით, მერე რა, თუ იქ ასიათასობით ადამიანი დაიღუპება და ომი გაჩაღდება — კორეა შორს არის აშშ-დან.

**სენატორი ლინდსი გრემი ჩვენთანაც „კარგად“ არის, ანუ გვაგულიანებს რუსეთის წინააღმდეგ, ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში გვაგულიანებდა პრეზიდენტობის კანდიდატი მაკეინი, რომლისთვის მთავარი იყო, სააკაშვილს რუსეთი გამოეწვია, ცხადია, სამხედრო პროვოკაციით, რასაც შემდეგ თვითონ (მაკეინი) მოაყოლებდა რუსეთის, როგორც აგრესორის, ლანძღვას და შესაბამის ქულებს ჩაიწერდა დემოკრატთა წარმომადგენლის, ობამას, წინააღმდეგ ბრძოლაში. აი ამ პოლიტიკურ მაიმუნობას შესწირა სააკაშვილმა საქართველო.**

ანალოგიურ მაიმუნობას სწირავს ქვეყანას დღევანდელი ხელისუფლებაც. სამშობლოს გაწირვაა, როდესაც ვიცეპრეზიდენტ პენსს თვალებში შესციცინებ და მის მიერ მოცემულ დარიგებას (ანტირუსულს, საბოლოო ჯამში, ანტიქართულს) უყოყმანოდ იღებ და ასრულებ.

**ქვეყნის შეწირვაა, როდესაც ნატოს სასწავლო-სამხედრო ბაზას ხსნი და ნატოს სამხედრო მანევრებს ატარებ რეგულარულად, დაუფიქრებლად.** ლინდსი გრემის სიტყვები საქართველოსაც მიესადაგება. ისევე, როგორც კორეა, საქართველოც შორს არის ამერიკისგან და აქ განვითარებული სამხედრო კონფლიქტი ამერიკამდე ვერ მიაღწევს.

ჭირს წაუღია კორეის ნახევარკუნძული, ამიერკავკასია, უკრაინა, სირია, ბალტიისპირეთი, მთავარია, ამერიკა იყოს პირველი. ამას ამბობენ აშშ-ის პრეზიდენტი **ტრამპი**, ამერიკელი კონგრესმენები, ქართველი პოლიტიკოსები კი დაუფიქრებლად მიჰყვებიან ამ გზას — აგრესიის, სიძულვილის, გაუტანლობის, სიცრუის გზას. ნაცვლად მოლაპარაკებისა, ყველა ერთად გაიძახის: „რუსეთთან მოსალაპარაკებელი არაფერი გვაქვს“.

**დამღუპველია ეს გზა, ისევე, როგორც 2008 წლის 8 აგვისტო იყო დამღუპველი. მან ხომ დასამშვიდებლად მხოლოდ ცრუ მოსაზრება დაგვიტოვა — რუსებმა თბილისი აშშ-ის შიშით ვერ აიღესო.**

ამ „სიმართლით“ დადის დღეს საქართველოს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. თითქოს თბილისის არაღება დიდი შვება იყოს. სიბეცესაც თავისი საზღვარი აქვს, მაგრამ ასეთი უსაზღვროა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

„უპირველესად, საქართველოს განვითარების, განსახლების, ქვეყნის მიწათსარგებლობისა და ურბანული განვითარების პროექტია შესაქმნელი. შემდეგ, ამ პროექტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, დედაქალაქის გენერალური გეგმაა დასამუშავებელი. ამას უნდა მოჰყვეს მიწათსარგებლობის გენგეგმა. ასეთი თანმიმდევრობის გარეშე ვერ მივაღწევთ ვერც ქვეყნის განვითარებას და ვერც დედაქალაქის ქალაქმშენებლობით სრულყოფას. ეს არ არის აჩემება, ეს ანბანური სისტემაა.“

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გიგა ბათიაშვილი:

# არჩევნების წარმატებული შედეგი ქვეყნის განვითარების რეალისტური პროგრამის არსებობაზე იქნება დამოკიდებული

**აწრიალდნენ, დაიძრნენ, ქვეყანას მოედნენ, „ხალხში გავიდნენ“ ადგილობრივი ხელისუფლების წინასაარჩევნო პერიოდისთვის გამოცოცხლებული პარტიები თავიანთი პატარ-პატარა კომუნალური დაპირებებით: პენსიების მომატების ქიმერული გეგმებითა და გზებზე ორმოების ამოვსების საშვილიშვილო ღონისძიებების პერსპექტივის ლოზუნგებით შეიარაღებულები.**
**ხალხზე ზრუნვის პაროდიული მარში დაიწყო.**
**რას ფიქრობს ამ დროს ამომრჩეველი და როგორი მომავლის იმედი აქვს? კერძოდ, მრავალთაგან ერთი, თუნდაც თბილისის მერობის პერსპექტივაზე, რაც, გინდა არ გინდა, მაინც გამორჩეულია კარსმომდგარი არჩევნების კალეიდოსკოპურ ორომტრიალში.**
**ამ მიზნით მივმართეთ თვალსაჩინო ქართველ არქიტექტორსა და ურბანისტს — გიორგი (გიგა) ბათიაშვილს და ვთხოვეთ, საჯაროდ გამოეტანა ე.წ. ამომრჩევლის განაწესის მისეული ვარიანტი: ფართო საზოგადოებისთვის, უწინარეს ყოვლისა კი, დედაქალაქის მერობის კანდიდატებისთვის გაეცნო ის პრობლემები, რომლებიც მისი, როგორც პროფესიონალის, აზრით, პრიორიტეტულად არის მოსაგვარებელი.**



— დავიწყებ იმით, რომ, უპირველესად, საქართველოს განვითარების, განსახლების, ქვეყნის მიწათსარგებლობისა და ურბანული განვითარების პროექტია შესაქმნელი. შემდეგ, ამ პროექტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, დედაქალაქის გენერალური გეგმაა დასამუშავებელი. ამას უნდა მოჰყვეს მიწათსარგებლობის გენგეგმა. ასეთი თანმიმდევრობის გარეშე ვერ მივაღწევთ ვერც ქვეყნის განვითარებას და ვერც დედაქალაქის ქალაქმშენებლობით სრულყოფას. ეს არ არის აჩემება, ეს ანბანური სისტემაა.

არიან „სპეციალისტები“, რომლებიც ამბობენ, რომ გაგვაჩნია, როგორც ქვეყნის განვითარებისა და განსახლების პროექტი, ასევე, დედაქალაქის გენგეგმა, რომელთა ბაზაზე შესაძლებელია თბილისის ახალი მიწათსარგებლობის გენგეგმის დამუშავება. ასეთი პოზიცია მცდარია იმიტომ, რომ ირღვევა წესი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი არის შემდეგი: მართალია, სახელმწიფოს ჰქონდა ქვეყნის განვითარებისა და განსახლების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, თბილისს კი — იმ პერიოდისთვის სრულყოფილი გენგეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ქვეყნისა და დედაქალაქის იმჟამინდელი მმართველობა, მაგრამ საქართველოს, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკების დაფინანსება იგეგმებოდა ცენტრალიზებულად, უპირველესად, საერთო ინტერესების დასაკმაყოფილებლად და არა მათი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. ამ თემაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ამ გლობალური და ბევრი სხვა მიზეზისა გამო ჩვენთან სათანადოდ ვერ განვითარდა ურბანული სტრუქტურები, რომლებიც, როგორც წესი, ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულებისა თუ სხვა საქმიანი ორგანიზმებისა და მათი ინფრასტრუქტურის მომსახურე წარმონაქმნებია. ასეთი ურბანული სტრუქტურა მხოლოდ ორი შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, ისიც XX საუკუნის შუა წლებში.

ყოველივე ამის შედეგია, რომ **საქართველოს დედაქალაქი ჩამოყალიბდა თავკომბალად, რომელშიც ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე მეტი და რომლის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.**

ცალკე საკითხია ე.წ. საძილე რაიონები ჰიპერტროფული ტერიტორიული სივრცეებით, რომლებშიც ცხოვრობს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი. აქაური მოსახლეობის უმეტესობას ყოველდღიურად უწევს შრომითი საქმიანობის, სტუდენტური მოვალეობის, ჯანდაცვითი პრობლემების გადასაწყვეტად, კულტურული თუ სპორტული ინტერესების დასაკმაყოფილებლად 40-კილომეტრიანი სიგრძის ქალაქში ქანქარისებური მოძრაობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ დროისა და ფინანსურ ბიუჯეტებზე. ასეთი ვითარება დამამძიმებელია ისედაც არასრულყოფილი სამოქალაქო-სატრანსპორტო სისტემისთვისაც. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება მტკვრის მარცხენა ნაპირის ფერდებზე გაწფენილი განაშენიანებით — „ნაძალადევებით“, აბლაბუდისებურად დასერილი საურმე გზებით.

**დღეს, როცა ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, გვმართებს, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ქვეყნის განვითარების საკითხს, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის სრულად ჩართვას, უპირველესად, ამოცანების ჩამოსაყალიბებლად და შემდგომ გადასაწყვეტად.**

**«დღეს, როცა ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, გვმართებს, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ქვეყნის განვითარების საკითხს, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის სრულად ჩართვას, უპირველესად, ამოცანების ჩამოსაყალიბებლად და შემდგომ გადასაწყვეტად»**

ამჟამად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურული წინსვლისა და, ამასთანავე, უსაფრთხოების გლობალური ამოცანის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია: **დღემდე აუმოქმედებელი, როგორც ინტელექტუალური, ისე ბუნებით ნაბოძები რესურსების ამოქმედება, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით, მხოლოდ ნაწილობრივ, მეტწილად — საერთოდ იყო მივიწყებული** (მხედველობაშია მისაღები, რომ ყველა სახის მარაგები, მათი პოტენციური შესაძლებლობები საქართველოს მეცნიერთა მიერ, ძირითადად, შესასწავლია და რეკომენდაციების სახითაა წარმოდგენილი).

კერძოდ, ეს არის:

**1.** საქართველოს ზღვის აკვატორიის ენერგო და სატრანსპორტო, ტურისტული პოტენციალის ამოქმედება და, ამასთანავე, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა დადგენილ პარამეტრებში;

**2**. ბუნებრივი თვითშევსების რესურსის — მტკნარი, მინერალური, ბალნეოლოგიური, სარწყავი წყლის სტრატეგიული რესურსების გამოყენება;

**3**. ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებში მზისა და ქარის ენერგიის მასშტაბური ათვისება;

**4**. მთის მდინარეებზე მცირე ელექტროსადგურების კასკადურად განთავსების საკითხის გადაწყვეტა;

**5.** ტრადიციული და დასანერგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი, მეცნიერული ტექნოლოგიით გადამუშავების საწარმოების ამოქმედება;

**6.** ქვეყნის ასაღორძინებლად რეკომენდებული ინდუსტრიული და არაინდუსტრიული საწარმოების ამუშავების საკითხი;

**7.** საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო კარიბჭეების, მათი ურთიერთკავშირის, მაგისტრალების საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ჩართვის საკითხი;

**8**. რიგი ძვირფასი მეტალების, მადნეულისა და სხვა სახეობის მინერალების, არამადნეული წიაღისეულისა თუ დაკონსერვებული საბადოების მწყობრში ჩაყენება;

**9.** მთიან სასაზღვრო რეგიონებში მოსახლეობის დამაგრების საკითხის მოგვარება დასაქმების, საწყისი განათლების, სათანადო ინფრასტრუქტურების შექმნით და სხვა საშუალებებით;

**10.** ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესება და მისი დასაქმება ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურად ასამოქმედებლად;

**11.** ქვეყნის მასშტაბით ადამიანური რესურსის სათანადო განაწილებისა და მათთვის ცხოვრების კომფორტული და შედეგიანი საქმიანობისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

აღნიშნულის ეფექტიანად ასამოქმედებლად, ეროვნული სახელმწიფოს გასავითარებლად აუცილებელი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზება ყველა სფეროში ჯერ კიდევ არსებული ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის რეკომენდაციების გამოყენებით. ქალაქმშენებლობის დაზუსტებული სახელმწიფო საგეგმო დავალების შექმნა და ამ დავალების გადაწყვეტა-დაპროექტება. მხოლოდ ასეთი პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ შეუცდომლად, მომავლის სწორად განჭვრეტით დედაქალქის და სხვა მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების გენგეგმებისთვის სახელმწიფო დავალების დამუშავება და ამ დავალების საპასუხოდ ქალაქმშენებლობითი, ხელისუფლებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება, რასაც უნდა მოჰყვეს ქვეყნის მიწათსარგებლობის გეგმის დამუშავება.

დედაქალაქი ისტორიული ფესვებით ცოცხალი, მაგრამ დაბერებისკენ მიდრეკილი ორგანიზმია, რომლის ჯანმრთელობაზე ყოველდღიური ზრუნვაა საჭირო და, რაც მნიშვნელოვანია, დროით განპირობებულ ურბანულ-ცხოვრებისეულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირება. ასეთი თემებია: ეკოლოგიური პრობლემები, ლოკალური სატრანსპორტო, საინჟინრო ინფრასტურქტურული, სოციოლოგიური და ისტორიული განაშენიანების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საკითხები, სარეკრეაციო ტერიტორიებისა და „სიტის“ განჭვრეტის პრობლემები.

**გენგეგმის გათვლა ხდება უახლოეს 10 წელზე, მასში ჩადებული გრძელვადიანი პერსპექტიული მონახაზებით, რომლებიც შეეხება დედაქალაქის მოსახლეობის ზრდასა და ტერიტორიულ გაფართოებასა თუ შემცირებას, მისი განვითარების ვექტორის დადგენას, აგლომერაციაზე გავლენას და სხვა ამგვარ ფუნდამენტურ საკითხებს, მათ შორის, ქვეყნის თავდაცვითი და უშიშროების მოთხოვნების უზრუნველყოფასაც.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის განვითარების სათანადო პროგრამების, განსახლებისა და ურბანული განვითიარების ქალაქმშენებლობითი კონცეპტუალური პროექტის, ქვეყნის ხვალინდელი დღის პერსპექტიული ხედვის დამგეგმავი დოკუმენტის არარსებობა გამოიწვევს ქვეყნის და, შესაბამისად, დედაქალაქის ფუნქციების სუბიექტურ განსაზღვრას, რომელიც ყოფილი ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი, და დიდი სიკეთის მომტანი ვერ იქნება.

**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი**

**P.S. ჩვენს შეკითხვას, მერობის რომელი კანდიდატისადმი იხრება მისი სიმპათია, ბატონმა გიგამ უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ და როგორ გამოეხმაურება მის „ამომრჩევლის განაწესს“, და თავის გადაწყვეტილებას არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გაგვაცნობს.**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამა წლის მარტში WALT DISNEY COMPANY-მ უკვე გამოუშვა პირველი საბავშვო მულტფილმი, რომელშიც ბიჭები ბიჭებს კოცნიან, გოგონები — გოგონებს. ეს მულტფილმი მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოვიდა კიდევ ერთ „დისნეის“ მულტფილმთან ერთად, რომლის სახელწოდებაა „მზეთუნახავი და ურჩხული“. ამ ფილმის ანონსირებისას რეჟისორმა ბილ კონდანმა განაცხადა, რომ მაყურებელი ნახავს „განსაკუთრებულ გეიეპიზოდს დისნეის კინოში“ („EXELASIVELY GAY MOMENT IN A DISNEY MOVIE“).**

# ფრთხილად: ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა «დისნეის» მულტფილმებში

**აშშ-ში ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების ლეგალიზებისა და ამ ქვეყნის იმჟამინდელ ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის დამუქრების შემდეგ (ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდესო), მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა გამძაფრდა. მანამდე კი, 2013 და შემდეგ წლებში, საქართველოში გეიაღლუმის ჩატარების რამდენიმე მცდელობა იყო, თუმცა წარუმატებელი.**

## «სულერთია, საით მიემართება დასავლეთი, მთავარია, ეს უჩვენოდ მოხდეს»



2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელმაც გაამყარა ლგბტ-თა პოზიციები და გააძლიერა ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი, დასავლეთისგან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, „ნაცმოძრაობის“ განაყოფი და სატელიტი პარტიების წარმომადგენელთა შეტევა ეროვნულ ფასეულობებსა და მართლმადიდებლობაზე. სატელევიზიო ეთერში, განსაკუთრებით „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის, ხშირად იწვევენ არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებს და ჰომოსექსუალიზმის პაროპაგანდას ეწევიან. სწორედ ამით გათამამებულმა ლგბტ-თემის წარმომადგენლებმა წელს, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც გამართეს აქცია საქართველოს დედაქალაქში, შემდეგ „ნაცმოძრაობის“ განაყოფებს შეუერთდნენ „ქართული მარშის“ საწინააღმდეგო აქციაზე. არადა, „ქართული მარშის“ მონაწილეები ქვეყნიდან არალეგალი მიგრანტების გაძევების, პროსტიტუციისა და ნარკოტიკების აკრძალვის მოთხოვნით გამოვიდნენ.

**გენდერული თანასწორობის ნიღბით მოქმედ მამათმავალთა და ლესბოსელთა გლობალისტური ძალები მხოლოდ ამაზე არ შეჩერებულან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განათლების სამინისტრომ, ნაცვლად იმისა, რომ თავგადაკლული მუშაობდეს განათლების სისტემაში არსებული კატასტროფული ვითარების გამოსწორებაზე, გაეროს სამ ფონდთან მოაწერა ხელი შეთანხმებას და მიმდინარე წლის სექტემბრიდან სკოლებში სექსუალური აღზრდისა და გენდერის (ლგბტ) თეორიის შემცველი საგნების: „მე და საზოგადოებისა“ და განახლებული „ჩვენი საქართველოს“ შეტანას გეგმავს.**

არადა, ე.წ. სექსუალური განათლება, როგორც უნდა ასწავლონ სკოლებში, მიუღებელია ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის და მისი თავსმოხვევა მოზარდი თაობისთვის არის იძულება, ძალადობა და გარყვნილების პროპაგანდა.

დღეს მსოფლიოს მამათმავალთა და ლესბოსელთა ძალები უფრო შორს წავიდნენ და სამიზნეში მულტფილმები ამოიღეს — კინოკომპანია „უოლტ დისნეი კომპანიმ“, რომელსაც უოლტ დისნეის სიცოცხლეში პატარების საყვარელი უამრავი ფილმი აქვს გადაღებული, მიმდინარე წლის მარტში გამოუშვა ფილმი „მზეთუნახავი და ურჩხული“, რომელშიც არის გეიეპიზოდი, შემდეგ კი — მულტიპლიკაციური სერიალი DocMcstuffins-ი, რომელშიც ორ ბავშვს მშობლებად დედა და დედა ჰყავთ...

სწორედ ამ თემას ეძღვნება რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტ **იგორ პშენიჩნიკოვის** წერილი „Disneey“-ს ლესბო პრემიერისთვის: სულერთია, საით მიემართება დასავლეთი, მთავარია, ეს უჩვენოდ მოხდეს“, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნა:

„ამერიკულმა კინოკომპანია Walt Disney Company-მ ბავშვებისთვის გამოუშვა მრავალწლიანი მულტიპლიკაციური შოუს — Doc McStuffins-ის მორიგი სერია, რომელსაც ეწოდება „გეგმა საგანგებო ვითარების შემთხვევაში“ („The Emergency Palan“) და მოგვითხრობს, როგორ მოქმედებს სიმპათიური თოჯინების ოჯახი მიწისძვრის მომენტში. მულტფილმის ფორმალური დანიშნულებაა, ბავშვებს შეასწავლონ უსაფრთხოების საფუძვლები, მაგრამ ზრდასრული მაყურებელი მყისვე მიხვდება, რომ უსაფრთხოების საფუძვლების შესწავლა სულაც არ არის ერთადერთი პედაგოგიური მიზანი, იმიტომ, რომ სიუჟეტის მთავარი გმირები წარმოადგენენ თოჯინების ოჯახს, რომელშიც, მამისა და დედის ნაცვლად, არის ორი დედა და ორი ბავშვი.

DocMcstuffins-ის ერთ-ერთი ავტორი და აღმასრულებელი პროდიუსერი **კრის ნი** ლესბოსელია და ქალზეა დაქორწინებული. ამის შესახებ პათოსით იუწყებოდა „ნიუ იორკ თაიმსი“. კრისი ოცნებობდა, DocMcstuffins-ი pro-gay-სერიალად ექცია. ამის შესახებ მან 2012 წელს განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში. „ჩემს ვაჟს, თეოს, ორი დედა ჰყავს. და ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილია, ეს არის დაუჯერებელი ნაწილი იმისა, როგორ ვხედავ ამ სამყაროს“, — ამბობს კრის ნი. მისი თქმით, კომპანია „უოლტ დისნეიმ“ აქტიურად დაუჭირა მხარი იდეას, შეექმნა საბავშვო pro-gay-სერიალი და კრის ნის გამოცდილება გადაეტანა მულტფილმში. ასე აღმოჩნდა „უოლტ დისნეი“ ლიბერალური ფასეულობების გლობალურად დამკვიდრების საქმის მოწინავეთა რიგებში. ამ ფასეულობებში კი, მრავალი წელია, პირველ ადგილზეა „გენდერული თანასწორობა“.

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განათლების სამინისტრომ, ნაცვლად იმისა, რომ თავგადაკლული მუშაობდეს განათლების სისტემაში არსებული კატასტროფული ვითარების გამოსწორებაზე, გაეროს სამ ფონდთან მოაწერა ხელი შეთანხმებას და მიმდინარე წლის სექტემბრიდან სკოლებში სექსუალური აღზრდისა და გენდერის (ლგბტ) თეორიის შემცველი საგნების: «მე და საზოგადოებისა» და განახლებული «ჩვენი საქართველოს» შეტანას გეგმავს**




ეს არ არის კურიოზი, არც „ცალკე ეპიზოდი“, არც მორალურად დეგრადირებული დასავლეთის წინააღმდეგ მებრძოლთა პარანოია. **ეს არის სოციუმის სრულად გარდაქმნა-გადაგვარების პოლიტიკის ნაწილი.** ამაზე ლაპარაკობენ თვით „საბავშვო მასკულტურის გაჰომოსექსუალების“ მოძრაობის მოღვაწეები. პროდიუსერმა კრის ნიმ პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ, დაკავებული ვართ პოლიტიკით DocMcStuffins-ში, გვჯერა, რომ ვიბრძვით სამართლიანი საქმისთვის“. ორგანიზატორები პრემიისა CLA-AD Media Awards, რომელსაც „დიფამაციის წინააღმდეგ“ გეებისა და ლესბოსელების ამერიკული ალიანსი ყოველწლიურად გადასცემს ადამიანებს გეიკულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, გამოვიდნენ მოწოდებით, ხელმოწერები შეეგროვებინათ კომპანია „უოლტ დისნეის“ მიმართ მადლიერების ნიშნად, იმისათვის, რომ კომპანიამ მხარი დაუჭირა ლგბტ-თემის წარმომადგენლებს. **ამა წლის მარტში Walt Disney Company-მ უკვე გამოუშვა პირველი საბავშვო მულტფილმი, რომელშიც ბიჭები კოცნიან ბიჭებს, გოგონები — გოგონებს. ეს მულტფილმი მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოვიდა კიდევ ერთ „დისნეის“ მულტფილმთან ერთად, რომლის სახელწოდებაა „მზეთუნახავი და ურჩხული“. ამ ფილმის ანონსირებისას რეჟისორმა ბილ კონდანმა განაცხადა, რომ მაყურებელი ნახავს „განსაკუთრებულ გეიეპიზოდს დისნეის კინოში“ („exelasively gay moment in a Disney movie“).**

აღსანიშნავია, რომ გენდერული თავისუფლებებისკენ სწრაფვა, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით შორიდან ვაკვირდებით, საერთაშორისო კამპანიაა.

ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ში მიიღეს კანონი „ტრანსგენდერული სასკოლო ტუალეტების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, მოსწავლე ბიჭს, რომელიც განაცხადებს, რომ ის „გოგონაა“, შეუძლია ისარგებლოს გოგონების გასახდელით, ტუალეტითა და საშხაპით.

ბევრმა კი, ალბათ, არ იცის, რომ შვედეთში იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ჯერ გარკვეული არ აქვთ, რომელ სქესს მიეკუთვნებიან, უკვე რამდენიმე წელია, შემოიღეს მესამე პირის ნაცვალსახელი — hen, რომელიც მანამდე არ არსებობდა შვედურ ენაში.

2014 წლიდან შვედეთში გამოცემულ შვედური ენის ლექსიკონებში ოფიციალურად არის შეტანილი ნაცვალსახელი hen და ამ სიტყვას 15 შვედური გამოცემა იყენებს. „შვედეთი მართლაც პიონერია, — ამბობს **ლან ჰორნშეიდტი**, ბერლინის უნივერსიტეტის ჰუმბოლდტის სახელობის გენდერული კვლევებისა და ლინგვისტიკის ცენტრის პროფესორი. არც ერთ სხვა ქვეყანას არ გამოუჩენია ამდენი ძალისხმევა, რათა დაემსხვრია გენდერული ბარიერები ბავშვებს შორის“. თუმცა შვედეთს ლიდერობაში სხვა ქვეყნებიც ეცილებიან. დიდ ბრიტანეთში 14-მა დიდმა სავაჭრო ქსელმა, რომლებიც სხვა რაღაცებთან ერთად საბავშვო სათამაშოებით ვაჭრობს, გადაწყვიტა, სათამაშოებიდან გაექრო ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა განსაზღვრა, ბიჭის არის ეს სათამაშო თუ გოგოსი, და ეს სათამაშოები „გენდერულად ნეიტრალურად აქციეს“. ამ სავაჭრო ჯგუფებს შორის არის Tesco, Saunsbury's-ი, Morrisons-ი, Boots-ი, Marks & Spencer-ი.

არც რეპრესიებია იშვიათი. მაგალითად, **კომპანია „გუგლმა“ სამსახურიდან დაითხოვა თავისი ინჟინერი, რომელსაც ეჭვი შეეპა-** ▶

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სირია, ისევე, როგორც მისი წინამორბედები — ლიბია და ერაყი, საკმაოდ დაცული იყო ტერორისტული თავდასხმებისგან, სანამ ნატო და მისი მოკავშირეები მასობრივი განადგურების ე.წ. ჰუმანიტარულ ომებს გააჩაღებდნენ, და ამას, ძირითადად, აკეთებდნენ იმპერიული ჰეგემონიისა და კორპორაციული მონოპოლიების კეთილდღეობისთვის.**

**◀ რა ქალისა და მამაკაცის იდენტურობაში, მას თვალსაზრისს კომპანიამ „მავნე გენდერული სტერეოტიპი“ უწოდა.**

აქ შეიძლება ცრემლი ჩამოგვგორებოდა იმის გამო, საით მიემართება დასავლეთი, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის. საითაც უნდა, იქით წავიდეს. ეს მისი ცხოვრებაა.

მაგრამ ამ გენდერული თანასწორობის გლობალურ კამპანიაში ჩვენთვის საინტერესო სხვა რამ არის: „დისნეი“ შეიძლება იყოს პირველი უცხოური კორპორაცია, რომლის წინააღმდეგაც უნდა ამოქმედდეს სამამულო კანონი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისგან ბავშვების დაცვის შესახებ.

კანონი კარგა ხნის წინათ მიიღეს, მაგრამ ჯერ არავის სმენია არათუ მილიონობით რეპრესირებულის, არამედ დასჯის ცალკეული შემთხვევების შესახებ. და, **თუ აშშ-ში გენდერული პროგრესისთვის ბრძოლა მასობრივ ხასიათს შეიძენს, მაშინ ერთნაირსქესიანთა „როლურ მოდელებს“ (სიმულაციური მოდელები) ძალით „ჩატენიან“ ყოველ ან ყოველ მეორე მულტფილმში.**

და ეს პროდუქცია — რომელიც სამამულოს რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც სჯობს, ჩვენს საბავშვო მასკულტურის ბაზარზე ბუნებრივად დაიკავებს უპირატეს ადგილს.

მაშინ დავინახავთ, მოქმედებს თუ არა სამამულო „ბარიერი გეიპროპაგანდის წინააღმდეგ“, თუ კომპანია „დისნეის“ რუსეთში მრავალმილიონიანი მოგების გზაზე დროდადრო გაალარიბებენ პატარ-პატარა ადმინისტრაციული ჯარიმებით“.

**„რია ნოვოსტის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

**P.S. რუსეთის პარლამენტმა 2013 წელს მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, ბავშვების დაცვის მიზნით, ქვეყანაში აკრძალულია ტრადიციული ოჯახური ფასეულობების უარყოფისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. 2016 წელს კი რუსეთის პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონი, რომელიც კრძალავს „ნებისმიერ საჯარო გამოხატვას არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის შესახებ“. ალბათ, სწორედ ასეთი კანონები გვჭირდება საქართველოშიც, რათა შევაჩეროთ გარყვნილების აღვირახსნილი პროპაგანდა და დავიცვათ ჩვენი შვილები ამ ე.წ. დასავლური ფასეულობებისგან. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც თვალებში შესციცინებენ დასავლელ პატრონებს, თავიანთი თბილი სკამების შენარჩუნების გარდა, არაფერზე ფიქრობენ და ამ ნაბიჯს, ალბათ, არ გადადგამენ. ამიტომ ქართველმა საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს, როგორც ეს მოხდა ამა წლის ივლისში, როცა განათლების სამინისტროსთან გაიმართა საპროტესტო აქცია სკოლებში სექსუალური აღზრდის საგნის შეტანის გამო. ასეთი საპროტესტო აქციები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რადგან ცდილობენ, ჩვენი შვილები, მომავალი თაობა გარყვნან და გადააგვარონ.**

# ელიტების შეთქმულება: როგორ აჩაღებს აშშ მსოფლიოში ომებს სარგებლის მისაღებად

## «ომი ტერორიზმთან», რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ბოროტმოქმედების შედეგი იყო, არასოდეს ყოფილა ტერორიზმთან ომი. ეს ყოველთვის იყო გამუდმებული ომისა და ტერორის კამპანია



**გთავაზობთ სტატიას „Global Deception: „The War on Terror“ is a Campaign for Permanent war and terror“ („გლობალური ტყუილი: „ომი ტერორიზმთან“ გამუდმებული ომისა და ტერორიზმის“ კამპანია“), რომელიც პორტალმა Global researh-მა გამოაქვეყნა.**

სირიაში ტერორისტები, მათ შორის, „ალ ქაიდა“, მარიონეტები არიან დასავლეთის მიერ სირიის არაბულ რესპუბლიკაში გაჩაღებულ ბინძურ ომში. მათ მხარს უჭერენ უკანონო სანქციებითა და ტაქტიკით, რომელსაც დასავლური სამყარო ქვეყნის ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად იყენებს.

**ნებისმიერი ქმედება, რომელსაც დასავლეთი მიმართავს სირიის არმიის ან მთავრობის წინააღმდეგ, ეხმარება ტერორისტებს, რადგან სირიის არმია და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნის მთავრობა ძირითადი ძალაა, რომელიც „ბოევიკებს“ ებრძვის.**

დაბნეულობა ჩნდება მაშინ, როდესაც ოფიციალურ ანგარიშებში შეაქვთ ცვლილებები. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები, რომლებმაც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი ააფეთქეს, იყვნენ „ალ ქაიდას“ წევრები. „ალ ქაიდა“ სავარაუდო მტერია, მაგრამ ამ დაჯგუფებასა და სირიაში მოქმედ ყველა ტერორისტს მხარს უჭერს დასავლეთი. და, რადგან ამ დაჯგუფების წევრები კაცობრიობის მტრებს წარმოადგენენ, ისინი, ამასთანავე, მათი მოკავშირეები არიან, ვინც ძალაუფლების ბერკეტებს ფლობს. **მტერია ნეოკონსერვატიული „ძალოვანი ელიტები“, რომლებიც აწყობენ ტერორს, მსოფლიოში აჩაღებენ ომებს და იწვევენ სიღატაკეს საჯარო ტყუილებით. მტერია კბილებამდე შეიარაღებული სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ და მისი მოკავშირეები, რომლებიც ელიტისა და კორპორაციისთვის სარგებლის მისაღებად საფრთხეს უქმნიან კაცობრიობის კეთილდღეობას.**

საზოგადოებრიობას ატყუებენ, რომ ის მოიგებს მასობრივი მკვლელობებითა და ხოცვა-ჟლეტით.

**11 სექტემბრის ტერორისტული შეტევიდან 15 წლის თავზე აშშ-მა 3,6 ტრილიონ დოლარზე მეტი დახარჯა ერაყის, ავღანეთის, პაკისტანისა და სირიის ომებში.**

სამწუხაროდ, **მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დამყარებული მონაცემები არ არის ანგარიშებში, რომლებსაც აქვეყნებენ დასავლეთის ქვეყნები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმნდობმა საზოგადოებრიობამ, რომელსაც ისე ეპყრობიან, როგორც მიამიტ ბავშვს, შეიძლება ეჭვი შეიტანოს ომის გაჩაღების აუცილებლობაში.**

სახელმწიფო სახსრებზე დამოკიდებული კორპორაციული მონოპოლიები სულ უფრო ხშირად ერთიანდებიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებად და მართვას იწყებენ თეთრი სახლიდან.

სირია, ისევე, როგორც მისი წინამორბედები — ლიბია და ერაყი, საკმაოდ დაცული იყო ტერორისტული თავდასხმებისგან, სანამ ნატო და მისი მოკავშირეები გააჩაღებდნენ მასობრივი განადგურების ე.წ. ჰუმანიტარულ ომებს, და ამას, ძირითადად, აკეთებდნენ იმპერიული ჰეგემონიისა და კორპორაციული მონოპოლიების კეთილდღეობისთვის.

მაგრამ ყველაფერი იცვლება. **მიუხედავად იმისა, რომ აშშ სპეციალური საბრძოლო მასალებით განაგრძობს თეთრი ფოსფორის ფრქვევას სირიის მშვიდობიანი მოსახლეობის თავზე და ამბობს, რომ ბაშარ ასადი „ცუდი ბიჭია“, დღეები, როცა ის მართავდა ერთპოლუსიან მსოფლიო წესრიგს, შეიძლება ითქვას, დამთავრდა.**

სირია და მისი მოკავშირეები ამარცხებენ იმპერიულ ტერორიზმს. ამით ისინი განამტკიცებენ საერთაშორისო სამართალს და კაცობრიობის შანსს, მშვიდობა დაამყაროს მსოფლიოში.

**Global Researh-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

# გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი: მსოფლიო შოკირებულია აშშ-ის არაპროგნოზირებული პოლიტიკით

## «ესკალაცია შეიძლება ომში გადაიზარდოს»



**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა ჩრდილოეთ კორეის მიმართ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის რიტორიკა გააკრიტიკა.**

„ამგვარი კონფლიქტები განცხადებებით იწყება, ხოლო სრულდება სამხედრო ოპერაციებით“, — აღნიშნა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გაზეთ Kolner Stadt-Anzeiger-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

„მსოფლიო შოკირებულია, როგორი არაპროგნოზირებული გახდა აშშ-ის პოლიტიკა. რთულია იმის გაგება, ვინ არის იქ მთავარი“, — განმარტა ზიგმარ გაბრიელმა. მისივე თქმით, მაშინ, როდესაც სახელმწიფო მდივანი **რექს ტილერსონი** და პენტაგონის ხელმძღვანელი **ჯეიმს მეტისი** სამხედრო ჩარევას შეცდომად მიიჩნევენ, ტრამპის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, კანონის ძალა „უფრო ძლიერის უფლებით“ ჩაანაცვლონ.

მინისტრის აზრით, ჩრდილოეთ კორეის გარშემო დაწყებულ კონფლიქტში „დიპლომატიის დროა და არა საბრძოლო ყიჟინის“.

„ამ სიტუაციის საფრთხე ის არის, რომ უნებლიე ესკალაცია შეიძლება უეცრად გადაიზარდოს ომში“, — დასძინა ზიგმარ გაბრიელმა.

# აშშ-ში თეთრკანიანმა ნაციონალისტებმა მარში მოაწყვეს



**11 აგვისტოს ვირჯინიის შტატის (აშშ) ქალაქ შარლოტსვილში ადგილობრივი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ასობით თეთრკანიანმა ნაციონალისტმა მარში მოაწყო. ნაციონალისტებმა აშშ-ის სამოქალაქო ომში კონფედერატების ლეგენდარული გენერლის, რობერტ ედუარდ ლის, ქანდაკების აღების გეგმა გააპროტესტეს.**

ასობით ნაციონალისტისგან შემდგარ ჩირაღდნებიან მსვლელობას ახალი მემარჯვენე მოძრაობა alt-right-ის ერთ-ერთი ლიდერი, ჯეისონ კესლერი, ხელმძღვანელობდა.

აქციის მონაწილეები ყვიროდნენ ლოზუნგებს: **„ებრაელები ჩვენ ვერ ჩაგვანაცვლებენ“** და **„თეთრების სიცოცხლესაც აქვს ფასი“.** უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნაციონალისტებსა და ანტიფაშისტების მცირე ჯგუფს შორის შეტაკებაც მოხდა, შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი, რამდენიმე — დაშავდა.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე დროა, ბრალი დავდოთ პარტიებსა და პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც განუხრელად უბიძგებენ მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის ძაბრში ჩავარდნისკენ. მუდმივი პროვოკაციების მოწყობით მათ ძალიან ღრმად შეტოპეს. შეუძლებელია, კვლავ შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ეს ნიღაბაფარებული, მშიშარა და გაქნილი ადამიანები, ანონიმურობას ამოფარებულები, მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. ეს არამზადები, რომლებიც ჩვენს სამყაროს მესამე მსოფლიო ომის ქარცეცხლში სასიკვდილოდ იავარსაქმნელად იმეტებენ, მხილებული უნდა იქნან, მათი სახელები უნდა გამჟღავნდეს, თანაც, დაუყოვნებლივ.**

**ამ წერილის ავტორი, იურისტი რაჭულ მანჩანდა ნიუიორკელი ანალიტიკოსია საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში. ჟურნალ Newsweek-ის ვერსიით, ის აშშ-ში 2012-2013 წლების ერთ-ერთ საუკეთესო ადვოკატად დაასახელეს.**

# ვის სურს მესამე მსოფლიო ომი, რომელსაც მხოლოდ ტარაკნები გადაურჩებიან

სანამ „სიღრმისეული სახელმწიფოს“ ოლიგარქებს თავიანთი ასობით მილიონი დოლარის წყალობით საშუალება ექნებათ, გამოიყენონ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ამერიკის კონგრესის სრული შემადგენლობის მოსასყიდად და ამერიკელი ამომრჩევლების აზრის არად ჩასაგდებად, პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** ამერიკელი ამომრჩევლებისთვის სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებს.

ჭეშმარიტად, **უკვე დროა, ბრალი დავდოთ პარტიებსა და პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც განუხრელად უბიძგებენ მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის ძაბრში ჩავარდნისკენ. მუდმივი პროვოკაციების მოწყობით მათ ძალიან ღრმად შეტოპეს. შეუძლებელია, კვლავ შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ეს ნიღაბაფარებული, მშიშარა და გაქნილი ადამიანები, ანონიმურობას ამოფარებულები, მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. ეს არამზადები, რომლებიც ჩვენს სამყაროს მესამე მსოფლიო ომის ქარცეცხლში სასიკვდილოდ იავარსაქმნელად იმეტებენ, მხილებული უნდა იქნან, მათი სახელები უნდა გამჟღავნდეს, თანაც, დაუყოვნებლივ.**

ისინი ნებას აძლევენ აშშ-ის კონგრესს, დაიკისროს პასუხისმგებლობა ისეთ საზიზღარ პაროდიებზე, როგორიც არის ახალი სანქციების დაწესება რუსეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. მათი ერთადერთი მიზანი კონფლიქტების პროვოცირებაა.

სწორედ ამ ადამიანებმა მოაწყვეს პროვოკაციები **უკრაინაში, სირიაში, ლიბიაში, იემენში, ერაყში, აფრიკაში, ევრაზიასა** და **ევროპაში,** რომელთა გამო დაიღუპა ან ლტოლვილად იქცა ათობით მილიონი ადამიანი.

ევროკავშირიც კი აღდგა ბოლო ამერიკული ცალმხრივი სანქციების წინააღმდეგ. შეერთებული შტატები ჯერ უნდა მოთათბირებოდა ევროკავშირის ქვეყნებს და მათი თანხმობის მიღების შემდეგ დაესახა გლობალური ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც დაანგრევდა ევროპის ეკონომიკას.

ეს ახალი სანქციები ემუქრება გერმანიის ინდუსტრიის განვითარებას გერმანულ-რუსული მილსადენის — „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის — პროექტის რეალიზაციას, აგრეთვე, თურქეთის გეგმებს, რომლებიც ევროპისთვის ბუნებრივი აირისა და ნავთობის მიწოდებას ითვალისწინებს, მაგრამ შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა, დაეზარალებინა არა მხოლოდ მტრები, არამედ „მეგობრებიც“.

იდეის — „ამერიკა, უწინარეს ყოვლისა“ — მიმდევრებმა უნდა გაიგონ და აღიარონ, რომ გლობალიზმისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გარკვეული ნაწილი აუცილებელია მათივე ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ამერიკა კი ისე იქცევა, როგორც განებივრებული, უზნეო ბავშვი სათამაშო მოედანზე, რომლის ხვედრი ამ ლოკალურ სივრცეში გატეხილ-გასივებული ცხვირია, სხვა ბავშვების მოთმინების ფიალის ავსების გარდაუვალი შედეგი.

ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ „ცხვირიდან სისხლდენა“ თერმობირთვული მესამე მსოფლიო ომის წინაპირობა შეიძლება აღმოჩნდეს, კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი ომის.

ბევრმა გონებადამჯდარმა დამკვირვებელმა და ანალიტიკოსმა ყურადღება მიაქცია უშუალო კავშირს, რომელიც იკვეთება ახალ სანქციებსა და გავლენიან ენერგეტიკულ სექტორსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მასშტაბურ ლობირებას შორის.

აქვე ჩნდება შეკითხვა: **გაურიგდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს? რა თანხა გადაუხადეს აშშ-ის კონგრესის წევრებს იმისთვის, რომ მათ მხარი დაეჭირათ კანონისთვის, რომელსაც, თითქმის ეჭვგარეშეა, კაცობრიობის განადგურებისკენ მივყავართ?**

**იმ დროს, როცა შეერთებული შტატების კონგრესის წევრები კისრულობენ დიდწილ, ეგებ, სრულ პასუხისმგებლობასაც კი მსოფლიოზე ზემოქმედების მოსახდენად, სუვერენული მთავრობების დასამხობად, რაც იწვევს მილიონობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვას, მსოფლიოში სისხლიანი ქაოსის გავრცელებას, ადამიანების მასობრივ გადაადგილებასა და ლტოლვილების კრიზისს, ასიათასობით ბავშვის გაქრობას და სხვა კატასტროფულ შედეგებს, „თოჯინებით მოთამაშე ოლიგარქები“ კულისებს მიღმა, შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში, ჩვეული საქმიანობით არიან დაკავებულები: ოჯახებთან ერთად დროს ატარებენ,** მართავენ თავიანთ ელიტურ ავტომანქანებს, შვილებს საუკეთესო კერძო სკოლებსა და პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ასწავლიან, ცურავენ არალიკვიდური აქტივების განუსაზღვრელ ოდენობაში, დგანან კანონზე მაღლა. მათ იცავს სრული იმუნიტეტი ხალხის, ოჯახების, შვილების, ქალაქებისა და მსოფლიოს ცივილიზაციების წინაშე, რომლებიც სოციოპათიური თავდავიწყებით ატაცებულ ადამიანებს განადგურებისა და დაღუპვისკენ მიჰყავთ.

**პოლიტიკოსები, როგორც წესი, მეძავებზე უკეთესები არ არიან, თანაც შეერთებულ შტატებში უფრო, ვიდრე სადმე სხვაგან, იმიტომ, რომ ლობირება აქ აღიარებული პრაქტიკაა და გამართლებულია კონსტიტუციით. აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, ისეთებმა, როგორიც იყო „გაერთიანებული მოქალაქენი ფედერალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“ საშუალება მისცა ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და საერთაშორისო ბანკებს, ფინანსური თვალსაზრისით იოლად ამაღლებულიყვნენ რიგით ამერიკელ მოქალაქეებზე, საფინანსო სტრუქტურები გაერთიანდნენ თავიანთი ლობისტური მიზნების მისაღწევად და არა მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად.**

ამ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ამერიკელები აღმოჩნდნენ უძლურები, დაკარგეს ლიდერები, ხოლო მათი 300 მილიონი ხმა გაუფასურდა და ერთი ხელის მოსმით გაქრა.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას — მოსამართლეები: **ბინზბურგი, ბრეიერი** და **სოტომაიერი**, რომლებმაც განაცხადეს, რომ უმაღლესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება „მთელი ქვეყნის საარჩევნო დაწესებულებების ავტორიტეტს დაკნინებით ემუქრება... ის გზა, რომელიც მიზნის მისაღწევად არის არჩეული, დააზიანებს ამ დემოკრატიულ ინსტიტუტს“.

მოსამართლე **სტივენსმა** თავისი განსაკუთრებული აზრი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „არსებითად, სასამართლოს განაჩენი არის უარის თქმა ამერიკელი ხალხის ჯანსაღ აზრზე, რომელიც იმთავითვე იცავდა თვითმმართველობის საფუძვლებს კორპორაციების შემოტევისგან, და რომელიც ჯერ კიდევ თეოდორ რუზველტის დროიდან ებრძოდა კორპორაციულ-ამორჩევითი მოღვაწეობის პოტენციალს. ფრიად უცნაური იქნება, თუ დღეს უარს ვეტყვით ამ ჯანსაღ აზრს. მაშინ, როცა დემოკრატია შეერთებულ შტატებში არასრულყოფილია, მხოლოდ ზოგიერთი, და არა უმრავლესობა ამ სასამართლოში, მიიჩნევს, რომ მისი ნაკლოვანებების ჩამონათვალში პოლიტიკაში კორპორაციული ფულის დეფიციტი შედის“.



**მეგაკორპორაციებსა და ტრანსეროვნულ ბანკებს იოლად შეუძლიათ, მოქრთამონ ამერიკის კონგრესის ასეული წევრიდან თითოეული გამყიდველი ადამიანი, რათა კანონპროექტში ჩაიწეროს დებულება, რომელიც უკრძალავს აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს ამ დოკუმენტზე ვეტოს დადებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ, ამერიკელ ხალხს «კოლექტიურ ხახაში» ჩაუტენონ ნებისმიერი ანტიამერიკული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პროვოცირებს მესამე მსოფლიო ომს, გაწირონ იგი სასიკვდილოდ, გასანადგურებლად ტოტალურ ბირთვულ ომში**



სავსებით აშკარაა, რომ ამერიკელი ხალხის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დონალდ ტრამპს და ხმა მისცა მის არჩევას აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. როგორც ვხედავთ, **მეგაკორპორაციებსა და ტრანსეროვნულ ბანკებს იოლად შეუძლიათ, მოქრთამონ ამერიკის კონგრესის ასეული წევრიდან თითოეული გამყიდველი ადამიანი, რათა კანონპროექტში ჩაიწეროს დებულება, რომელიც უკრძალავს აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს ამ დოკუმენტზე ვეტოს დადებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ, ამერიკელ ხალხს „კოლექტიურ ხახაში“ ჩაუტენონ ნებისმიერი ანტიამერიკული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პროვოცირებს მესამე მსოფლიო ომს, გასწირონ იგი სასიკვდილოდ, გასანადგურებლად ტოტალურ ბირთვულ ომში.**

ეს ყველაფერი კი ხდება იმ დროს, როცა ოლიგარქები უკვე ფლობენ მრავალმილიარდიან სახლებსა და მიწისქვეშა ბუნკერებს, რომლებიც მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული და რომლებსაც თავს შეაფარებენ ბირთვული ომის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე.

**მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბირთვულ ჰოლოკოსტს მხოლოდ ტარაკნები გადაურჩებიან. როგორც ჩანს, ენერგეტიკული სექტორის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და საერთაშორისო საბანკო ლობის ოლიგარქებს, რომლებიც შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოიყენებენ ამერიკელი ხალხის (ასევე, ევროკავშირის, რუსეთის, ევრაზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ხალხების) ნების გვერდის ავლით, გაცილებით მეტი აქვთ საერთო ტარაკნებთან, ვიდრე წარმოგვიდგენია.**

**ამ ოლიგარქებს ყოველთვის შეუძლიათ, იყიდონ კონგრესმენების ხმები, როგორც კი პრეზიდენტი ტრამპი შეეცდება, შეასრულოს ამერიკელი ხალხისთვის მისი დანაპირებიდან ის, რაც ოლიგარქებს არ მოეწონებათ.**

ეს სტატია საგანგაშო მოწოდებაა მსოფლიოს ადამიანებისთვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოავლინონ და დაადგინონ მშიშარა სოციოპათი ოლიგარქები, რადგან სწორედ ისინი არიან კაცობრიობის ჭეშმარიტი მტრები.

**რაჭულ მანჩანდა,**
**ანალიტიკოსი, აშშ**
**DAL.BY**

**დანიის კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მინისტრმა ვლად იორგენსენმა განაცხადა, რომ ცხოველებთან ინტიმური ურთიერთობა მისი ქვეყნის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა. „ცხოველებს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, უნდა ვიზრუნოთ მათზე, ისინი განსაკუთრებული დაცვის უფლებით უნდა სარგებლობდნენ.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ავხორცი დედაკაცი

**ქალი, რომელმაც 15 წლის ბიჭის შესაცდენად „ფეისბუქში“ გოგონას ყალბი აკაუნტი შექმნა, ყმაწვილის დედამ ამხილა. იგი თავს დაადგა ვნებააშლილ წყვილს ბიჭის საძინებელში.**



**მარია დენტი** 44 წლის ქალია, ცხოვრობს ესექსის საგრაფოში. ყალბი აკაუნტი მან ყმაწვილის ნდობის მოსაპოვებლად შექმნა. გაჩაღდა მიმოწერა, რომელიც მალე ინტიმურ ტონალობაში გადაიზარდა: ქალი ბიჭს სიყვარულზე ესაუბრებოდა, ქალისა და კაცის ინტიმურ ურთიერთობაზე და პირველივე შეხვედრა ვნებიანი კოცნით დაიწყო.

**მეორე უფრო მგზნებარე და მხურვალე იყო: ამძუვნებულმა დედაკაცმა შეაცდინა ბიჭი მისსავე საწოლ ოთახში. ეს ინციდენტი გახმაურდა და ესექსის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. გააქტიურებულმა სამეურვეო სამსახურებმა მშობლებს მოუწოდეს შვილებისთვის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებისკენ, რათა მოზარდები არ ემსხვერპლონ მსგავს უზნეობას, რომელიც სოციალური ქსელებით შეიძლება განხორციელდეს.**

მარია დენტმა სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა არასრულწლოვანთან. ბიჭმა გამოძიებას აცნობა, რომ თავად არ იყო ინიციატორი, არც წინააღმდეგობა გაუწევია და სექსუალურ ურთიერთობაზე ნებით დათანხმდა.

განაჩენის გამოტანა სექტემბრისთვის გადაიდო. ამასობაში სასამართლო გამოძიება ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას ჩაატარებს.

ეს ერთი, კერძო შემთხვევაა.

ახლა კი კოლექტიური გარყვნილების ფაქტს გაგაცნობთ, რომელიც New York Post-მა თავის მკითხველებს აუწყა.

**ნიუ იორკის მანჰეტენის რაიონის მოქალაქეებმა ორ თვეში 300-ჯერ მიმართეს შესაბამის სტრუქტურებს იმ უზნეობის გამო, რომლის უნებური მოწმეებიც ყოველდღიურად ხდებოდნენ.**

ნიუიორკელები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მათი ბინების წინ მდებარე სასტუმროს ოთახებში შესახლებულები ფანჯრების წინ, ყველას დასანახავად ერთობოდნენ სექსით.

ასეთი გარყვნილება განსაკუთრებით აუტანელი გახდა იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა ბინების ფანჯრები პირდაპირ უყურებს სასტუმრო Public Hotel-ის 28 სართულს. განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ ჰეტეროსექსუალური და ჰომოსექსუალური წყვილები გარყვნილების აქტს დემონსტრაციულად ფანჯრებთან მდგარნი განახორციელებენ.

68 წლის პენსიონერი ქალი შეწუხებულია იმის გამო, რომ ეს სიბილწე შეიძლება მისმა შვილიშვილებმა დაინახონ.

უფრო დიდი უბედურება კი ისაა, რომ, ექსპერტების თქმით, ამ გარყვნილ საზოგადოებას ვერავინ დააშოშმინებს, რადგან, მოქმედი კანონმდებლობით, თავიანთ ნომრებში მათ შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

ა, ბატონო, ლიბერალური საზოგადოების თავისუფლების „თვალსაჩინო“ შედეგი.



## ამერიკელები ოთხი წლის შვილებს ტრანსგენდერების ბანაკებში გზავნიან

**საზაფხულო ბანაკი „ცისარტყელას დღე“, რომელიც კალიფორნიულ ელ-სერიტოშია გახსნილი, გათვალისწინებულია ტრანსსექსუალური ბავშვებისა და ე.წ. გაურკვეველი გენდერული იდენტობის ყმაწვილებისთვის. აქ იღებენ 4-დან 12 წლამდე ბავშვებს. რეგისტრაციისას ბავშვი თვითონ ირჩევს სქესს.**

ABC News-ი იუწყება, რომ წლეულს ბანაკმა, რომელიც სამი წლის წინათ გაიხსნა, სამჯერ მეტი ბავშვი მიიღო. დღეს იქ 60 ბავშვი ისვენებს.

ბანაკს მიაშურეს პატარებმა არა მხოლოდ კალიფორნიიდან, არამედ აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროდანაც. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბანაკის განვითარება პირდაპირ უკავშირდება ადრეულ ასაკში სქესის შეცვლის მსურველთა რაოდენობის ზრდას.

ეს პროცესი ნიშნავს იმასაც, რომ მშობლები კარგად არიან გარკვეული ლგბტ-თემის პრობლემებში. გაისად ბანაკის მესვეურები ფილიალის გახსნას კოლორადოში აპირებენ. ისინი უკვე დაუკავშირდნენ შესაბამის ორგანიზაციებს ატლანტაში, სიეტლში, ლუიზიანაში, სადაც მშობლები მსგავსი პროგრამების ამოქმედებას აპირებენ.



## ამერიკელ პედაგოგებს რეკომენდაცია მისცეს, მოწაფეებს «გოგოები» და «ბიჭები» აღარ დაუძახონ

**ამას ავალდებულებს აშშ-ის მინესოტას შტატში ამოქმედებული, ე.წ. ტრანსგენდერული კანონების პაკეტი, — იუწყება The Washington Free Beacon.**

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწონებულმა „პაკეტმა“ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებს, რომლებიც სკოლაში ყოფნის პერიოდში იცვლიან სქესს, არავითარი საფრთხე რომ არ დაემუქროს. ახალი წესების მიხედვით, ბიჭებს, რომლებიც იდენტიფიცირდებიან გოგონებად, ნება ეძლევათ, ისარგებლონ გოგოების ტუალეტით. მასწავლებლებმა ბავშვებს უნდა შეუთანხმონ, როგორ მოიხსენიონ ისინი — ბიჭებად თუ გოგონებად.

მინესოტას შტატის განათლების დეპარტამენტმა მშობლებს ურჩია, „მხარი დაუჭირონ თავიანთი შვილების გენდერულ იდენტურობას“, თუ სურთ, რომ მათ (შვილებმა) კარგად ისწავლონ სკოლაში. ამასთანავე, ბავშვის სქესის ან სახელის შესაცვლელად სასწავლო დოკუმენტებში საჭირო არ არის არავითარი იურიდიული პროცედურების გავლა.

მასწავლებლები ვალდებულნი არიან, ბავშვებს იმ სახელებით მიმართონ, რომლებსაც ბავშვები თვითონ დაირქმევენ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ, როცა ტრანსგენდერ მოსწავლეებს „არასწორი ნაცვალსახელებით“ მიმართავენ, „ბავშვები გრძნობენ შიშს, მუქარას ან აბუჩად აგდებას“.

## დანიაში გახსნიან პირველ საროსკიპოს ზოოფილებისთვის



**ეს მოხდება კოპენჰაგენში წლეულს, ოქტომბერში, და იგი იქნება ამ „პროფილის“ პირველი ბორდელი ევროპაში. დანიის კანონმდებლობით, დაშვებულია ადამიანის ცხოველებთან სექსუალური ურთიერთობა. ნებადართულია ცხოველების პროსტიტუცია „იმ პირობით, რომ ცხოველი არ დაიჩაგროს“. დანიის კანონით, „სრულიად ნორმალურია“ ყველა ცხოველთან სექსუალური ურთიერთობა.**

დანიის კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მინისტრმა **ვლად იორგენსენმა** განაცხადა, რომ ცხოველებთან ინტიმური ურთიერთობა მისი ქვეყნის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა. „ცხოველებს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, უნდა ვიზრუნოთ მათზე, ისინი განსაკუთრებული დაცვის უფლებით უნდა სარგებლობდნენ“, — ნათქვამია მინისტრის განცხადებაში, რომელსაც Wedcoolmag აქვეყნებს.

ბორდელი ზოოფილებისთვის კოპენჰაგენის ცენტრში გაიხსნება, განლაგდება სამ სართულზე და მზად იქნება, მიიღოს უცხოელი სტუმრები, ანუ, როგორც ჩვენი „ელიტა“ ამბობს, „ვიზიტორები“.

ამ დაწესებულების დირექტორის — **სელიმ გორდენის** ცნობით, სტუმარ-ვიზიტორებს უფლება მიეცემათ, გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში გააუპატიურონ ძაღლები, რომლებიც ძირითადი მოთხოვნის „საქონელია“. ექნება თუ არა ძაღლს ალიკაპი აკრული, ამაზე დირექტორი დუმს. არადა, ეს ფრიად სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან სექსუალურად დაუკმაყოფილებელმა პირუტყვმა შეიძლება საოხრე მოაჭამოს მოძალადე ზოოფილს. ამის შედეგად ამ უკანასკნელს ისღა დარჩება, რომ ზოოფილობიდან პასიურ მამათმავლობაში გადაინაცვლოს.

ძაღლს კი ჰომოფილობაში დასდებენ ბრალს.

ძაღლი ძაღლად, იმ ბორდელში კი ზოოფილს შეეძლება, „დაიქირაოს“ ნებისმიერი ცხოველი, მათ შორის, ეგზოტიკური.

რეპტილიებზე არაფერს ამბობენ.

რამდენიმე ორგანიზაციამ, რომლებიც ცხოველების უფლებების დაცვით არის დაკავებული, გარკვეული ძალები დარაზმა ასეთი ბორდელის გახსნის წინააღმდეგ. იცით, რა პასუხი გასცა ამ „დაწესებულების“ ხელმძღვანელობამ ასეთ კრიტიკოსებს?

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ, რადგან ასეთ იდიოტიზმს სხვაგან ვერსად შეხვდებით:

**„ასეთი ბორდელის გახსნა საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ უპატრონო ძაღლებზე თავდასხმა და ცხოველების უკანონო პროსტიტუცია“.**

ეშველება თუ არა ამ სიახლით ქუჩებში ძაღლების „ცელქობას“, არ იუწყებიან, ალბათ, იმიტომ, რომ მათი გამრავლების ასეთი საჯარო დემონსტრაცია „ცხოველების უკანონო პროსტიტუციად“ არ ითვლება.

სამაგიეროდ არ ავიწყდებათ პრეისკურანტის შემოთავაზება. ცხოველებთან სექსი 70-დან 150 ევრომდე ეღირება. კლიენტების ძირითად ნაწილს ელიან, რა თქმა უნდა, დანიიდან, ასევე — ნიდერლანდების სამეფოდან, შვედეთიდან და გერმანიიდან.

**ცნობისთვის:** ცხოველებზე სექსუალური ძალადობა გერმანიაში მხოლოდ 2012 წელს აიკრძალა. მანამდე იქ ე.წ. ეროტიკული ზოოპარკები იყო გახსნილი.

უცხოური პრესა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავსტრიული კონცერნის ხელმძღვანელი მოითხოვს, რომ გაგრძელდეს „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის პროექტის რეალიზაცია. „აშშ ცდილობს, შეამციროს რუსული ბუნებრივი აირის იმპორტი ევროპაში, რათა გაყიდოს თავისი თხევადი აირი, მაგრამ ევროპის ენერგოუზრუნველყოფა ჯერჯერობით კვლავ ევროპის საქმეა და არა აშშ-ის“, – თქვა მან. და დასძინა, რომ უფრო ძვირად ღირებული თხევადი აირი ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე არაკონკურენტუნარიანია.**

## Die Press: ევროპის ენერგოუზრუნველყოფა ევროკავშირის საქმეა და არა აშშ-ის



**აშშ-ის ანტირუსულმა სანქციებმა, ავსტრიის ნავთობკონცერნ OMV-ის ხელმძღვანელის — რაინერ ზეელის აზრით, ხელი არ უნდა შეუშალოს რუსეთის „გაზპრომთან“ თანამშრომლობას. „ჩვენ არ შევცვლით სტრატეგიას“, — ხაზგასმით აღნიშნა მან და დასძინა, რომ მისი კომპანიის განვითარებისთვის რუსეთი რჩება „ძირითად რეგიონად“. ზეელის თქმით, ამერიკელებს არავინ ეკითხება, უნდა მონაწილეობდეს თუ არა OMV ციმბირში ურენგოისა და სამხრეთ-რუსეთის საბადოების ათვისებაში.**

ავსტრიის კონცერნის ხელმძღვანელი ასევე მოითხოვს, რომ გაგრძელდეს „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის პროექტის რეალიზაცია. „აშშ ცდილობს, შეამციროს რუსული ბუნებრივი აირის იმპორტი ევროპაში, რათა გაყიდოს თავისი თხევადი აირი, მაგრამ ევროპის ენერგოუზრუნველყოფა ჯერჯერობით კვლავ ევროპის საქმეა და არა აშშ-ის“, თქვა მან. და დასძინა, რომ უფრო ძვირად ღირებული თხევადი აირი ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე არაკონკურენტუნარიანია. „საბრძოლო შეძახებამ: „ამერიკა უწინარეს ყოვლისა!“ ტრანსკონტინენტური ურთიერთობის განვითარების გარდამტეხი მომენტი აღნიშნა. ევროკავშირმა ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს და, ბოლოს და ბოლოს, „გახდეს დამოუკიდებელი, თვითკმარი კავშირი“, ხაზი გაუსვა კონცერნის ხელმძღვანელმა.

## Wikileaks: გამჟღავნდა აშშ-ის დაზვერვის მიერ მოქალაქეების საიდუმლო თვალთვალის ხერხები



**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო დოკუმენტების მორიგ ულუფაში, რომელიც „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა, გამჟღავნებულია პროექტ Couchpotato („უქნარა“)-ს მონაცემები. უფრო ადრე ამ ინტერნეტრესურსმა გამოაქვეყნა მონაცემები იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომელთა საშუალებით ამერიკის დაზვერვას შეუძლია ვებგვერდებისა და მიკროფონების მუშაობა გააკონტროლოს, დააგროვოს ვიდეონაკადები.**

აღწერის თანახმად, Dumbo-ს (ასე ეწოდება პროექტს) შეუძლია, აღმოაჩინოს ვებკამერები და მიკროფონები, რომლებიც უშუალოდ კომპიუტერზეა დამონტაჟებული ან სხვა საშუალებით არის მასთან დაკავშირებული. ყველა ჩაწერა, რომლებსაც ეს მოწყობილობები განახორციელებს, შეიძლება შეაჩეროს ოპერატორმა. ამასთანავე, ოპერატორს უფლება აქვს, წაშალოს ჩანაწერი ან მის ნაცვლად შექმნას ახალი და ყალბი. პროგრამა გამოიყენება ვიდეოჩანაწერების მანიპულაციისთვის, კომპრომატების შესაქმნელად ა.შ.

საინტერესოა, რომ Dumbo-ს პროგრამები იცვლება ახალი, 64-შრიანი ვერსიებით.

ივლისში „ვიკილიქსმა“ გაასაჯაროა დოკუმენტები, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეხება. მათში აღწერილია „ანდროიდს“ თანდართული დანამატები, რომლებითაც შესაძლებელია, ფარულად ჩაიწეროს და გადამისამართდეს სმსშეტყობინებები, შეიქმნას კავშირგაბმულობის საიდუმლო არხი.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სხვა პროექტები საშუალებას იძლევა, შეიქმნას სარეგისტრაციო მონაცემები დაშორებულ საოპერაციო სისტემებთან სამუშაოდ. პროგრამები გათვალისწინებულია განსხვავებული ოპერაციული სისტემებისთვის და „გააჩნია შეტევის სხვადასხვა ვექტორი“.

გავრცელდა ინფორმაცია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სხვა პროექტების შესახებაც, რომლებსაც ჰაკერული შეტევებისთვის იყენებენ. ასეთებია, მაგალითად: „დაუნდობელი კენგურუ“, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ორგანიზაციის კომპიუტერულ ქსელში შეღწევა; „არქიმედე“, რომელიც განახორციელებს კიბერშეტევებს ლოკალური ქსელის ჩარჩოებში.

ამ და სხვა ინფორმაციების პასუხად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო „ვიკილიქსს“ ბრალს სდებს რუსეთთან კავშირში, კერძოდ იმაში, რომ იგი დაეხმარა კრემლს, „ჩარეულიყო“ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.

„დადგა დრო, „ვიკილიქსმა“ აღიაროს, რომ იგი მტრული სადაზვერვო სტრუქტურაა, რომელიც ხშირად წაქეზებულია ისეთი სახელმწიფოების მიერ, როგორიც რუსეთია“, — თქვა ცსს-ს დირექტორმა **მაიკ პომპეომ.**

„ვიკილიქსის“ მთავარ რედაქტორ **ჯულიან ასანჟს** არაერთხელ უარუყვია ბრალდება რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ. მისი განცხადებით, ბრალდება, რომ თითქოს რუსეთი იყო საიტის მიერ გამოქვეყნებული ცსს-ის დოკუმენტების წყარო, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფანტაზიის ნაყოფია“.

„მას შემდეგ, რაც **ჰილარი კლინტონმა** არჩევნები წააგო, იგი ბრალს სდებდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ დირექტორ **ჯეიმს კომის**, ეძებდა დამნაშავეებს რუსეთში და ჩვენს შორის“, — განაცხადა ასანჟმა მაისში.

## РИА Новости: ევროკავშირის, სულ ცოტა, 10 ქვეყანას შეეხო მონამლული კვერცხების საქმე



**ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან, სულ ცოტა, 10 ჩათრეულია პროდუქტების კრიზისში, რომელიც დაკავშირებულია ევროპის მაღაზიებში ფოპრონილის ინსექტიციდით მოწამლული კვერცხების შეტანასთან.**

„სავაჭრო ქსელიდან კვერცხების ამოღების შესახებ იუწყება ბელგია, ნიდერლანდის სამეფო, გერმანია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, დანია, სლოვაკეთი და რუმინეთი, აგრეთვე, შვეიცარია“, — განაცხადა წყარომ ევროკომისიაში.

უფრო ადრე, დანიის ხელისუფლების ცნობით, ქვეყანაში გაიყიდა 20 ტონა მოწამლული კვერცხი. ხოლო დიდ ბრიტანეთში ჰოლანდიიდან შეიტანეს 700 ათასზე მეტი მოწამლული კვერცხი.

გამოძიების პროცესში ნიდერლანდების პოლიციამ ორი ადამიანი დააკავა.

## Bloomberg: მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა 43 მილიარდით იზარალეს



**Amazon-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ჯეფ ბეზოსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში კვლავ კარგავს პოზიციას. გასულ კვირაში მისი ქონება ორი მილიარდი დოლარით შემცირდა და მან აღნიშნულ სიაში მესამე ადგილზე ჩამოინაცვლა. ამის მიზეზი მსოფლიო ბირჟებზე Amazon-ის აქციების 2,6 პროცენტით გაიაფება გახდა.**

ამ დღეში მხოლოდ ეს მილიარდერი არ აღმოჩნდა. 10 აგვისტოს, ვაჭრობის შედეგების მიხედვით, უმდიდრესმა ადამიანებმა ტოპ-500-დან, საერთო ჯამში, 42,7 მილიარდი დოლარი დაკარგეს.

10 აგვისტო ბირჟებზე ძალიან ცუდი დღე იყო ბოლო სამი თვის განმავლობაში. ასეთი რეაქცია ჰქონდა საფონდო ბაზარს **დონალდ ტრამპის** მუქარაზე ჩრდილოეთ კორეის მიმართ. ამერიკის ლიდერმა თქვა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ „ძალიან, ძალიან უნდა ინერვიულოს“, შეერთებულ შტატებზე ან მის მოკავშირეებზე თავდასხმას ფიქრადაც თუ გაივლებს.

ყველაზე მეტად დაზარალდნენ მაღალტექნოლოგიური კომპანიების მფლობელები. მაგალითად, ჩინური ინტერნეტკომპანია NetEase-ს მეთაურმა **დინ ლეიმ** 1,8 მილიარდი დოლარი ვერ მიითვალა, „ფეისბუქის“ დამფუძნებელმა **მარკ ცუკერბერგმა** კი — 1,6 მილიარდი.

27 ივლისს ბეზოსი აღიარებული იყო მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანად. იმ დროისთვის იგი ფლობდა 90,5-მილიარდიან ქონებას, **ბილ გეიტსზე** 500 მილიონი დოლარით მეტს. მისი კაპიტალი 88.7 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, გეიტსის კაპიტალმა კი 89,8 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## РИА Новости: CNN-მა სოცქსელში ნაცისტური მისალმების გამო ტელეარხიდან კომენტატორი გააძევა

**ეს იყო კომენტატორი ჯეფრი ლორდი, რომელიც სოცქსელის მეშვეობით ნაცისტურად მიესალმა ლიბერალური ჯგუფის — Media Matters for Americ-ის ხელმძღვანელს.**



ლორდი თავს იმით იმართლებს, რომ მას ვერ გაუგეს და, სინამდვილეში, მან დასცინა ნაცისტებს.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ლორდი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მომხრეა და ეთერში ყოველთვის მის პოზიციას იცავდა. კომენტატორი CNN-ში მას შემდეგ მივიდა, რაც ტრამპმა აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

ტელეარხთან ლორდის კონტრაქტი 2017 წლის ბოლომდე იყო გათვალისწინებული. იგი ტრამპის მომხრეთაგან მეორეა, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში დატოვა CNN. მასზე ადრე ამ არხიდან წავიდა **ქაილი მაკინანი.**

**ნარკოტიკების ჭარბი დოზის მიღებით ყოველკვირეულად 100-ზე მეტი ამერიკელი იღუპება, ხოლო ყოველი სამი კვირის განმავლობაში — იმდენივე ადამიანი, რამდენის სიცოცხლეც შეიწირა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ ტერორისტების მიერ განხორციელებულმა შეტევამ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ევროპა ემზადება ჩრდილოეთ აფრიკაში მიგრანტების დასაბრუნებლად

**გერმანული მედია არალეგალური მიგრაციის საკითხების ერთობლივი ანალიტიკური და სტრატეგიული ცენტრის დახურულ მოხსენებაზე დაყრდნობით იუწყება, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია მიგრანტების ახალი ტალღის შემოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში.**

პროგნოზი ეფუძნება წლევანდელ 7 თვეში შემოსული მიგრანტების შესახებ არსებულ მონაცემებს: გაეროს ცნობით, მათი რაოდენობა 95 ათასს აღემატება. ანალიტიკური ცენტრი სამი უწყების ექსპერტებს აერთიანებს, რომლებიც უსაფრთხოების საკითხებს შეისწავლის: კონსტიტუციის დაცვის ფედერალურ უწყებას, ფედერალური დაზვერვის სამსახურებსა და ასევე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს.

ამონარიდები მოხსენებიდან გამოაქვეყნა გაზეთმა Welt am Sonntag-მა. პუბლიკაციის სანდოობას ირიბად ადასტურებს გერმანელი მოხელეებისა და პოლიტიკოსების რეაქცია. ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი **იოაჰიმ გერმანი**, ევროპარლამენტის დეპუტატი **დავით მაკალისტერი** და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელი ბუნდესტაგში — **თომას ოპერმანი** მხარს უჭერენ მიგრანტების აფრიკაში დაბრუნებას. „საჭირო არ არის ყველა, ვინც ხმელთაშუა ზღვაში გადაარჩინეს, სიცილიაში ან იტალიის სამხრეთში გავგზავნოთ“, — განაცხადა ამ ოპერმანმა და დასძინა, რომ გადარჩენის ოპერაციები უნდა გაგრძელდეს. ცნობილია, რომ მხოლოდ 2017 წელს ზღვაში დაიხრჩო 2230 ადამიანი, რომლებიც აფრიკიდან ევროპაში აპირებდნენ შესვლას. ავსტრიის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ **ლიბიაში თავმოყრილია 700 ათასიდან 1 მილიონამდე ადამიანი, რომლებიც ხმელთაშუა ზღვით ევროპაში ჩასვლას ელოდებიან. ისინი უმთავრესად 20-30 წლის მამაკაცები არიან მეზობელი ქვეყნებიდან.**

რა გზითა და საშუალებებით უნდა შეაკავონ მიგრაციის ახალი ტალღა, ამ საკითხზე გერმანელ პოლიტიკოსებს ერთი აზრი არ აქვთ. მაკალისტერსა და ოპერმანს მიაჩნიათ, რომ საჭიროა, ლიბიაში შეიქმნას სპეციალური ცენტრები. მარტინ შულცი ეწინააღმდეგება ამ ღონისძიების განხორციელებას და ამბობს, რომ მანამდე საჭიროა მდგომარეობის სტაბილიზაცია. ლიბიაში არ ცხრება შიდა ომი, სტაბილური სახელმწიფოს შექმნისა და მიგრაციული ნაკადის დამუხრუჭების საკითხების გადაწყვეტა ევროპელების ძალას აღემატება. მათ შეუძლიათ ერთადერთი რამ: სამხედრო გემებით გადაკეტონ მიგრანტების მარშრუტები და აიძულონ ლტოლვილები, უკან დაბრუნდნენ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა იტალიის პარლამენტმა.

მაგრამ **გერმანიაში საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია უკვე მოხდა: თუ 2015 წელს ლაპარაკი იყო „ლტოლვილებზე, რომლებიც ასადის დიქტატურას გამოექცნენ“, ამჟამად მათ „უკანონო იმიგრანტებად“ მიიჩნევენ.**

# გაბრიელი აშშ-ის სანქციების კანონის შესახებ: «ჩვენ უსიტყვოდ არ დავემორჩილებით!»



**„აშშ-ის ანტირუსული სანქციების ახალი კანონი ძირს უთხრის ამერიკა-ევროპის ურთიერთობას“, — განაცხადა Westfalishe Zeitung-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა... „ჩვენ მიამიტები არ ვართ და უსიტყვოდ არ დავემორჩილებით. თუ საჭირო გახდება, ჩვენ ჩვენსას გავიტანთ“, — თქვა გერმანიის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.**

აღნიშნულ ინტერვიუში ზიგმარ გაბრიელმა თქვა, რომ მსოფლიოში იშვიათია კრიზისებისა და კონფლიქტების ასეთი სიუხვე, შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ „ნათელი შეხედულება, ზუსტად განვსაზღვროთ საკუთარი პრინციპები და პოზიცია, ამასთანავე, არ დავკარგოთ „სიმტკიცე“. მისი აზრით, ეს ეხება არა მხოლოდ გერმანიას, არამედ მთელ ევროკავშირს.

გაბრიელმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის გაუარესება ევროპისთვის სიკეთის მომტანი არ არის: „სირიის, ლიბიის, უკრაინის, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის საკითხების, ასევე მრავალი სხვა თემის გადასაწყვეტად ჩვენ გვჭირდება რუსებისა და ამერიკელების თანამშრომლობა. საჭიროების შემთხვევაში რუსების წინააღმდეგ უნდა გამოვიდეთ ერთობლივად და მტკიცედ, მაგრამ, ამასთანავე, შევთავაზოთ დიალოგი და თანამშრომლობა. ჩვენთვის კი, ე.წ. დასავლეთისთვის, ერთად ყოფნა აუცილებელია. კანონი სანქციების შესახებ, რომელიც გასულ კვირაში გამოაქვეყნა აშშ-ის კონგრესმა, ამას აზიანებს... დაბეჯითებით ვურჩევ პრეზიდენტ **ტრამპს**, შეგვითანხმოს ეს საკითხი, სანამ სანქციების განხორციელებას დაიწყებს. რაც შეეხება სანქციებს ევროპული საწარმოების წინააღმდეგ, ეს სრულიად გაუგებარია!“

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია ბოლო ხანს თურქეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკით. თავიანთი ქმედებით ისინი ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეული წარმატებების ნიველირებას ახდენს და სულ უფრო სცილდება დემოკრატიისა და ევროპული ფასეულობების საფუძვლებს. „ჩვენ დიდხანს ვითმენდით და არაერთხელ ვუწვდიდით დახმარების ხელს, სანაცვლოდ ვიღებდით მორიგ ალიყურს, თქვა გაბრიელმა, ახლა ეს დავამთავრეთ, რადგან, როგორც ჩანს, თურქეთის მთავრობა მხოლოდ ძალაზე რეაგირებს“.

მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ აშშ-ის ახალ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს არ აქვს მკაფიო პოლიტიკური კურსი. თეთრ სახლში მუდმივად ვინმეს ათავისუფლებენ თანამდებობიდან. „ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ იმ ინტერესებისა და ფასეულობათა საფუძველზე, რომლებიც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ურთიერთობისთვის: ტოლერანტობის, სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი ვაჭრობის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის საფუძველზე, მაგრამ ჩვენ გულუბრყვილო არ ვართ და უსიტყვოდ არ დავემორჩილებით. თუ საჭირო გახდება, ჩვენსას გავიტანთ. ეს ეხება სანქციების შესახებ ამასწინანდელ კანონსაც“, — ხაზი გაუსვა მინისტრმა.

# «მგლები უოლ-სთრიტიდან». აშშ-ში კორპორატივზე სტრიპტიზის ჯუჯა მოცეკვავეები შეუკვეთეს



**ამერიკის საფინანსო კომპანიის ყოფილმა თანამშრომლებმა თავიანთ ექსდამსაქმებლებს სასამართლოში უჩივლეს იმის გამო, რომ მათ დისკრიმინაციული ქმედება განახორციელეს ადამიანების ჯგუფების წინააღმდეგ.**

მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოფილი ბოსები კომპანიას მართავდნენ ფილმის „მგელი უოლ-სტრიტიდან“ სტილში. თანამშრომლები ამბობენ, რომ ხელმძღვანელებმა შექმნეს მოედანი სექსუალური ძალადობისთვის. ოფისში რეგულარულად იწვევდნენ სტრიპტიზის მოცეკვავე ქალებს. ამასთანავე, უფროსებს მოსწონდათ ყველაფერი არაჩვეულებრივი. ერთხელ ამ მიზნით ჯუჯებიც მოიწვიეს.

ყოფილი თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ გამოსვლებით არ მთავრდებოდა ორგიები. ბოსები ყოველნაირად ცდილობდნენ ჯუჯა ადამიანების დამცირებას.

ამას გარდა, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ხელმძღვანელები ბონუსებით ასაჩუქრებდნენ მხოლოდ იმ ქალებს, რომლებიც გამომწვევი ტანსაცმლით იმოსებოდნენ და სხეულის ფორმების დემონსტრაციას საგანგებოდ ახდენდნენ.



# ტრამპმა განაცხადა, რომ შემოიღებს განსაკუთრებული სიტუაციის რეჟიმს «ოპიოიდური ეპიდემიის» გამო



**დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ოპიოიდურმა ეპიდემიამ კატასტროფულ დონეს მიაღწია. „როიტერი“ იუწყება, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამზადებს დოკუმენტებს ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობის რეჟიმის გამოსაცხადებლად.**

„ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა. ვაპირებთ, დიდი დრო დავხარჯოთ, დიდი ძალისხმევა და ბევრი ფული ამ სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც ჩვენთან უწინ არასოდეს არ იყო“, განაცხადა ტრამპმა.

სააგენტო აქვეყნებს ოპიოიდური კრიზისის გამო შექმნილი თეთრი სახლის კომისიის მონაცემებს (რომელსაც სათავეში უდგას ნიუ-ჯერსის გუბერნატორი **კრისტი**), რომელთა მიხედვით **ნარკოტიკების ჭარბი დოზის მიღებით ყოველკვირეულად 100-ზე მეტი ამერიკელი იღუპება, ხოლო ყოველი სამი კვირის განმავლობაში — იმდენივე ადამიანი, რამდენის სიცოცხლეც შეიწირა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ ტერორისტების მიერ განხორციელებულმა შეტევამ.**

ოპიოიდები არის წამლები, რომლებსაც გამოიყენებენ, როგორც ძლიერი მოქმედების მქონე ანალგეტიკებს. ორგანიზმზე პრეპარატების მოქმედებას ადარებენ ოპიუმის გამოყენებით გამოწვეულ შედეგს.

შექმნილი ნარკოსიტუაციის მიზეზად აშშ-ში ხშირად ასახელებენ ექიმებს, რომლებიც პაციენტების გულის მოსაგებად ყველა მსურველს ურიგებენ რეცეპტებს ძლიერი მოქმედების მქონე წამლების აფთიაქებიდან გამოსატანად, რაც, ექსპერტების მტკიცებით, პირველი ნაბიჯია პაციენტების ნარკოდამოკიდებულებისკენ მიმავალ გზაზე.

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელის მოწერაზე რომ მიდგა საქმე, მოხუცმა მასპინძელმა იწყინა და ასე სთქვა: — ეგ რაღა საჭიროა? თუ სიტყვას ძალა დაუკარგავს და სანდო აღარ არის? თუკი ვინმე იმ ღვთის მოცემულს ნიჭს ენას უმტყუნებს და სიტყვას გასტეხს, კაცის ხელით გაკეთებულს მაგ პატარა ქაღალდს რაღად იწამებსო! აბა, მე ძველი კაცი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრე, და ისე ვწირავ, როგორც დღემდი მიწირავსო. მე ჩემს სიტყვას არ შევშლი და თქვენ თქვენი იცითო, — ესა სთქვა და დასამტკიცებლად ულვაშზე გადაისვა ხელი“.**

# ნუთუ ფულზე გაიცვალა ქართველი კაცის კეთილშობილება და სათნოება?

აკაკი წერეთლის მამის, როსტომ წერეთლის, შთამბეჭდავი სახე – ერთსა და იმავე დროს მიმტევებელი და დამთმობი და მეორე მხრივ – ფიცხი და ახირებული, „ჩემი თავგადასავლის“‘წაკითხვის შემდეგ მკითხველს სამუდამოდ ჩაებეჭდება მეხსიერებაში, მაგრამ პოეტის მამის პორტრეტი დასრულებული არ იქნებოდა, თუ გამოვტოვებდით აკაკი წერეთლის ვრცელ პუბლიცისტურ თხზულებას „შავი-ქვა“. მასში აღწერილია, როგორ უმასპინძლა როსტომ წერეთლმა უცხოელებს. შეიძლება ითქვას, რომ, იქ მოთხრობილი ამბის მიხედვით, მხოლოდ ერთი კაცის კი არა, ზოგადად, ქართველი კაცის კეთილშობილებისა და სათნოების სურათია დახატული.

და დღეს, როცა საქართველო მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ეძებს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გზებს, ქართველი თავადის თუმცა გულუბრყვილო, მაგრამ ხალას პატიოსნებაზე დაფუძნებული ურთიერთობა იქნებ ერთგვარი ნიშანსვეტიც კი იყოს უცხოელებთან ქართველების დამოკიდებულების.

დღეს საქართველოში ათასი ჯურის გადამთიელი ჩამოდის, ზოგი — ტურისტად, ზოგიც — ბიზნესის საწარმოებლად. მათგან, მართალია, ზოგი მაშინვე უკანვეა გასაბრუნებელი, მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, რომლებთანაც ეს ხალასი პატიოსნება აუცილებლად გვჭირდება, თორემ რა გამოდის: სირცხვილით ვიწვით, როცა ქართველი „ტაქსის“ მძღოლი უცხოელს ატყავებს, ვაჭარი მამასისხლად სთავაზობს ხილსა თუ ჩურჩხელას, ქართულ სანელებლებს... ერთი სიტყვით, მავანი ხელიდან არ უშვებს შანსს, უცხოელს რაც შეიძლება მეტი ფული დასტყუოს და არად დაგიდევს იმ ხალას პატიოსნებას, რომლითაც, ალბათ, აგრერიგად იწონებს თავს გაშლილ სუფრასთან.

ნუთუ ფულზე გაიცვალა ქართველი კაცის კეთილშობილება და სათნოება?

აი დღეს ჩვენი წყევლაკრულვიანი საკითხავი.

# შავი-ქვა



როსტომ წერეთელი

ერთხელ ვიღაც ბორდოელი ვაჭრები მოსულიყვნენ ჩვენში, დაეთვალიერებინათ ადგილობრივ, გაესინჯათ შავი-ქვა და დაღლილ-დაქანცულები მოგვადგნენ კარზე. ჩვენ ჩვეულებისამებრ პატივი ვეცით უცხო სტუმრებს და მოუსვენეთ იმ ღამეს სასტუმროში. შუაღამე გადასული იყო, რომ რაღაც უცნაური ხმაურობა შემომესმა იმათ საწოლითგან და თანაც მამაჩემის ხმა გავარჩიე: „რას შვრებით? როგორ გეკადრებათო?“ და სხვანი!... შევიჭერი საჩქაროდ მეც და რა გამოდგა: თურმე ფრანცუზებს ძილი გასტეხოდათ. ჩამოეგდოთ საუბარი სხვათა შორის პოლიტიკაზე, ველარ შეთანხმებულიყვნენ და მოსვლოდათ ხმა-მაღალი ლაპარაკი. მამაჩემს გამოჰღვიძებოდა იმათს ხმაურობაზე და, რადგანაც მათი სიტყვა არ ესმოდა, ჩხუბობენო, ჰგონებოდა და გასაშველებლად შესულიყო. სტუმრებიც, უდროო დროს მათთან შესული მასპინძელი რომ დაენახათ, და ისიც უცნაურის ტანისამოსით, შემკრთალიყვნენ და აღარ იცოდნენ, რა უნდა ექნათ... რომ მაღალი სახლი არა ყოფილიყო, ვგონებ, იკადრებდნენ ფანჯრიდგან გადახტომას. ეს რომ გავიგე, სიცილი ამიტყდა... **ბაზელმა** და **პონშარმაც,** ამ გვარებისანი იყვნენ, სიცილით მოიხადეს მამაჩემთან ბოდიში, მაგრამ მოხუცებულ მასპინძელს კი ეუცხოვა და ველარ მოიბრუნა გული: „რა დროს პოლიტიკაზე ლაპარაკია და ისიც ამ სიშორესო? ...მე კი გული გადამიტრიალეთო-და?...’— უპასუხა ძალდატანებულის ღიმილით.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: „შვილო, ეს სულ შენგან მჭირდეს! ღმერთი! რჯული! ეს შავი-ქვა ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის და ერთხელაც იქნება, უხიფათოდ არ ჩაივლის!...“ ამითი გავათავეთ იმღამინდელი ახირებული შემთხვევა. მეორე დღეს დილაადრიან შემოვიდა ჩემს ოთახში მამაჩემი და მითხრა: ის ფრანცუზები, გათენდა თუ არა, ბაღში წავიდნენ და ვაითუ რაღაცა დუელი უქვიათ, ის გამართონ და ერთი უბედურება მოახდინონო. ჯერ კიდევ არ გაეთავებინა საუბარი, დავინახეთ ფანჯრიდან, რომ ისინი ორივე ხელი-ხელ გამოყრილი მეგობრულად დაბრუნებულნი მოდიოდნენ!... შემოვიდნენ ჩვენთან, მოგვემშვიდობნენ და ჩვეულებრივის ზრდილობიანობით ბოდიში მოიხადეს მამაჩემთან წუხანდელ შემთხვევის გამო: „არ გვეგონა, თუ თქვენც ისე ახლოს ბრძანდებოდით და გესმოდათ ჩვენი ბაასიო!“... იმათმა ზრდილობიანობამ მამაჩემს გული მოუბრუნა: „ღვთის მადლმა, არ ყოფილან ესენი ურიგო კაცებიო. და თითონაც ალერსითა და ბოდიშით უპასუხა: — მეც-კი უკაცრავათა ვარ, რომ უცბად შემოგეჭერით, მაგრამ ერთხელვე შეშინებული ვარ უცხოელ სტუმრისაგანო და მისი ბრალი იყოო. მაგრამ, მართალი უთქვიათ: **ერთის ხისგან ჯვარიც გამოვა და ბარიცო!** ხალხიც ყოფილა და ხალხიცაო... მე კი ჯერ თქვენი ქვეყნელი სტუმარი არა მყოლია და თქვენც იმისთანა ტუტუცი მეგონეთ, როგორც ის ერთი უცხო ქვეყნელი, ღუბერნატორმა რომ გამომიგზავნაო, — სთქვა სიცილით და მოაყოლა: — ამ ათის წლის წინად გენერალ-გუბერნატორს გამოეგზავნა ჩემთან ერთი ვიღაც უცხო ქვეყნელი!... „მეცნიერი კაცია, ჩვენის ქვეყნის გამოკვლევა უნდა, ბუნების გამომძიებელია და მიიღე, ხელი შეუწყვეო. მაშინვე-კი მკრა რენჩხად გულზე და ვსთქვი: როგორ თუ ბუნების გამომძიებელიო? ღვთის გაჩენილსა და გამართულ ბუნებას რაღა გამოძიება ეჭირვება? მე გეტყვი, წუნს ვინმე დასდებს-მეთქი! ვფიქრობდი, მაგრამ მიღებით კი მაინც მივიღე. სწორედ მოგახსენოთ, ამხელა კაცი დავბერდი და ჯერ იმისთანა ახირებული სტუმარი არა თუ არ მინახავს, ამბადაც არ გამიგონია. მისგან არც გამარჯობა და არც გაგიმარჯოს. იყო თავისთვის გაბერილ-გაბუტული, თითქო ბუზადაც არავინ მიაჩნიაო, მაგრამ ნამდვილს ბუზებს-კი ძალიან დასდევდა. დილიდან საღამომდე სულ ტყე და ველში იყო. ყვავილებსა ჰკრეფდა და ჭიებს იჭერდა. არც იცინოდა, არც ხმას იღებდა, თუმცა თარჯიმანი ერთის მაგიერ ორი ახლდა. ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „ია! იაო!“, თითქოს პატარა ყმაწვილს აბოდებსო, და ან „ნეინნეინო!“, თითქო ღორებს უძახისო. ამის მეტი მისის პირიდგან არა ამოდიოდა-რა! ექვსი დღე დარჩა ჩემსას, მაგრამ ისე-კი მომაბეზრა თავი, რომ ექვსი საუკუნე მეგონა. ან კი რა სასიამოვნოა მისთანა სტუმარი, რომელიც მგლოვიარე ჭირისუფალსა ჰგავს? წასვლის დროს პატივი ვეცი და მოვიწვიე დიდ-ძალი ხალხი, სუფრა გარეთ გავშალეთ. კარგი დღე იყო. ის, როგორც საპატიო სტუმარი, თავში დავსვით და გაიმართა ლხინი. ის მაინც სულ იბღვირებოდა. ბოლოს, როდესაც იმის სადღეგრძელოსა ვსვამდით, აიღო თავი მაღლა, წამოვარდა უცბად ზეზე, გავარდა მინდვრად, ხან იქით გარბოდა და ხან აქეთ!.. ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, მე მაშინ შევწუხდი და მოწვეულებსაც დამწარდათ ლხინი. ვიფიქრე: „ვეჰ, გამიწყრა ღმერთი და სტუმარი გადამერია-თქო.... გამოუყენე მსახურები, რომ არსად გადაჩეხილიყო, და რა გამოდგა: თურმე ის, ხატის პეპელა რომ არის, ჭრელი, იმას გამოსდგომოდა დასაჭერად... ამ შემთხვევამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ისეც არ იყო ალერსიანი სტუმარი და მაშინ ხომ სულ კოლოტივით გაიბერა. აღარც ბოდიში, აღარც ალერსი, არაფერი აღარ გაგვივიდა იმ დალოცვილთან. ჯავრობდა: „ხელი რად შემიშალეთ და იმისთანა პეპელა გამაშვებინეთო!“ ვეუბნები: „ბატონო, ფილოსოფოსს გეძახიან, როგორ გეკადრებათ პეპელების დევნა, ეგ ხომ ბავშვების საქმეა!... მაგრამ, აჰ, არა ჰქნა, არ მოიბრუნა გული და აღარც კი გამოგვთხოვებია, ისე წავიდა გამწყრალი.

ქუთაისში რომ ჩავედი, ერთის წლის შემდეგ გუბერნატორმა მკითხა სიცილით, იმ კაცს, მე რომ გასტუმრეთ, რა უყავით იმისთანა, რომ ასე გაჯავრებით გიხსენიებთ აი ამ წიგნშიო, გადაშალა რაღაც წიგნი და წამიკითხა: იქ თავის მოგზაურობის აღწერაში, იმ ახირებულს კაცს ცუდად მოვეხსენებიე და სხვათა შორის იმას იხსენიებდა, რომ პეპელა გამაშვებინესო. აბა, მე, თუ გინდა, გამლანძღა პატივისცემის სამაგიეროთ! რა გაეწყობა. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, მაგრამ პეპელას დაჭერა რაღა დასატრაბახებელი იყო. ჩვენში ყურებით დათვს იჭერენ და ისიც არაფრად მიაჩნიათ.

ამ მუსაიფის დროს მოხუცებული ბაზილი ძლივს იჭერდა სიცილს, მაგრამ ახალგაზრდა პონშარი ხარხარებდა და ეს ძალიან მოსწონდა მამაჩემსაც: აი, სტუმარი ამისთანა მეამებაო!... ქრისტიანულად კიდეც იცინიან, კიდეც ჩხუბობენ და სიტყვა-პასუხიც ადამიანური აქვთო!...

სადილობაში სულ სხვა-დასხვა გვარს მუსაიფში გაატარეს დრო. სადილად მასპინძელიცა და სტუმრებიც გამხიარულდნენ. მამაჩემმა დასცალა თასი და გადაუგდო პონშარს, დაიჭი და იმ შენის საყვარლის სადღეგრძელო დალიე, იმისი, წუხელი რომ ესარჩლებოდიო!... სტუმარმა მარდად დაიჭირა თასი და პასუხად ეს უთხრა: მე რომ ჩემის საყვარელის რესპუბლიკის სადღეგრძელო დავლიო, ამ ჩემს მეგობარ-ამხანაგს ეწყინება, რადგანაც ბონაპარტიელიაო!... განა იმის სადღეგრძელოს-კი არ დავლევთო, უპასუხებდა მასპინძელი... მაგრამ არ იქნა, აქაც ვერ შეთანხმდნენ სტუმრები და ბოლოს ესა სთქვა ბაზილმა... **მართალია, ჩვენ, ფრანცუზებს, სხვა-და-სხვა პოლიტიკური რწმუნება გვაქვს, მაგრამ ყველას ერთად-კი მაინცა გვყავს ერთი საზოგადო საყვარელი, ე. ი. სამშობლო ქვეყანა, და თუ თქვენი ნება არის, იმის სადღეგრძელოს-კი დავლევთო.** მამაჩემს ისე მოეწონა ეს, რომ ჩუმად მეკითხებოდა: კოცნა არ იციან მაგათშიო?... ღმერთმა აკურთხოს თქვენი ქვეყანაც და თქვენი ხალხიცაო, მაგრამ ვაი თუ იქაც პეპელების დევნა იცოდნენო!.. — ღიმილით უთხრა სტუმრებს და ძალზედაც გამხიარულდა.

რამდენსამე დღეს დარჩნენ ჩვენსა სტუმრები და მამაჩემი ისე მიეჩვია, რომ ხანდახან მუნჯურადაც კი ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს... მასპინძელი ჩვენის ძველების ამბავს მოუყვებოდა ხოლმე თარჯიმანის პირით და სამაგიეროდ იმათაც ათქმევინებდა. განსაკუთრებით ბონაპარტის ამბები და ომები მოსწონდა ხოლმე. როდესაც ბორდოელებმა წასვლა დააპირეს, მთხოვეს, რომ პირობა შემეკრა მათთან შავი-ქვის შესახებ, მაგრამ რადგანაც მამულები მამაჩემისა იყო, კანონით იმასთან უნდა შეეკრათ პირობა.

აქაც ერთი ახირებული ამბავი მოხდა. სხვათა შორის პირობაში ისიც იყო მოხსენებული, რომ წლამდე ჩვენ სხვას ვერ გადავცემდით მადანს სამუშაოდ და, თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი აღარ მოვიდოდნენ, მაშინ კი ხელ-გახსნილი ვიქნებოდით. ხელის მოწერაზე რომ მიდგა საქმე, მოხუცმა მასპინძელმა იწყინა და ასე სთქვა:

**— ეგ რაღა საჭიროა? თუ სიტყვას ძალა დაუკარგავს და სანდო აღარ არის? თუ კი ვინმე იმ ღვთის მოცემულს ნიჭს ენას უმტყუნებს და სიტყვას გასტეხს, კაცის ხელით გაკეთებულს მაგ პატარა ქაღალდს რაღად იწამებსო! აბა, მე ძველი კაცი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრე, და ისე ვწირავ, როგორც დღემდი მიწირავსო. მე ჩემს სიტყვას არ შევშლი და თქვენ თქვენი იცითო, — ესა სთქვა და დასამტკიცებლად ულვაშზე გადაისვა ხელი.**

ფრანცუზები გაოცებით მისჩერებოდნენ, და როდესაც მე ავუხსენი მათ, თუ რას ნიშნავდა ჩვენში ძველად ულვაშზე ხელის გადასმა და რა დიდი ალთქმა იყო, ბაზილმაც მაშინვე, თავის მხრითაც, დარბაისლურად გადაისვა ხელი ულვაშზე და ახალგაზრდა პონშარმა-კი სიცილით სთქვა: — მე რომ ჯერ არც-კი მეტყობა ულვაში, არ უნდა გადავისვა ხელიო?

მაგრამ მასპინძლისაგან ეს პასუხი მიიღო: — ვისაც ულვაში სწამს, ის არც საულვაშეს ულალატებსო! — და გადაასმევინა ხელი. ამით გათავდა იმათი პირობა და ხელ-შეკრულობა...

წლის განმავლობაში ყოველ დღე მოუთმენლად ელოდა მამაჩემი თავის ნაცნობ სტუმრებს, ერთი წელიწადიც კიდევ პაემანზე მეტი უცადა და, რომ მაშინაც აღარ მოვიდნენ, როგორღაც დაფიქრდა... ამასობაში სხვებმა, ვისაც კი ჰქონდა შავი-ქვა, მუშაობა დაიწყეს და ჩვენ-კი მხოლოდ ბორდოელების შემჩერე ვიყავით.

ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმამ მოახსენა მამას: — ბატონო! ქვეყანა გაკეთდა ამ შავის ქვით და ჩვენ-კი ვსხედვართ გულხელდაკრეფილი და ფრანცუზებს ვუცდითო!... ეგების ახლა ისინი ცოცხალიც აღარ იყვნენო!... ამასწინათ რომ ომი ჰქონდათ გერმანელებთან, შეიძლება იმ ომში მოჰკლესო!

— ჰმ, სწორედ მაგრე იქნება, მამაჩემი ნუ წამიწყდება... თორემ, მე რომ ის ხალხი მიცვნია, ცოცხალი პირობას როგორ გასტეხდნენო. ვაი, საცოდავები, უთუოდ მოუკლავთ და მით უფრო აღარ გვმართებს პირის გატეხაო!.. იმ კაცს ქვეყნისათვის თავი დაუდვია და რომ ვუმტყუნო, რაღა პირით შევხვდე იმ დიდსოფელსო?

ეს შეიცხადა, როგორც ნამდვილი ნათესავები და მეგობრები და ბოლოს, როცა მოიმგლოვა, იკითხა: — იქაურის კანონით ხომ შვილები იქნებიან მათი მემკვიდრეები და ყოველგვარი მოვალეობაც შვილებზე გადადისო.

ჩვენ დასტური მივეცით, მაგრამ ესეც-კი დავამატეთ, რომ ულვაშების მემკვიდრეობა არ იციან იმ ქვეყანაში-თქო.

— არაო, მე მაინც ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ დაიზრდებოდნენო, — სთქვა და გაათავა. სიტყვის შებრუნება ტყუილი იქნებოდა.

მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა მამაჩემმა და, ვინც უნდა მოსულიყო, შავ-ქვაზე, ყველას ამას ეუბნებოდა: — სხვასთან მაქვს საქმე დაჭერილი და გათავებულიო!

როცა კვდებოდა, მიმიხმო და მითხრა:

— შვილო, ერთი ანდერძი, მინდა, დაგიგდო და შემისრულეო. სანამ ობლები არ დაიზარდნენ, შავ-ქვას ნურავის გადასცემო.

ჯერ არ გასულა ოცდა-ერთი წელიწადი, ნიშანი სრულ წლოვანებისა, და მეც ვიცდი. როდესაც ზოგიერთები თითქმის ჩემს გასაგონად იტყვიან ხოლმე: ვინ პოეტი და ვინ შავი ქვაო!... დაიწყო და ბოლო კი ველარ გაატანაო. აღარც თითონ მუშაობს და აღარც უნდა, სხვას გადასცეს ის შავი ქვაო! მეც ამას გავივლებ ხოლმე გუნებაში: დიახ, პოეტების საქმე ქვა კი არ არის, გულია! კარგად ვიცი, რომ იმ ორის ბორდოელის მემკვიდრეები არ მოვლენ, მაგრამ რა ვქნა, რომ **მამაჩემის უკანასკნელი ნაანდერძევი სიტყვა მაინც რჯულის კანონად მაჩნია გულის ფიცარზე!... გავტეხო? არა... დეე, სხვების მცნება ჯერ ფული იყოს და მერე გული. მე კი პოეტების გიჟურს მცნებას ვერ ვულალატებ! ჯერ გული და მერე ფული!**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვისაც ნამდვილად უყვარს საქართველო, მის ბედზე გული შესტკივა და მისი კეთილდღეობა სურს, მას შეუძლებელია, არ უყვარდეს რუსეთი — ეს აზრი წითელ ხაზად გასდევს თერგდალეულთა და ხალხოსანთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

**რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს 60-იანელებს (თერგდალეულებსა და ხალხოსნებს), რომელთა უმრავლესობამ სწავლა-განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და რუსეთის დემოკრატიულ იდეებს ეზიარა. თუმცა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და სხვა თერგდალეულები, ისევე, როგორც ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ერთსულოვანნი იყვნენ. ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ აინტერესებდა არა განყენებულად, არამედ სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს.**

# მშვიდობისა და წინსვლის საწინდარი



„სამშობლოს უკულმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვის კეთილდღეობას და ბედნიერებას, საძაგლობაა“

**«რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ილია ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ექიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან. ...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის»**



**დასასრული. დასაწყისი იხ. №29-30 (405-406)**

თერგდალეულთა და ხალხოსანთა ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამოვლინდა არა მხოლოდ სამშობლოს აწმყოსადმი, თანამედროვეობისადმი დამოკიდებულებაში, არამედ საქართველოს წარსულისა და მომავლის გაშუქებაშიც. გარდასულ ჟამთა ამბებს ისინი სამშობლოს აწმყოსა და მომავლის თვალსაზრისით განიხილავდნენ. ისტორია მათ აინტერესებდათ არა ძველ „დაწყობილებათა რესტავრაციისა“ და „მკვდრის აღდგენის“ მიზნით, არამედ „ცოცხლის გამოყვანისათვის ჭაობიდან“. წინაპართა ვაჟკაცობისა და მამულისათვის თავდადების აღწერა სამოციანელთა თხზულებებში მიმართული იყო იმ თანამედროვეთა წინააღმდეგ, რომელთა ინტერესები ეგოისტური, პირადი კეთილდღეობით იყო შემოფარგლული. წინაპართა საქმენი საგმირონი იმის კარგ მაგალითს იძლეოდა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ნამდვილი პატრიოტი თავისი სამშობლოსა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

„როდესაც პოეზია ცდილობს, გამოსახოს ძველნი გმირნი, ის უნდა ცდილობდეს, იპოვოს და აჩვენოს იმათში ის მხარეები, რომელნიც დღესაც სახმარნი იყვნენ კაცის წარმატებისა და ბედნიერებისათვის“, — წერს **ანტონ ფურცელაძე.**

ანალოგიურ თვალსაზრისს ვხვდებით პუბლიცისტისა და კრიტიკოსის — **გიორგი მაიაშვილის** (ზდანოვიჩის) წერილში „ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო“. იგი სამართლიანად მიუთითებდა, რომ **წარსული მომავლის ნიმუშად არ გამოდგება, მისი დაბრუნება არც სასურველია და არც შესაძლებელი**. ვინც „რუსების სლავიანოფილების მსგავსად“ მოუწოდებს, „დავბრუნდეთ უკანო“, დიდად სცდება. „ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარყოფით უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულიაო, გავლილი გზაა, თავისი დრო მოჭმული აქვსო. სრულიადაც არა: თუ გნებავთ, წარსულში შესაძლოა ვეძებოთ, ასე გასინჯეთ, ზოგიერთი ისეთი რამაც, რაც მერმისისათვის გამოგვადგება, მხოლოდ იმ აზრით კი არა, რომ აღვადგინოთ იგი წარსული, — ეს, როგორცა ვსთქვით, ყოვლად შეუძლებელი და დონ-კიხოტური საქმეა, — არამედ იმ აზრით, რომ დავიცვათ და კვლავ დავიბრუნოთ ცნობილი ტიპი, ცნობილი მეთოდი საზოგადოებრივი ზრდა-წარმატებისა“...

„...ჩემი აზრით, — განაგრძობს ავტორი, — ის კაცი მერმისის კაცი არ არის, ვინც ოცნებობს, აწმყოს ადგილას პირდაპირ წარსული გაამეფოს და თვის იდეალებს ეძებს ძველ საფლავებსა და აკლდამებში. მხოლოდ რეაქციის კაცს, ისეთს კაცს, რომელსაც შეუძლიან ასეთი, რამდენადაც აუსრულებელი, იმოდენად მავნებელი და დამღუპველი იმედები იქონიოს“.

საპროგრამო მოწოდებად გაისმოდა ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სიტყვები:

**„მას ნუღარ ვსტირით,**
**რაც დამარულა,**
**რაც უწყალოს დროთ**
**ხელით დანთქმულა;**
**მოვიკლათ წარსულ**
**დროებზედ დარდი.**
**ჩვენ უნდა ვსდიოთ**
**ეხლა სხვა ვარსკვლავს,**
**ჩვენ უნდა ჩვენი**
**ვშვათ მყოობადი,**
**ჩვენ უნდა მივცეთ**
**მომავალი ხალხს“.**

სამოციანელთა სახელოვან ბელადს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული ის საპატიო მისია, რომელიც მის თაობას ისტორიამ დააკისრა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, დიდ მამულიშვილს მტკიცედ სწამდა, რომ „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, რომ

**„ველარ განუძლებს**
**ქვეყანა ძველი**
**განახლებულის**
**გრიგალის ქროლას,**
**ველარ განუძლებს**
**ქვეყნის მძარცველი**
**ჭეშმარიტებით**
**აღძრულსა ბრძოლას, —**
**და დაიმსხვრევა იგი**
**ბორკილი,**
**შემფერხებელი**
**კაცთა ცხოვრების,**
**და ახალ ნერგზედ**
**ახალ შობილი**
**ესე ქვეყანა კვლავ**
**აჰყვავდების...**
**შრომის სუფევა მოვა**
**მაშინა“.**

აკაკი წერეთელმაც ხომ ასევე გონების თვალით განჭვრიტა სამშობლოს მომავალი, ის ბედნიერი დრო, როცა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას შეცვლის „ძმობა, თანასწორობა და სიყვარული“.

ასეთი იყო თერგდალეულთა და ხალხოსანთა დამოკიდებულება სამშობლოს აწმყოს, წარსულისა და მომავლისადმი. ასევე მკვეთრად გამოვლინდა მათი ჯანსაღი პატრიოტიზმი სხვა ერების, კერძოდ, რუსების მიმართ.

გავიხსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: **„სამშობლოს უკულმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვის კეთილდღეობას და ბედნიერებას, საძაგლობაა“**. სხვანი კი არ უნდა „დავთრგუნოთ და ამით ჩვენი ვალი ავიმაღლოთ“ (ი. გოგებაშვილი), არამედ პირიქით. ყველა ერი „ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს“, — ამბობდა ი. ჭავჭავაძე, შემდეგ დასძენდა: **დიდი უსამართლობა და სიბრიყვე იქნება, რომ სხვისგან მოვითხოვდეთ ჩვენი ერისადმი პატივისცემას და ამავე დროს ჩვენ თვითონ უპატივცემულოდ ვექცეოდეთ სხვა ერებს. თუ შენ საქართველო გიყვარს და მოითხოვ, რომ სიყვარულის ეს ბუნებრივი და კანონიერი გრძნობა გაგებული და პატივცემული იყოს სხვის მიერ, მაშინ ისიც უნდა გესმოდეს, რომ ასევე ბუნებრივი და კანონიერია სხვა ერის შვილის სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი და მასაც პატივი უნდა სცე. საქართველოსადმი ნამდვილი სიყვარული შეუთავსებელია სიძულვილთან სხვა ერებისადმი, მით უმეტეს რუსეთისადმი. არ გიყვარდეს რუსეთი, რომელმაც ჩვენ სიმშვიდე დაგვიმკვიდრა და წინსვლის პირობები შეგვიქმნა, ეს ნიშნავს გამოამჟღავნო არა მარტო დასაძრახი უმადურობა და პოლიტიკური სიბეცე, არამედ შენი საკუთარი სამშობლოსადმი სიძულვილიც. ვისაც ნამდვილად უყვარს საქართველო, მის ბედზე გული შესტკივა და მისი კეთილდღეობა სურს, მას არ შეიძლება არ უყვარდეს რუსეთი.**

ეს აზრი წითელ ხაზად გასდევს თერგდალეულთა და ხალხოსანთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას. განსაკუთრებით მკვეთრადაა იგი ჩამოყალიბებული ი. ჭავჭავაძის ე. ლ. მარკოვისადმი მიძღვნილ სიტყვაში და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი მიწერილ წერილში.

რუსეთთან ურყევი და მეგობრული კავშირი, ი. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, საქართველოს არსებობისა და პროგრესის აუცილებელი პირობაა, ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლის საწინდარია. ერთი სიტყვით, ქართველების რუსეთისადმი სიყვარული განპირობებული და გამოწვეულია საკუთარი სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულით.

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ილია ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან.**

**...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის“.**

ამაზე უფრო ზუსტად და ნათლად, ძნელია, კაცმა ჩამოაყალიბოს თერგდალეულთა თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

**მომზადდა ვანო შადურის წიგნიდან „რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც მოწინააღმდეგენი საომრად განლაგდნენ, საქართველოს ჯარს 200 ყივჩაღი გამოეყო და მტრისაკენ გაემართა. მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, ყივჩაღებმა მეფეს უღალატეს და შეწყალების სათხოვნელად მოდიანო, ამიტომ ისინი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მაგრამ ყივჩაღებმა უეცრად იარაღი იშიშვლეს და მტრის მეომართა ხოცვა დაიწყეს. ამან, ცხადია, მტერი დააბნია.**

# დიდგორის ბრძოლა, ანუ ძლევაი საკვირველი

**წლეულს, 23 მარტს, პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა დიდგორის ომის დღის, 12 აგვისტოს, „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებას და უქმედ დაწესებას, მაგრამ შემდეგ კანონპროექტის მსვლელობა შეჩერდა, მიზეზად კი თურქეთის საელჩოს „მეგობრული თხოვნა“ დასახელდა: თურქეთი საქართველოს მეზობელი უდიდესი სახელმწიფოა და მასთან ურთიერთობის დაძაბვა ხელს არ გვაძლევსო(?!). თუ თურქეთის დღევანდელ ხელისუფალთ 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლის, დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინება ესირცხვილებათ, ეს მათი პრობლემაა; მაგრამ, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი რომ გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს! დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, როგორც არასდროს, ქართველ ახალგაზრდებში აუცილებელია ეროვნული მუხტის გაღვივება, იმის პროპაგანდა, რა ღირებულებების დაცვით მოვიდა მართლმადიდებელი საქართველო დღემდე. სწორედ ამისთვის გვჭირდება ეროვნული სულისკვეთების, ისტორიული და საბრძოლო ტრადიციების აღნიშვნა, მათ შორის, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღის, 12 აგვისტოს, უქმე დღედ გამოცხადება.**



**სისხლისმღვრელი ბრძოლა დიდგორის ველზე მხოლოდ სამ საათს გაგრძელებულა. თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი განიცადა. მათე ურჰაელის ცნობით, «იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ» მტრის გვამებითო. მაჰმადიანთა ლაშქრის დიდი ნაწილის ამოწყვეტის შესახებ მიუთითებს ალ-ფარიკიც**

XII საუკუნის გარიჟრაჟზე საერთაშორისო ვითარება თურქ-სელჩუკებსა და საქართველოს სახელმწიფოს აშკარად უპირისპირებდა ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ ეს დაპირისპირება, დღეს თუ ხვალ, იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო.

არ არსებობს ცნობა იმის შესახებ, როგორ ემზადებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ, ცხადია, მას არ გამოეპარებოდა სულთნისა და სხვა მაჰმადიან მფლობელთა მიერ 4-5 თვის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები. ამიტომაც იყო მზად **დავით აღმაშენებელი** და მისი ლაშქარი საბრძოლველად.

მემატიანე წერს, რომ საქართველოს წინააღმდეგ დიდძალი ლაშქარი დაძრულა — „სიმრავლითა, ვითარცა ქვიშაი ზღვისაი, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანაი“. მაჰმადიანთა „დიდი ლაშქრის თავმოყრის“ შესახებ წერს, აგრეთვე, არაბი ისტორიკოსი **ალ-ფარიკიც**, თუმცა არც ის მიუთითებს მის რაოდენობაზე. თუ სომეხ ისტორიკოს **მათე ურჰაელს** დავუჯერებთ, მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის მეომართა რაოდენობას 560 000-ისთვის მიუღწევია, ანტიოქიის სამთავროს კანცლერ **გოტიეს** მონაცემებით კი — 600 000-ისთვის.

უდავოა, რომ მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობები კოალიციური ლაშქრის რაოდენობაზე გაზვიადებულია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ნახევარმილიონიანი თუ ექვსასათასიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლის-დიდგორის სანახებში არათუ ვერ გაიშლებოდა საბრძოლველად, ვერც კი დაეტეოდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი გაცილებით აღემატებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ბრძოლაში გამოყვანილ ლაშქარს. **ივანე ჯავახიშვილის** ვარაუდით, მტრის ჯარი 300 000 მეომრისგან შედგებოდა.

მათე ურჰაელის ცნობის მიხედვით, ქართველთა ლაშქარში 56 000 მებრძოლიც არ ყოფილა.

ყურადღებას იქცევს თვით ლაშქრის შემადგენლობა: **მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა 40 000-იანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მას მხოლოდ 15 000 ყივჩაყი გამოუყვანია და ეს შემთხვევითი არ იყო: როგორც ჩანს, მეფე ძირითად საყრდენ ძალად ისევ ქართველებს თვლიდა, განსაკუთრებით — ასეთ გადამწყვეტ ბრძოლაში.**

საქართველოს ლაშქრის მესამე ნაწილს — „როქის სპას“, ალანთაგან (ოსთაგან) დაქირავებული ჯარი შეადგენდა. ესეც, ცხადია, დავითის სათანადო ტაქტიკის ნაწილი იყო და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

გარკვეული მიზნით იყვნენ შეყვანილნი ქართველთა ლაშქარში, თუმცა არც ისე დიდი რაოდენობით, „ფრანგებიც“. მათე ურჰაელი ამ ომში ასი „ფრანგის“ მონაწილეობის შესახებ წერს, გოტიე კი ორას „ფრანგს“ ასახელებს (ქართველები ასე ეძახდნენ ევროპელებს). ეს ფრანგები იმ ევროპელ ჯვაროსანთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში ბრძოლები ჰქონდათ თურქ-სელჩუკებთან. ევროპელ რაინდებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ ამ მხრივ და მათი მონაწილეობა ქართველთა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, ცხადია, სასარგებლო იქნებოდა.

1121 წლის 10 აგვისტოს თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის ძირითად ძალებს თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიდამოები, მისი ყველა ძირითადი მისადგომი ჰქონდათ დაკავებული. კოალიციური ლაშქრის ნაწილმა მანგლისსა და დიდგორში დაიბანაკა; მეორემ კი, დიდგორის კალთებიდან შემოსულმა, დიღმის ხეობა დაიკავა. მტრის ჯარით გაივსო როგორც ქვემო, ისე ზემო დიდგორი.

საქართველოს სამეფოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის საკმაოდ გაშლილი ხევით მიუახლოვდა. სწორედ ნიჩბისის ხევს მიჰყვება გზა დიდგორ-მანგლისისაკენ. ეს ხეობა უნდა ჰქონდეთ მხედველობაში მათე ურჰაელსა და გოტიეს, როცა ისინი ქართველთა ლაშქრის ორ მთას შორის დაბანაკებისა და აქ გამართული ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ.

გოტიეს მოწმობით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მოწოდების სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. მას ამ სიტყვის ტექსტიც აქვს მოტანილი თავის ქრონიკებში:

**„ეჰა, მეომარნო ქრისტეანნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და, რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“.**

ამ სიტყვაში, რომელიც ძირითადად მოწოდებაა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ ქრისტიანთა თავდადებული ბრძოლისაკენ, ისტორიკოსებისათვის ბევრი რამ არის ღირსშესანიშნავი. აქედან ჩანს, რომ დავითის ლაშქარი დაბანაკებულა ხეობაში, რომლის ვიწრო შესასვლელიც ხეთა ხორაგებით შეუკრავთ. ამით მეფეს თავისი ლაშქრისათვის უკანდახევის ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპია. როგორც ჩანს, დავითს თავის ლაშქარში ჯერ კიდევ ეგულებოდა ისეთები, რომელთათვისაც მხოლოდ „ღვთის სიყვარული“ საკმარისი არ აღმოჩნდებოდა თავდადებისთვის. სწორედ ამიტომ დასჭირდა დავით აღმაშენებელს თავისი მებრძოლებისთვის უკანდასახევი გზის წინასწარ მოჭრა. ეს ღონისძიება მეფის ლაშქრის ზურგსაც უვნებელყოფდა. ბარიერები მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ამ მხრიდან მტრის მხედრობის მოსალოდნელ იერიშებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ხის ხორაგებისა და ჯებირების გაკეთებას საკმაო დრო, მრავალრიცხოვანი მუშახელი და მასალა დასჭირდებოდა.

ზოგიერთი მონაცემით (გოტიე), შეტევაზე პირველი მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი გადმოსულა; სხვა ისტორიკოსთა (მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი) ცნობით კი, შეტევა ქართველთა ლაშქარს დაუწყია და დავით აღმაშენებელს კიდევ ერთი ტაქტიკური ხერხისთვის მიუმართავს. **იბნ ალ-ასირის ცნობით, როდესაც მოწინააღმდეგენი საომრად განლაგდნენ, საქართველოს ჯარს 200 ყივჩაღი გამოეყო და მტრისაკენ გაემართა. მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, ყივჩაღებმა მეფეს უღალატეს და შეწყალების სათხოვნელად მოდიანო, ამიტომ ისინი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მაგრამ ყივჩაღებმა უეცრად იარაღი იშიშვლეს და მტრის მეომართა ხოცვა დაიწყეს.** ამან, ცხადია, მტერი დააბნია.

ამასთანავე, საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია. ლაშქრის ერთი ნაწილი, მეფის სარდლობით, ნიჩბისის ხევით, დასავლეთიდან უტევდა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მხრიდან **დემეტრე უფლისწული** დაეშვა თავისი ლაშქრით და მთის ძირში საომრად განლაგებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია. როგორც კი გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მტრის ლაშქრის დიდი ნაწილი ბრძოლის ველიდან გაიქცა.

სისხლისმღვრელი ბრძოლა დიდგორის ველზე მხოლოდ სამ საათს გაგრძელებულა. თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი განიცადა. **მათე ურჰაელის ცნობით, „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ“ მტრის გვამებითო.** მაჰმადიანთა ლაშქრის დიდი ნაწილის ამოწყვეტის შესახებ მიუთითებს ალ-ფარიკიც.

მათე ურჰაელის ცნობით, მტრის ყოველი ათასი მოლაშქრიდან ასიც კი არ დარჩენილა ცოცხალი. ქართველებს ტყვედ ჩავარდნიათ „მუსლიმანთა და არაბთა აურაცხელი რაოდენობა“.

**რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ დაჭრილებისა თუ დახოცილების სახით ბევრი ქართველი, ყივჩაღი თუ ოსი მოლაშქრეც შეიწირა, მაგრამ საქართველოს ლაშქრის დანაკლისი, მტრის დანაკლისთან შედარებით, ისეთი მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდ არ მიუჩნევია.**

საქართველოს ლაშქარმა, მრავალრიცხოვან ტყვეებთან ერთად, დიდძალი ალაფიც იგდო ხელთ. მათე ურჰაელი წერს, რომ მტრის უპატრონო „ცხენებისა და დაყრილ იარაღ-საჭურვლისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი“. ალ-ფარიკიც კი იძულებულია, აღნიშნოს: ამ ომში „მათ (ქართველებმა) დიდძალი სიმდიდრე წაართვეს მუსლიმანებს“-ო. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ალაფთა მრავალრიცხოვნობის შესახებ არაფერს ვამბობთ, რადგან გლეხებიც კი, ოქრო-ვერცხლის გარდა, სხვას არ აიღებდნენ ნადავლისაგან“-ო.

ამრიგად, ქართველთა ლაშქარმა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მოწინააღმდეგის დამარცხება დიდგორის ველზე ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საბოლოო გამარჯვებას. ეს კარგად ესმოდათ ამ დიდ წარმატებათა ორგანიზატორებს და ამიტომ გადაწყვიტა დავით აღმაშენებელმა, კვალდაკვალ მიჰყოლოდა ზურგშექცეულ მტერს, რათა მისთვის დაქსაქსული და დამარცხებული ძალების ხელახლა გაერთიანებისა და შემოტევის შესაძლებლობა არ მიეცა.

დამარცხებული და უწესრიგოდ უკანდახეული მტრის დევნა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქარს მართლაც მოუხერხებია დევნილი მტრის სრული დამარცხება და განადგურება ისე, რომ თვით მთავარსარდალმა **ილღაზმაც** ვერ შესძლო მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ძალის შემოკრება და დამარცხებული, ბრძოლაში დაჭრილი, თავის სიძესთან ერთად, ალ-ფარიკის ცნობით, მხოლოდ ოციოდე მხედრით დაბრუნებულა თავის ქვეყანაში.

ამრიგად, თურქ-სელჩუკთა დადმა კოალიციურმა ლაშქარმა სასტიკი მარცხი იგემა არა მხოლოდ დიდგორის ველზე, საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.



**შვრია მრავალმხრივი მოხმარების საუკეთესო საკვები, სასურსათო, სამკურნალო კულტურაა, რომელსაც შეუძლია, ფერმერებს დაეხმაროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაში, მოსავლის დაზღვევასა და მოგების გარანტირებულ მიღებაში.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# შვრიის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

დასასრული. დასაწყისი იხ. №30 (406)

## პერსპექტიული ჯიში

ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერების მიერ გამოყვანილი და დანერგილი იყო შვრიის 50 ჯიში, მათ შორის, საქართველოში 2 ჯიში — **„სოვეტსკი“ და „ჩერნოგორსკი“.**

ფერმერულ მეურნეობებსა და კერძო ნაკვეთებზე შვრიის მოყვანას ხელს უშლის გავრცელებული ჯიშების დაბალი მოსავლიანობა, ჩაწოლისადმი მიდრეკილება, მარცვლის ცვენა და გაზაფხულზე თესლის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 2014 წლიდან დაიწყო შვრიის სასელექციო მასალის შესწავლა.

შესწავლის შედეგად **გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში „არგო“, რომელიც ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, ხარისხით, ჩაწოლისადმი გამძლეობით, დაავადებებისა და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია კარგი მოსავლის მოცემა.**

## თესლის მომზადება და თესვა

თესლი უნდა გაიწმინდოს მარცვალსაწმენდი მანქანით; შეიწამლოს სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების საწინააღმდეგო გრანოზანით (1-2 კილოგრამი ტონაზე) ან ვიტავაქსით (3.0-3.5 კილოგრამი ტონა თესლზე) სველი წესით 10 ლიტრი წყალი 1 ტონა თესლზე. თესლი უნდა შეიწამლოს დათესვამდე 2-3 დღით ადრე. გუდაფშუტით დაავადებისას უნდა ჩატარდეს ნახევრადმშრალი შეწამვლა ფორმალინით — 80 ლიტრ წყალში 39 ლიტრი. თესლი იყრება იატაკზე ან ბრეზენტზე 30 სანტიმეტრი სისქით და კარგად ურევენ ნიჩბით. შემდეგ ხდება თესლის გროვად დაყრა, ბრეზენტის გადაფარება და 5 დღის შემდეგ დათესვა. შვრია უნდა დაითესოს ადრე გაზაფხულზე. **საქართველოში შვრიის თესვის ყველაზე კარგი პერიოდი 1 მარტიდან 15 მარტამდეა. თესვა უნდა ჩატარდეს ვიწრო მწკრივებად ან ჯვარედინად.**

მწვანე საკვებად თესვისას საჭიროა, 240-250კგ/ჰა მარცვალი დაითესოს ვიწრო მწკრივებად. სამარცვლე შვრიის თესვის ნორმაა 180-220კგ/ჰა. მარცვალი უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავესა და გაღივების უნარზე.

შვრიის თესლის **ჩათესვის სიღრმე**, ნიადაგის კონკრეტულ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით, მერყეობს 4-6 სმ-ის ფარგლებში. ქარისმიერი ეროზიის ზონაში თესვა წარმოებს 1-2 სმ-ით უფრო ღრმად. თესვა უფრო ღრმად წარმოებს, ასევე, მსუბუქ და მშრალ ნიადაგებში.

შვრია სწრაფად მზარდი მცენარეა, უხვი ამონაყრით. ერთ ჰექტარზე ორ ტონამდე მწვანე მასას იძლევა, მწვანე საკვებად და სენაჟად გამოყენების გარდა, იყენებენ თივადაც, თუმცა ხარისხით ბალახის თივას ჩამოუვარდება.

**თესლბრუნვაში შვრიის მოთავსება შესაძლებელია ყველა კულტურის შემდეგ. უკეთესია სათოხნი კულტურებისგან გათავისუფლებული მინდორი. დაუშვებელია ზედიზედ თესვა. შვრია კარგი წინამორბედია სათოხნი კულტურებისთვის, ტოვებს სუფთა ნიადაგს.**

შვრიისთვის სასურველია ნიადაგის მზრალად მოხვნა, გაზაფხულზე ხნულის გაფხვიერება, დაფარცხვა. თესვისწინა დამუშავება და სხვა აგროღონისძიებები იმავე ვადებში იმავე წესით სრულდება, როგორც საგაზაფხულო ხორბალისა და ქერის შემთხვევაში. შვრიის სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება 80-120 დღეს.



**გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში «არგო», რომელიც ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, ხარისხით, ჩაწოლისადმი გამძლეობით, დაავადებებისა და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია კარგი მოსავლის მოცემა**

## ნათესის მოვლა

თესვის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათესის მოვლას. მნიშვნელოვანია ნათესების დაცვა სხვადასხვა სარეველა მცენარეებისაგან. ნათესის დაფარცხვა უნდა ჩატარდეს ბარტყობის ფაზაში, ნათესის გარდიგარდმო. ამით მცირდება ნათესის დასარევლიანება. ერთლებნიანი ერთწლიანი და ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთჰერბიციდი დიალინი 1.75-2.25 ლიტრი ჰექტარზე.



ღიჭას, გვირილისა და წიწმატურას საწინააღმდეგოდ — ლონტრელი 0.16-0.66 ლიტრი ჰექტარზე.

## განოყიერება

შვრიის მოსავალზე დიდ გავლენას ახდენს სასუქები. მინერალური სასუქები შვრიის მარცვლის მოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დოზების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული ელემენტების შემცველობა ნიადაგში. ძირითადი საკვები ელემენტების საშუალო დოზები მერყეობს შემდეგ ფარგლებში: აზოტი (მოქმედი ნივთიერება) — 90-120 კგ/ჰა-ზე; ფოსფორი — 90-120 კგ/ჰა-ზე; კალიუმი – 60-90 კგ/ჰა-ზე;

ურწყავ, ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ მიწებზე რეკომენდებულია სამივე საკვები ელემენტის მთლიანი დოზის შეტანა ხვნის წინ ან ნიადაგის თესვის წინა დამუშავებისას.

სარწყავით უზრუნველყოფის პირობებში მიზანშეწონილია ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების მთლიანი დოზისა და აზოტიანი სასუქის დოზის 1/3-ის გამოყენება ხვნის ან თესვის წინ, ხოლო 2/3-ის გამოკვებაში შეტანა აღერების დაწყებამდე.

## მოსავლის აღება

შვრიის მოსავლის აღება მეტად რთულია, რადგან საგველაზე მარცვლები არათანაბრად მწიფდება. ჯერ მწიფდება საგველას მაღლა კილებში, ხოლო, 6-8 დღის შემდეგ — ქვედა კილებში. მოსავლის აღების დაგვიანება იწვევს მსხვილი მარცვლების დაცვენას. მოსავლის აღება ადრე ან დაგვიანებით საზიანოა, რადგან ნამჯა გვიან მწიფდება, ვიდრე მარცვალი. კომბაინით აღებისას ის ობდება და საკვებად უსარგებლო ხდება. მოსავალი აღებული უნდა იქნას დალევარვის წესით, როცა ზედა თავთუნების მარცვალი მიაღწევს სრულ სიმწიფეს, ხოლო ქვედა — სანთლის სიმწიფეს. კარგად გაშრობის შემდეგ მიიღება მშრალი მარცვალი მინიმალური მექანიკური დაზიანებებით. შვრია უნდა ავიღოთ სრული სიმწიფის ფაზაში კომბაინით 3-4 დღე-ღამეში. მარცვლის დამტვრევის თავიდან აცილების მიზნით დოლის ბრუნვის სიხშირე უნდა შემცირდეს 900-1000 ბრუნვამდე წუთში. იმ შემთხვევაში, თუ კომბაინით მოსავლის აღებისას მარცვლის ტენიანობა იქნება 20 % მარცვალი გაწმენდამდე უნდა გაშრეს. შესანახად გადადებული მარცვლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12-15 %-ს. მარცვალი შენახული უნდა იქნას მშრალ ადგილზე 2.0-2.5 სანტიმეტრი სიმაღლის ფენად.

## შვრიის კულტურის პოპულარიზაცია

შვრიის კულტურის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოების ჩართვას. კულტურის კომერციალიზაცია ხელს შეუწყობს ფერმერთა დაინტერესებას და მკვეთრად გაზრდის შვრიის ფართობს. **შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას მოგვცემს, ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე.**

ბოლო წლებში ხშირია შემთხვევა, როდესაც შემოდგომის (სხვა მცენარეთა) ნათესი, კლიმატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. შესაძლებელია გამეჩხერებული ნათესის გადათესვაც და იმავე ფართობზე შვრიის საზაფხულო თესვაც. სხვა თავთავიან მარცვლოვანთა თესლბრუნვაში შვრიის თესვა უარყოფით შედეგს არ იძლევა.

შვრია მრავალმხრივი მოხმარების საუკეთესო საკვები, სასურსათე, სამკურნალო კულტურაა, რომელსაც შეუძლია, ფერმერებს დაეხმაროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაში, მოსავლის დაზღვევასა და მოგების გარანტირებულ მიღებაში.

**ოთარ ლიპარტელიანი,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ცოტნე სამადაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ნანა ჩხუტიაშვილი,**
**ზეინაბ სალარიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები





**მინერალური სასუქები შვრიის მარცვლის მოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დოზების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული ელემენტების შემცველობა ნიადაგში. ძირითადი საკვები ელემენტების საშუალო დოზები მერყეობს შემდეგ ფარგლებში: აზოტი (მოქმედი ნივთიერება) — 90-120 კგ/ჰა-ზე; ფოსფორი — 90-120 კგ/ჰა-ზე; კალიუმი — 60-90 კგ/ჰა-ზე; ურწყავ, ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ მიწებზე რეკომენდებულია სამივე საკვები ელემენტის მთლიანი დოზის შეტანა ხვნის წინ ან ნიადაგის თესვის წინა დამუშავებისას**



# ქართველი კარატისტების კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება

**2017 წლის 28-29 ივლისს რუმინეთის ქალაქ სიბიუში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კიოკუშინკაი (კონტაქტურ) კარატეში. მასში საქართველოს ნაკრები 8 სპორტსმენით მონაწილეობდა.**




INTERNATIONAL KARATE ORGANIZATION
KYOKUSHINKAIKAN
TRADITIONAL KYOKUSHINKAI FEDERATION
7th EUROPEAN CHAMPIONSHIP
SIBIU CITY, ROMANIA
28-29 of July, 2017
POLIVALENT GYM HALL TRANSILVANIA SIBIU
"BACK TO THE ROOTS" - KATA & KUMITE
KIDS, JUNIORS, YOUTH, SENIORS & VETERANS
FREE ENTRANCE!

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მონაგარი უპრეცედენტოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ქართველმა სპორტსმენებმა რთულ, დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლებში 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ეს არის საქართველოს უდიდესი და ისტორიული გამარჯვება, რადგან საქართველოს ნაკრების უკლებლივ ყველა წევრმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ქართველმა კარატისტებმა, სახელმწიფოს მხრიდან ამჯერადაც ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, კიდევ ერთი უდიდესი გამარჯვება და აღიარება მოუპოვეს საქართველოს.

**ევროპის ჩემპიონები გახდნენ:**

1. ირაკლი ბაღნაშვილი
2. ბექა ზედგინიძე
3. გიორგი ზედგინიძე
4. ნიკა ნავროზაშვილი
5. ლაშა ყამარაული

**მეორე ადგილზე გავიდნენ:**

1. საბა თამარაშვილი
2. აკაკი გაგუა

**მესამე ადგილზე გავიდა:**

1. სანდრო გემაზაშვილი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციამ, ძმები გოჩა და კახაბერ კაკაბაძეების ხელმძღვანელობით, ბოლო 9 თვის განმავლობაში ევროსარბიელზე მოიპოვა 25 მედალი, მათ შორის: 11 ოქროს, 9 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს.

ამჟამად ფედერაცია ემზადება, საქართველო ასახელოს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ჩატარდება იტალიაში 2017 წლის 30 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. ფედერაცია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ქართველ სპორტსმენებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ უნდა მოიპოვონ აღიარება და ასახელონ საქართველო, ავიაბილეთებისა და სასტუმროს ხარჯებს, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაუფარავს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. ფედერაცია მიმართავს ყველას, ვისაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა, იყოს ფედერაციის პარტნიორი და, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მიიღოს მონაწილეობა ქართველი სპორტსმენების მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებაში: გთხოვთ დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 555 425 455 (გოჩა კაკაბაძე, ფედერაციის ხელმძღვანელი).**



# ამერიკელი მულტიმილიონერი ქალი შვრიის ცივი ფაფით იკვებებოდა და ტანს არასოდეს იბანდა

**ჰენრიეტა გრინი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძუნწი ადამიანი. ეს ქალი წელიწადში რამდენიმე მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა და საოცრად ძუნწი იყო.**



ყოველთვის ეცვა ერთი და იგივე გახუნებული კაბა, რომელსაც არასოდეს რეცხავდა, ახალ საცვალს კი მხოლოდ მაშინ ყიდულობდა, როცა ძველი ტანზე შემოალპებოდა.

მილიონერის ამ „სურნელებას" ამძაფრებდა ხახვის სუნი, რომელიც პირიდან ამოსდიოდა — ხახვს გამუდმებით ღეჭავდა, — დაავადებისგან იცავსო! როცა საცვლის ან ბავშვებისთვის ტანსაცმლის ყიდვაზე მიდგებოდა საქმე, ყველაფერს მეძველმანისგან იძენდა და ყოველ ცენტზე ევაჭრებოდა გამყიდველს.

ქალბატონი გრინის ქონება XX საუკუნის დასაწყისში (დაიბადა 1834 წელს, გარდაიცვალა 1916 წელს) 100-დან 200 მილიონი დოლარი იყო, რომელიც, დღევანდელ კურსთან შეფარდებით, მილიარდობით დოლარს უდრის.

და ამ მილიარდერმა ქალმა თავისი ვაჟი, რომელმაც შემთხვევით ფეხი მოიტეხა, გადაყრილი ტანსაცმლით შემოსა, თავადაც ძველმანებში გამოეწყო და ღარიბების საავადმყოფოს მიაკითხა შეღავათიანი სამედიცინო დახმარების მისაღებად. მაგრამ იქ იცნეს ამერიკის უმდიდრესი ქალი და უკან გააბრუნეს. მაშინ თავად დაუწყო მკურნალობა შვილს და, რომ არა მამა, რომელმაც ფეხმოტეხილი ბიჭი შესაფერის კლინიკაში მიიყვანა, სადაც ამპუტაცია გაუკეთეს, ყმაწვილი, რომელსაც სისხლის მოწამვლა დაეწყო, დაიღუპებოდა.

უყვარდა კი გრინს ვინმე? უყვარდა: საკუთარი ძაღლი. „კუდს მიქიცინებსო, — ამბობდა ეს მოარული სიძუნწე, — ერთგულებით სავსე თვალებით მიყურებს, იმიტომ კი არა, რომ მილიონები მაქვს, არამედ იმიტომ, რომ პატრონი ვარ".

იყო მილიონების პატრონი და ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა, უფრო იაფფასიანში.

მათხოვარი.

თან შეცვლილი გვარით ჩასახლდებოდა სხვის გავერანებულ ოთხ კედელში.

გრინის ბიოგრაფები წერენ, რომ იგი თავის მილიონებს გონივრულად ამუშავებდა: ზუსტად ხვდებოდა ბაზრის ტენდენციებისა და ფასიანი ქაღალდების რიტმის ცვალებადობას. ინფორმაცია, რომელ აქციებსა და ფასიან ქაღალდებს ყიდულობდა ან ჰყიდდა ეს ქალბატონი, მყისვე ხდებოდა აქტუალური და ოქროს ფასი ედებოდა.

გარდაიცვალა ისე, როგორც უნდა გარდაცვლილიყო: ტვინში სისხლის ჩაქცევით რძის ფასზე მორიგი გაცხარებული ვაჭრობისას.

ვაჟმა თავისი წილი ქონება გაფლანგა და გაანიავა, ქალიშვილმა კი მემკვიდრეობით მიღებული მილიონები ქველმოქმედების კეთილშობილურ საქმეს მოახმარა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-დან გაძევებული მიგრანტების რაოდენობამ 30 პროცენტით მოიმატა



**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ტრამპის მიერ საზღვრის დაცვის გამკაცრებაზე გამოცემული ბრძანებიდან დღემდე 27%-ით უფრო მეტი არალეგალი მიგრანტი გააძევეს ქვეყნიდან, ვიდრე 2016 წლის იმავე პერიოდში.**

თუ იმავე პერიოდში განხორციელებული დეპორტაციების რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ, ჯამში, 2017 წლის ამ მონაკვეთში ქვეყნიდან გაძევებულთა და დეპორტირებულთა რაოდენობა 30%-ით მეტი გამოდის, ვიდრე 2016 წლის იმავე პერიოდში.


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894